კვინიკაძე ნესტან

ისპაჰანის ბულბულები

როცა გმირები ბრუნდებიან...

"კალმით ატეხილი ქაოსი" – ასეთ შეფასებას იძლევა ავტორი. და მართლაც, ქაოსიდან წესრიგის დაბადების თემა რომანის როგორც სტრუქტურულ, ისე სიუჟეტურ მხარეზეც ვრცელდება. ნესტან კვინიკაძის რომანს "ისპაჰანის ბულბულები" წინ უძღვის ჰაროლდ ბლუმის სიტყვები "გავლენის შიშის" პროლოგიდან, რაც გადააზრებულია უძღები შვილის მარადიული დაბრუნების არქეტიპის კონტექსტში: მამის წიაღიდან გასვლა; მოგზაურობა, ან გმირის ინიციაცია; და უკან დაბრუნება... გმირის სულიერი ფორმირების ამ სამ საფეხურში იგულისხმება თავისუფლების და აუცილებლობის, ან, გნებავთ, ქაოსის და წესრიგის დაპირისპირებაც, რაც რომანის მთავარი ღერძია. მითებშიც ხომ ასეა – ქაოსიდან წარმოიქმნება წესრიგი.

რომანის გმირები – ასტამური, ნატაშა, ნიკა და სხვები, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, "მოხეტიალე მტრედები", ან უძღები შვილები არიან, რომლებიც სულიერი სიმშვიდის, თუ ფეხქვეშ მყარი ნიადაგის ძიებაში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ან კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობენ.

ეს მოგზაურობა კი, როგორც საბოლოოდ აღმოჩნდება, სულაც არ ყოფილა სიბრძნის მოპოვების გზა, ან, როგორც სამშობლოში დაბრუნებულ ასტამურს საყვედურობს ბავშვობის მეგობარი ოთო: "ყველანი ვიყავით პოეტები, ძმაო, მაგრამ გაყინულ ტრამვაიში რაღაც ვეღარ ვიგრძენით ამის აუცილებლობა... შენ, რას ამბობ, შავი ყანჩების გადაფრენა რომ არ გენახა... ხო, ვერ მოაღწია ვერც ქრისტიანულმა სიბრძნემ და ვერც კარეტების ჭრიალმა".

ბავშვობიდან ჩიტებით გატაცებული ახალგაზრდა ორნითოლოგის – ასტამურის ე. წ. განსწავლის წყურვილი თუ თვითშემეცნების მცდელობა უშედეგოდ მთავრდება. ყველაფერი კი მაშინ ხდება ნათელი, როცა იმას, რის ნახვასაც მთელი ცხოვრება ნატრობდა – მისსავე ქვეყანაში იხილავს (ისევე, როგორც კოელიოს "ალქიმიკოსში" ხდება). ისპაჰანის ბულბულების გადაფრენა ფესვებისკენ დაბრუნებასთან ერთად, ორიენტალისტური სიბრძნის, როგორც, ზოგადად, ცოდნის დასაბამის უპირატესობაზე მიგვანიშნებს.

რომანშიც ხომ ხშირად ვხვდებით მითითებებს – ინდური ფილოსოფიის თუ კაბალას არაერთგზის მოხსენიების სახით. ქაოსისკენ, როგორც ფესვებისკენ სწრაფვა, დასაწყისშივე ჩნდება: "ერთ მუხლზე მე ვიჯექი, მეორეზე – ჩემი ძმა. ბაბუა გერმანულ სიმღერას მღეროდა. შიში გვერეოდა. თუმცა მაინც სიამოვნებით მივილტვოდით ქაოსისაკენ". ბაბუა – პატრიარქი, ერთგვარად, წინაპრების კრებითი სახეა. იქნებ სწორედ ბაბუის (და არა ქართული მოდერნისტული რომანებისეული დედ– მამის), როგორც საკუთარ ქვეყანასთან დამაკავშირებელი ფესვების წარმოჩენით, ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, მშობლების თაობა, რომლებიც შვილებს არცთუ სახარბიელო მემკვიდრეობას უტოვებენ და საკუთარი სიამოვნებისთვის, მათსავით შორეულ ქვეყნებში ცდილობენ თვითდამკვიდრებას (მაგ.

ბატონი გია თუ ტატას მამა); მეორე მხრივ, წინაპრები, ზოგაგად, ან, ავტორის თქმით, "კავკასიელი ალქიმიკოსები", რომელთაც დღემდე შემოინახეს საიდუმლო. ამიტომაც არის, რომ ხმელეთიდან შორს, ზღვაში გემით მოგზაურობა რომანში საყრდენს მოწყვეტილი არსებობის მეტაფორაა: "წყალში სამოგზაუროდ ისინი მიდიან, ვისაც ხმელეთზე არ დაედგომება... სულ ქვევით,... ზღვის ფსკერზე, ხიზილალაგამოტენილი თევზები ანცობენ. ასეთ დროს მათი სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე შენი". ნიკას კოლაჟური ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები – წებოთი შეკოწიწებული დეტალები კი, თავისი დანაწევრებული და დარღვეული მთლიანობით, რომანის გმირების ამბავს მოგვაგონებს, სადაც სხვადასხვა ეპიზოდი – ერთი ადამიანის ისტორია და, იმავდროულად, მთელი თაობის ტრაგედიაა. ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარი თავის ძიებაში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, თითქმის მთელ დღეებს უმიზნოდ ატარებენ: "ქოთან– ball – ეს თამაში ნიკამ მოიგონა.

დიდი ოთახის ცენტრში ეკიდა თოკი, თოკზე საშუალო ზომის საკმაოდ მძიმე ქოთანი, რომელიც წრეზე ტრიალებდა. ტრიალის დაწყებიდან სამიოდ წუთში ქოთანი არნახული სისწრაფით მოძრაობდა... რა იყო ამ თამაშში საინტერესო?.." ზოგჯერ კი "ხან New York– ზე, ხანაც სემიუელ ბეკეტზე, ანდა სულაც ფოტოგრაფიაზე საუბრობდნენ. მუსიკა ბოლო ხმაზე და ცეკვა თეთრი საცვლების გამოჩენამდე. მოულოდნელად ბიჭები ძირს, ხალიჩაზე რაღაცის ძებნას იწყებდნენ, საქმიანად და მიზანმიმართულად დაცოცავდნენ, რაღაცას კრეფდნენ... პოულობდნენ... ილუზია...

და როდის, როდის მიხვდებოდი, რომ ახლა მათ ფილტვებში კოკაინი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჰაერი". ახალგაზრდები მაინც უცხოდ გრძნობენ თავს ქვეყანაში, სადაც ეკლესია დისკოთეკადაა გადაქცეული და საკუთარი წარმომავლობის გამუდმებული მტკიცება უხდებათ. ემიგრანტულ შეხვედრებზე კი ამსტერდამის ქართული დიასპორის წარმომადგენლები საკუთარ მიკროსამყაროში ცხოვრობენ. სალონურ შეკრებებზე მათი

დიალოგები რომანის სიუჟეტურ ფონს ქმნის. ამ დიალოგებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აქ, ამ უცხო ქვეყანაში ოდნავადაც არ შეცვლილა მათი ცხოვრება, თითქოს საგულდაგულოდ შემოუნახავთ თავიანთი თვისებები და თბილისიდან გამოყოლილი ჩვევა – რუსულ ენაზე საუბარიც არ დავიწყებიათ, როგორც კარგი ტონი.

რომანში მოქმედება სასიყვარულო სამკუთხედის ფონზე ვითარდება. მაგრამ შეიძლება ამას, პირობითად, სასიყვარულო კვადრატიც დავარქვათ, ვინაიდან აქ ოთხი პერსონაჟის ურთიერთობებია გახსნილი.

თუ კიდევ უფრო განსხვავებული კუთხიდან შევხედავთ და ამ პერსონაჟთა თვისებების თანხვედრას გავითვალისწინებთ, შეიძლება ეს სასიყვარულო ინტრიგა ისე გავიგოთ, როგორც ორი ადამიანის ურთიერთობა (მით უმეტეს, ამ ცდუნებისკენ თვით რომანი გვიბიძგებს). ერთი სიტყვით, ეს ერთგვარი რომანი-გამოცანა, ან რომანი-თამაში გახლავთ, სადაც წარსულის და აწმყოს ეპიზოდების მიზანმიმართული აღრევა ემსგავსება იმას, რასაც ჰიპერტექსტს, ანუ არათანმიმდევრულ თხრობას უწოდებენ და რაც კორტასარის "კლასობანასთან" თუ პავიჩის რომანთან "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში" ასოციაციას აღძრავს (მით უმეტეს, სამკურნალო სეანსებზე ტატა სწორედ "კლასობანას" კითხულობს); ხოლო მკითხველი გამოცანის გამშიფრავს, ან მოთამაშეს ემსგავსება, რომელსაც კითხვის პროცესში მოვლენათა მიზეზ–შედეგობრიობის დალაგებასთან ერთად, გარკვეული დასკვნებიც გამოაქვს.

თუმცა, ზემოხსენებულ ავტორთაგან განსხვავებით, ნესტან კვინიკაძე თავების ნუმერაციას სულაც არ გვთავაზობს და ამ მხრივ, წაკითხვის ინსტრუქციებს არ გვახვევს თავს.

მონაცვლეობით, პირველი და მეორე პირით თხრობას კონცეპტუალური დანიშნულება აქვს, რაც პერსონაჟთა სიმრავლესა და ეპიზოდების მონტაჟური განლაგების პარალელურად, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მთავარი გმირების სამყაროს დანაწევრებულობაზე. ეპიზოდების მონტაჟი და დასასრულს წარმოდგენილი "ცნობიერების ნაკადის" მაგვარი ასოციაციური ფრაგმენტულობა თხრობას დინამიურს ხდის. ამასთან, რომანში არაერთ პაროდიულ პასაჟს ვხვდებით, იქნება ეს დოსტოევსკის "თეთრ ღამეებზე" თუ რობაქიძის "გველის პერანგზე". ხოლო ფრაზა – "ჩვენთან ყოველთვის ბრუნდებიან გმირები", თითქოს, ერთდროულად, "დიონისოს ღიმილსაც" შეგვახსენებს და ჰომეროსის პოემასაც.

ირონიულია ზღაპართან ალუზია, როცა საუბარია იმაზე, რომ ასტამური წლობით კი არა, დღეებით იზრდებოდა; ბავშვობაში ავადმყოფობის შემდეგ დასერიოზულებული და

ჩამოყალიბებული ასტამური კი უბნელ თანატოლებს ჰამლეტის მონოლოგის პაროდიზებული ფრაზით მიმართავს: "რაღაც დამპალა უბანში"...

რომანის ბოლოს ირკვევა, რომ ამბავი, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ, შესაძლოა იყო არა ასტამურის, არამედ მისი ძმის – ფარვიზის თავგადასავალი (ისევ "დიონისოს ღიმილი"!) და რაც თითქოს ლინკით დასაწყისისკენ, ასტამურის /ფარვიზის/ სიტყვებისკენ გვაბრუნებს, რომ რომანის ლაბირინთში შეგვიტყუოს და კითხვის კიდევ ერთი წრეც გავიაროთ: "მე დღემდე არ ვიცი, რომელი ვარ – ფარვიზი, რომელზეც ამბობენ, რომ მოკვდა, თუ ასტამური, რომელზეც ამბობენ, რომ გადარჩა". რომანის მსვლელობისას სულ უფრო იკვეთება ორნითოლოგი ასტამურის და ხელოვანი ნიკუშას /იგივე ნიკას/ იგივეობის თემა, რომელიც ჩიტის ხმაზე უსტვენს ხოლმე. ამგვარი მისტიფიკაციაც თამაშის ნაწილია. რომანის დასასრულს "ბატონების" შელოცვა კიდევ უფრო კრავს ზღაპრისეულ სიუჟეტს და თან მიგვანიშნებს, რომ ასტამურის სამშობლოდან წასვლა და უკან დაბრუნება – სახადის მოხდის ტოლფასია, რის შემდეგაც უკვე განწმენდილი, სამადჰის მდგომარეობას, ანუ იმას მიაღწევს, რასაც ქართულად "როგორც შერწყმას, ისე ვთარგმნით", სადაც "შენ" – "მე"-დ გარდაიქმნება, ისევე როგორც ერთ პიროვნებაში გაერთიანდება ასტამური და ნიკუშა; სადაც აღარავის ეცოდინება, თუ რა არის "საგანთა დუბლიკაცია" და ყველაფერი ერთადერთი, განუმეორებელი იქნება; სადაც ჩვენც სოდომამდელ, სიყვარულის ენას გავიხსენებთ.

მაგრამ, ვინ იცის... იქნებ, ესეც ჩვენებაა და სინამდვილე არც ყოფილა...

სინამდვილე ხომ "სინემას ჰგავს"...

გაგა ლომიძე

"ჟამიდან-ჟამს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ეგონა დუმილს დაარღვევდა. უნდოდა ეთქვა: "აჰა, იხილეთ, ღონემიხდილი და სავსე ნაყოფი", მაგრამ კვლავ დუმილის საუფლოში რჩებოდა".

ჰაროლდ ბლუმი

ბიოლოგიური დერეფნები

ერთ მუხლზე მე ვიჯექი, მეორეზე – ჩემი ძმა. ბაბუა გერმანულ სიმღერას მღეროდა, შიში გვერეოდა. თუმცა მაინც სიამოვნებით მივილტვოდით ქაოსისაკენ. ბაბუა სიმღერას თან ფეხების მოძრაობას უწყობდა, თამაშის კულმინაცია იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ-ერთ შეძახილზე ბაბუა თვალებს ხუჭავდა, ფეხებს ძლიერად დაკრავდა და ორივენი ძირს ვვარდებოდით.

ამის შემდეგ კი, მოულოდნელად, კვლავინდებურად თავს ვესხმოდით ბაბუას მუხლებს. დაჭყეტილი თვალებით ხან ერთს გამოგვხედავდა, ხან მეორეს. "ვაი" – შესძახებდა. ისევ ამერიეთ? შენ რომელი ხარ... და იწყებოდა თავიდან.

ტყუპები კი გვინახავს, მაგრამ ასეთი მსგავსება – ნამდვილად არასდროს, – აღნიშნავდა ყველა. თურმე დედაც ვერ გვარჩევდა ერთმანეთისაგან.

ასე რომ, მაშინ როდესაც უბედურმა შემთხვევამ ოთხი წლის ასაკში ერთ-ერთი ტყუპი იმსხვერპლა, ვერავინ გაიგო რომელი მათგანი უნდა ეტირათ; ანუ მე დღემდე არ ვიცი, რომელი ვარ – ფარვიზი, რომელზეც ამბობენ, რომ მოკვდა, თუ ასტამური, რომელზეც ამბობენ, რომ გადარჩა.

ყოველ ღამე ოფლიანს წამომაგდებს ხოლმე სიზმარი, სადაც ბაბუას ტყუპები უზის მუხლებზე, ხან ერთი აფარებს თვალებზე პატარა ხელს, ხან მეორე: – ბაბუ! აბა, რომელი ვარ? ბაბუ! მაინც ხედავ? ნუ იჭყიტები ბაბუ! რომელი ვარ!!! ტყუპებს ხელები უსველდებათ და ბოლოს ხვდებიან – ბაბუ ტირის...

იდაყვებზე დაყრდნობილი, უწყინარი გამოხედვით, კარგა ხანს უცქეროდა ფანჯრიდან სადგურებს, ქალაქებს, კიტრის ნიღბებს რომ დაეფარა. ვეებერთელა აფიშები, ქალის პორტრეტი დიდი სიგარით – დიუსელდორფი.

შემდეგ მზერა გვერდით მჯდომ ახლადშერთულ მეუღლეზე გადაიტანა, კისერში აკოცა და თავი მიადო.

ჯერ არცერთი ფერი არ შეხამებია ერთიმეორეს ისე, როგორც ეს წყვილი ემსგავსებოდა იბერიული* და კოლხური** კულტურების გადაკვეთაზე განცდილს.

ჯერ ერთი გაიღიმებდა და ღიაყავისფერ თვალებთან, მანერული ნაოჭი ჩნდებოდა.

მერე მეორე აჰყვებოდა და თავადური გენი მაინც თავის კალაპოტში მოაქცევდა ძალიან ახალგაზრდა წყვილს. ნათალი თითებით ერთმანეთის ნაკვთებს ამოწმებდნენ. გოგონა გრძელ თმას მიუშვერდა ბიჭს მოსაფერებლად. სახე ჰოლანდიისაკენ მიმავალი სწრაფი მატარებლის ფანჯრიდან შემოსულ, დუისბურგის, ობერჰაუზენის განათებულ სარეკლამო აფიშებს ირეკლავდა.

როგორი იყო ახლა ასტამური? მიჰქონდა თუ არა რაიმე ტვირთი, ან ცოდნა თუ მიჰქონდა საერთოდ. ოთხი წელი ბიოლოგიურზე ორნითოლოგიას სწავლობდა და შესანიშნავად ფლობდა ინგლისურს. რუსულს ხომ თავისთავად.

ორნითოლოგიის შესწავლას ახლა იქ გააგრძელებს. ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ სირთულე შეხვდება ამ თვალსაზრისით, რადგან ღრმად სწამს, რომ საკუთარი პროფესიის არჩევა მის შემთხვევაში ყველაზე დიდი მისტიურობით არის განპირობებული და ამისთვის მას ნამდვილად ეკუთვნის ჯილდო, ჯილდო თუ არა რაიმე კომპენსაციის მსგავსი მაინც, რაც ცისკენ მიპყრობილ თვალებს დაკვირვებისთვის სამადლობელს შესწირავს.

ჯერ კიდევ ხუთი წლის ასტამური აგვისტოს ბოლოს სოფელში მიაბარეს ბებიას, – მშობლები სამსახურებრივი დავალებით რუსეთს სტუმრობდნენ, სადაც მთელი შემოდგომა დარჩებოდნენ.

იმერეთში***, სოფელ ჭყვიშში იმ დროისთვის აღარცერთი დამსვენებელი აღარ იყო, ვის სასკოლო ასაკი, ვის სასექტემბრო სამზადისი. ასე რომ, პატარა ასტამური ბებოს ამარა დარჩა სოფელში, რომელიც სავსე იყო შეუცნობელი მოვლენებით, სახლ-მუზეუმებით, საჯილდაო ქვებით**** და ადრიანი შემოდგომის მზის ჩასვლებით.

ზაფხულით გადაღლილ სოფელში, ასტამური რუხ ბატებს დაუმეგობრდა, რომლებიც ბებიას მოეშინაურებინა და დიდ მწვანე მოლზე ჰყავდა მიშვებული.

და იწყებოდა დილა რუხი ბატებით.

ხან ნისკარტზე კოცნიდა, ხანაც რიონის ნაპირებისაკენ მიუძღვებოდა წინ. ყველა მათგანს ერქვა სახელი. ასტამურის თვალწინ წყვილდებოდნენ და იპრანჭებოდნენ ბატები. ანცობდნენ და იქნევდნენ ფრთებს.

ასტამური თავად ეზოში სადილობდა. ბებია საუცხოოდ მორთავდა ხოლმე პატარა მაგიდას, რომელსაც ხელებდაბანილი და თმადავარცხნილი ასტამური ჯორკოს

მიადგამდა და თან მიირთმევდა, თანაც დიდ მწვანე მოლზე შორიახლოს მიმოფანტულ ბატებს გასცქეროდა.

ძილის წინ, ჯერ ბატების მართლაც რომ ეფექტურად ძილისმომგვრელი ყიყინი უნდა მოესმინა, მერე კი სიამოვნებით შეწვებოდა გაქათქათებულ თეთრეულში.

ხუთი წლის ასტამური, ძალიან დაღლილი, ძილს მიეცემოდა და სიზმარშიც რუხ ბატებს ეთამაშებოდა. ასე გადიოდა დღეები, ერთი თვე, ორი თვე, ასტამურს მთელი ეს დრო არც მამა გახსენებია, არც დედა.

ბებომ სუსხიანი დღეების დადგომისთვის თბილი სამოსი ამოიღო სკივრიდან და ასტამური ახლა ქუდით მწყემსავდა შემოდგომის ბატებს.

ერთ დილას შედარებით მოწყენილი ეჩვენა ასტამურს რუხი ბატები. მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და გაუცინა. აქეთ-იქით დახტოდა, ყოველანაირად ცდილობდა გაერთო. ბატები უცბად აყვებოდნენ თამაშში, შემდეგ ისევ მოიწყენდნენ.

"რა მოხდა" – თვალებში ჩაჰყურებდა პატარა ბიჭი. ბატები ჩვეული ტაატით გაუყვნენ სახლის გვერდით მდებარე ხეივანს, გაიარეს ორი სახლ-მუზეუმი, ერთი ღობე რომ ჰყოფდა. ასტამური უკან მისდევდა – ხან ერთს ეძახდა, ხან მეორეს. ბატები თითქოს აღარ ემორჩილებოდნენ და უფრო სწრაფად მიიწევდნენ რიონის* ნაპირებისკენ. ასტამურს ჯერ მხოლოდ სწყინდა. მას არ ჰქონდა გამოცდილება და, შესაბამისად, მსჯელობის უნარი, მოვლენები რომ ერთიმეორესთან დაეკავშირებინა. ჯგუფად შეკრებილმა ბატების გუნდმა, თითქოს საბოლოო მზერა მოავლეს ასტამურს, გაისმა უცნაური ხმა და გუნდი ცაში აფრინდა, ნელ-ნელა უფრო ზევით, უფრო და უფრო ზევით.

ალბათ, ახლა წერტილივით ჩანდა რიონის პირას დარჩენილი ბიჭი, რომელსაც ვერაფრით გაეგო, რატომ გაფრინდნენ რუხი ბატები, რატომ უღალატეს სამთვიან მეგობრობას ან, საერთოდ, სად წავიდნენ.

ასტამური ტიროდა, ტიროდა ისე, როგორც არასდროს, რაღაც დიდი შემოსულიყო მის პატარა სამყაროში. თან დამნაშავე ეგონა თავი, თან შიშმაც მოიცვა. ასტამური სახლში მირბოდა, გული ამოვარდნამდე უცემდა, ცრემლები ღვარად ჩამოდიოდა. მირბოდა ბებიასთან და თან ჯიბეებიდან სიმინდის მარცვლები უცვივოდა.

როგორც ბებო აძლევდა ხოლმე შვილიშვილს გადანახულ კანფეტებს, ისე ათამამებდა ასტამური გამოკვებილ ბატებს და მოულოდნელად უწყობდა სიურპრიზს, ჯიბიდან სიმინდის მარცვლებს იღებდა და მეგობრულად უნაწილებდა მათ.

– ბებია!!! – შევარდა ეზოში და მოხუცი საზარელმაშიშმა შეიპყრო.

ასტამური კალთაზე გამოეკრა ერთადერთ ახლობელს და ცრემლებში დამღრჩვალმა მოხუცს ვერ გააგებინა, თუ რა აწუხებდა. მზის ჩასვლამდე ტიროდა პატარა ბიჭი და იმ წუთს ვერავინ დააწყნარებდა მას, ვერავინ აუხსნიდა ბატების გაფრენის აუცილებლობას, და რომ ასე იყო ყოველთვის...
საღამო ხანს ასტამურმა თვითონ თხოვა ბებიას, დამაწვინეო. დაწვა და ასე იწვა სამი კვირა, რადგან გვიან ღამით ბებია ასტამურის ბოდვამ გააღვიძა, თავიდან ფეხებამდე ოფლიანს, მაღალი სიცხე არ აძლევდა მოსვენებას. ბებიამ პატარას ძმრიანი წინდები ჩააცვა და გვერდით მიუწვა.

ასე იყო სამი დღე. სიცხე არ ვარდებოდა.

მხოლოდ მეოთხე დღეს, როცა სოფლის ექიმი იხმეს, გასაგები გახდა ყველაფერი – ბატონები*.

წითლებით მორთულ ოთახში ყველაფერი იყო – ტკბილეულით დაწყებული, სათამაშოებით დამთვარებული. მაგრამ ასტამურს არაფერი არ უნდოდა. იგი ყველა სათამაშოზე სრულყოფილი იყო ახლა, ამიტომ ხელსაც არ აკარებდა მათ.

ბრაზობდნენ ბატონები, მაგრამ მათ (ასტამურისა და ბატონების) ერთადერთ სურვილს ვერანაირი ძალით ვერ დაექვემდებარებოდა გადაფრენის ინსტინქტი.

ასტამურს აღარასოდეს უხსენებია რუხი ბატები. გახდა და ახლა ხშირად გასცქეორდა ხოლმე გზას, რომელსაც მალე დედა და მამა უნდა გამოჰყოლოდნენ.

ასტამური პატარა იყო და ამიტომ ვერ გამოხატავდა იმ ტკივილს, რაც უღრღნიდა მუშტისხელა გულს.

მხოლოდ წამოზრდილმა, 16– 17 წლის ასაკში, სავარაუდოდ, სტერეოტიპების დასანგრევად, ორნითოლოგიის შესწავლა გადაწყვიტა. სად ან რატომ მიფრინავენ ფრინველები?! – ეს იყო კითხვა, რომლის პასუხის ძიებასაც მთელ ცხოვრებას მიუღძვნიდა ასტამური.

უტრეხტში უკვე ამოლაგებული წიგნების და დღიურების ჩალაგება დაიწყეს. შეიკრა ელვა და აქედან დაიწყო სულ სხვა ესკალატორის საფეხური, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის.

სადგურიდანვე იგრძნობოდა, რომ აუტანელი დღესასწაულის ქალაქში მოხვდნენ. ტაქსებს მიუახლოვდნენ.

თეთრი ფერის ავტოს გაურკვეველი ეთნიკური წარმოშობის ახალგაზრდა ბიჭი მიყრდნობოდა. ლუდს სავმდა. თვალს არ აშორებდა წყვილს და უცინოდა. შემაწუხებელმა მზერამ ახლადჩამოსული სტუმრები დააბნია, დაძაბა და დიალოგის წინაპირობა წარმოშვა.

– What is up!!! – მენტალური კატეგორიულობით მიმართა ასტამურმა. გოგონამ ნერვიულად ჩასჭიდა ერთი ხელი მეუღლეს, მეორე კი ჩემოდნებს.

უცნობი ღიმილს არ იშორებდა.

მან ლუდის ბოთლი მანქანის კაპოტზე დადო, ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო და სიცილით თქვა – Hey! It is Amsterdam!

არა, მაშინ კი არა, ელვა რომ შეკრა, სწორედ ახლა დაიწყო რაღაც ახალი. უკიდურესად ახალგაზრდული და ჰედონისტური შეხდულებებით სავსე წყვილი ცოტა ხნით მოწყდა ფერმკრთალ სიშორეს. თუმცა ეს მათ ეგონათ ასე. ცოტა ხნით?!

ასტამური და ნატაშა – ყველაფერი წინ არის.

ცხოვრება ქალაქში, რომელიც მათ წინაპრებს საერთოდაც არ უნახავთ.

ბაბუას დატოვებული ოთხოთახიანი ბინა ასტამურმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაყიდა, ფული ჯიბეში ჩაიდო და ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად იმ ქალივით მიატოვა საკუთარი ქალაქი, რომელსაც არავინ ყვარებია შენნაირად. შენ კი სწორედ იმიტომ მიდიხარ, რომ გარანტირებული გაქვს ეს გრძნობა.

გჯერა, გწამს და მოგწონს მომლოდინე. მერე თხზავ თქვენი შეხვედრის ისტორიას. თუ როგორ უყურებ თვალებში ქალს, რომელსაც ხელზე უკოცნია შენთვის, რომლის ქალაქშიც ტბა მართლა ისე არ გაიყინება, რომ მარტში ყინული გატყდეს და ამ ხმამ შენი თავი არ გაახსენოს. მაგრამ არის ბევრი სხვა; ის, რაც გრაფიკულად ზეპირად ნაცნობ ქუჩებში უშენობას აშკარას გახდის.

ყველა შემთხვევაში ასე ხდება. და რატომღაც ყველა ემიგრანტის მონოლოგი თავისი ინტელექტუალური სენტიმენტალიზმით ძალიან ჰგავს ხოლმე ჯილდომინიჭებული მწერლების სამადლობელ ლექციებს.

თვალცრემლიანები, ყალბი აბზაცებით რომ მოიხსენიებენ გაჭირვებულ ქვეყნებს.

დარდით ივსებიან, რომ სადღაც დღემდე სჯერათ ადამიანებს – ვარსკვლავების მოძრაობას ერთი მაწანწალა სპილოს ღვიძლი წარმართავსო; ტყუპის მშობელ დედას

სიკვდილით სჯიანო. მადლობას უხდიან სოფლის ბავშვებს, რომლებიც კილომეტრებს გადიან სკოლაში მისასვლელად. ამას ის ადამიანი ამბობს, რომელიც ერთ დღესაც საკუთარი სტატუსით ისარგებლებს – მე მწერალი ვარო იტყვის და, რომელიმე "ეგზოტიკურ" სოფელში გადაიკარგება ახალი წიგნის დასაწერად, გამოცდილების დასაგროვებლად კი ობობის ქსელივით რომანს სწორედ იმ ქალთან გააბამს, რომლის შვილიც კილომეტრებს გადის სკოლაში მისასვლელად ავდარშიც და პაპანაქება ზაფხულშიც. მერე ორივე მთავრდება რომანიც და რომანიც და რჩება ქალი მარტო. მწერალი ავტობუსში ბოლო სკამზე ზის – ბრუნდება სახლში. ორღობეში მდგარი ქალი კი დგას იქამდე, სანამ არ იქცევა წერტილად. წერტილად და არა ათვლის წერტილად.

რადგან მწერალი ავტობუსში ხელოვნურად აჩქარებს მოვლენებს ისე, რომ ვერც კი გრძნობს – ვიღაცას ძალიან უჭირს სწორედ ახლა, ამ წამს, უჭირს პირველად თავის ცხოვრებაში. ქვეცნობიერად დაშვებული გათიშულობა კი არსებულს შეუმჩნეველს ხდის.

* * *

უმცროს დასთან ერთად იმ ზაფხულს ბებიასთან და ბაბუასთან ვატარებდი ვეებერთელა სახლში, კიდევ ბიძა, ბიცოლა – თათული და ბიძაშვილები ცხოვრობდნენ.

თათულის ნამცხვრების შეკვეთები ჰქონდა და, შესაბამისად, სამზარეულოში გამუდმებით ტრიალებდა შესანიშნავი სურნელი.

ჩვენ პატარები ვიყავით – უზნეოები, ნება რომ ყოფილიყო, დღეში ას ტარტალეტკას, ამდენივე ეკლერს და ოდნავ მეტ ნაპოლეონს შევჭამდით. ამიტომ კატეგორიულად გვეკრძალებოდა ნამცხვრების შორი– ახლოს გაკარება.

– იცოდეთ, დათვლილი მაქვს, მოაკლდება და დასჯის ახალი მეთოდი მერე ნახეთო, – დაგვაშინებდა თათული და ჩვენც, პატარა ფანჯრიდან, წვალებით ვითვლიდით: ხან მეტი იყო, ხან ნაკლები.

მოკლედ, ბოლოს კრემიან ქვაბებს დაგვაჭერინებდნენ ხელში და, ასე თუ ისე, მაინც ბედნიერები, ტკბილ თითებს ვილოკავდით.

ერთ დღესაც ვიღაც დალოცვილებმა, – საუცხოო ტარტალეტკების შეკვეთა მისცეს თათული ბიცოლას, სტანდარტული ზომის კი არა, როგორც ყველა ტარტალეტკა, დიდი, ძალიან დიდი და საოცრად მორთული, მაღალი კონუსები, ალუბლებით გატენილი და გლაზური აქა– იქ წვეთებად.

მე, ჩემი და და ორი ბიძაშვილი, პირდაღებულები ვიდექით ფანჯრის წინ, თათული ისეთი სისწრაფით აფორმებდა მსუქან ტარტალეტკებს, ისეთი დახელოვნებული იყო, რომ ეს ცალკე სიამოვნებას გვანიჭებდა, და როდის-როდის აღმოვაჩინეთ – ოთხი "ვიზიონერი" იმ წუთას დაჩოქილი მდგარა ფანჯარასთან.

მოკლედ, მოგვბეზრდა ჭვრეტა. ხან თოჯინებს ვუკეთეთ ოპერაციები, ხან მეზობლის პატარა ბავშვებს ვაწიწკნეთ თმები, ბოლოს იყო წუწაობა. ამ თამაშში ყველას თავისი ტარა ჰქონდა, წუწაობა ჩვენში გართულებული ხასიათის გართობას წარმოადგენდა – უნდა დაიმალო და შემდეგ მოულოდნელი იერიში მიიტანო მოწინააღმდეგეზე.

ჰოდა, შუაგულ თამაშში, ნახევრად სველი და აჟიტირებული სამზარეულოს კარის უკან აღმოვჩნდი, და თვალი მოვკარი, თათული ბიცოლა როგორ აწყობდა ყუთში მსუქან ტარტალეტკებს.

უეცრად გამომხედა, საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა – ჩუმადო მანიშნა და ერთი ტარტალეტკა გამომიწოდა. ღმერთო! – სიხარულისაგან დამიბნელდა თვალებში. ერთ ხელში ტარტალეტკით, მეორეში – წყლით სავსე ბოთლით გავიქეცი; ახლა მოწინააღმდეგეს კი არა, მეტოქეებს გავურბივარ. ყველაფერზე ერთდროულად ვფიქრობ – ოთხად თუ გაიყო ეს "მსუქნუშკა" რაღას ივარგებს. სად დავმალო, სად ვერ მიპოვნიან, ხან სველი ფეხი მომიცურდა, ხან ბოთლი გამივარდა. და გამახსენდა – ერთი ოთახი, სადაც ვერასოდეს მიპოვნიან ჩემხელა, 7– 8 წლის ბიძაშვილები, და ვერც ჩემი უმცროსი და – შორიდან რომ ისმოდა მათი შეძახილები. და ამ ფიქრებით ბაბუს ოთახში ჩუმად შევედი.

ხის საკიდს, რომელზეც საწვიმარები და ორი შავი ქოლგა ეკიდა, ამოვეფარე და დავდექი. გული ფეთქავს, მაისურს და შორტებს წყალი გასდის, მიჭირავს ტარტალეტკა და ჯერ გაუბედავად ვახებ ენას. ბაბუა საწოლში წევს და კედელთან მიდგმულ საწოლზე მარჯვენა მხარეს დაკიდებულ რადიოს ხელით წვდება, აუწევს, რადიოდადგმაა, – რაში მაინტერესებს. ახლოვდება ბავშვების ხმები, რომლებიც ოთახებში მეძებენ, ხან რას მპირდებიან, ხან – რას, ოღონდ გამოვჩნდე. მე უკვე ჩაკუზული ვჭამ ტარტალეტკას და ვაყოლებ წყალს. პერიოდულად გავხედავ ბაბუას, რომელთანაც ათი ნაბიჯი მაშორებს. თვითონ კი, რა თქმა უნდა, ვერ მხედავს.

ბაბუა ბრმა იყო და ლოგინად ჩავარდნილი. უეცრად ოთახის კარი გაიღო, სამი პატარა თავი გამოჩნდა – ბაბუ! – გაისმა წრიპინი – ტატუნა ხომ არ შემოსულა? – აარა, ბაბუ...

და გოგონებმა კარი ბოლომდე გაიხურეს. გული შემეკუმშა, ამ კარის გაღებას აშკარად გაიგებს ბაბუ... რა ვქნა, ვზივარ საკიდის ფეხზე, ტარტალეტკა ბოლომდე შევჭამე,

წყალიც აღარ მაქვს, ვარ სველი და ვიგონებ ამ ფოთახიდან გაუჩინარების გეგმას. და უეცრად

– ტატუნ! – დამიძახა ბაბუმ. – გამოდი ბაბუ, არ გაცივდე.

ჩამიშხამდა მთელი ზაფხული, – ასე მეგონა იმ წუთს. საიდან მიხვდა, – ვფიქრობდი, ვწვალობდი. აბა, მე რა ვიცოდი, რომ ბაბუ ყველაზე სასტიკი ადვოკატი ყოფილა იმ მხარეში. აბა, ჩვენ, პატარებს ვინ გვეტყოდა, რომ ბაბუს დაბრმავება ომში მიღებული ტრავმა კი არა, როგორც ამას ჩვენ გვეუბნებოდნენ, არამედ ერთ-ერთი ბრალდებულის გამწარებული ქალიშვილის სამაგიერო იყო.

სველი და მობუზული გავიპარე ოთახიდან. გოგოებს გაეხარდათ ჩემი დანახვა – სად იყავი? – მეკითხებოდნენ. მე მრცხვნოდა და თვალს ვარიდებდი მათ.

ბაბუს ოთახში კი მთელი ზაფხული აღარ შევსულვარ.

ამის შემდეგ მხოლოდ კარის შორიახლოს დავდგებოდი და ყურს ვუგდებდი რადიოს, ჟღერადობითაც სხვანაირს და იდუმალს, რადგან როგორც ბაბუა მეუბნებოდა ხოლმე, ეს არ იყო უბრალოდ რადიო, ეს იყო რადიო "თავისუფლება".

რომ გაიზრდები, რადიოში დაიწყე მუშაობა და ყველაფერს მიხვდებიო, – მარიგებდა ბაბუა.

ასეა თუ ისე, ტატუნას საყვარელი თამაში რადიოში მუშაობა გახდა. მეზობელ ეკასთან ერთად სკამის ქვეშ შეძვრებოდა, სახაზავზე დამონტაჟებულ პლასტმასის ჭიქას დაიდგამდა და ფურცლებზე მითითებულ არნახულ ინფორმაციას ავრცელებდა, თანაც ჩუმად, მალვით, თითქოს იყო იქ ვინმე, ვინც ბავშვებს სიტყვა ცენზურას აკადრებდა. ტატუნა... რადიო თავისუფლებისათვის.

თბილისი. – ეს იყო ჯადოსნური წინადადება, რისი ხათრითაც იწყებოდა საერთოდ თამაში.

ტატუნას დაბადების დღეა. საკუთარი სახლის ეზოში დღეს ორმოცამდე ბავშვი აირევა.

საგულდაგულოდ მორთულია სუფრა, ტატუნა აჟიტირებული გადი– გამოდის.

კარზე ზარი გაისმა. ბიძამ, დედის ძმამ, ჯერ ფეხი არ ჰქონდა შემოდგმული, რომ წამსვე ხელში აიტაცა სადაბადებისდღეოდ შემოსილი იუბილარი.

აჩიკომ, ასე ერქვა ტატაზე ათი წლით უფროს ბიძას, საჩუქარი გაუწოდა ტატუნას, რომელმაც სიმღერ– სიმღერით დაიწყო საგულდაგულოდ შეფუთული ყუთის გახსნა.

უეცრად სადღაც გაქრა ტატუნას სიხალისე. ძვირფასი სენტიმენტალობა ეწვია და პასუხისმგებლობა იგრძნო – მას ხელში ეჭირა ნამდვილი რადიო-მიკროფონი, დიდი და, რაც მთავარია, მოქმედი. ბავშვს თავისდაუნებურად ცრემლები მოადგა თვალებზე, ჯერ აუხსნელი, მაგრამ ზუსტი. სწორედ რომ ზუსტი იყო ახლა მისი განფცდა.

მხოლოდ აჩიკო თუ მოიფიქრებდა, ჭკვიანი და უცნაური აჩიკო, – ტექნიკური უნივერსიტეტიდან იოგამდე რომ გადადგა ნაბიჯი – ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე. მას ყველაზე მეტად ტატუნა უყვარდა, რომლის დაბადებაც შესანიშნავად ახსოვდა.

ინდური ჯადოქრობით გატაცებული, ტატუნას გამუდმებით უამბობდა ამ ქვეყანაზე.

– წავალთ, აუცილებლად წავალთ მე და შენ, აუცილებლად გადავალთ მედიტაციაში, აღარც სხეულს ვიგრძნობთ, აღარც მეს, თავად ვიქცევით იმ ობიექტად, რომელსაც ვჭვრეტდითო.

* * *

ამსტერდამული სასტუმროს ნომერში, ტელეფონის ზარი გაისმა. ჯერ მხოლოდ ამოძრავდა ორი სხეული საწოლზე. ამის შემდეგ კი ასტამური შეშლილივით ეცა ტელეფონის ყურმილს.

– ალო... აა...

გამარჯობა, გია ბიძია... – რაღა თქმა უნდა, რეკავდა მამას მეგობარი ემიგრანტი, ბატონი გია, რომელსაც ახალგაზრდა წყვილისთვის ბინაც ნაპოვნი ჰქონდა უკვე. ასტამურმა ყურმილი დადო, და იმავე ხელით ნატაშას მოეფერა თმაზე, ლოყაზე აკოცა და რატომღაც, ალბათ ხუმრობის ფორმა იყო ასეთი, ყურში ჩასჩურჩულა, რომ ბატონი გია, რომელიც ეს წუთია მეზობელი ქვეყნიდან დაბრუნდა, ორ საათში გამოივლიდა მათ წასაყვანად და დასაბინავებლად.

– მაშინ ყავა დალიოთ, ხო? – შესანიშნავ ბლუზურ რიტმზე აეწყო სათქმელი.

ტიპურ ამსტერდამულ სასტუმროში მომღიმარე მიმტანი შავკანიანი ყავის ასორტს სთავაზობდა წყვილს, რომელსაც როგორც სექტის ახალ წევრებს, ისე ევლებოდნენ თავს.

შემოსასვლელიდან ხელმარჯვნივ პატარა კაბინეტში წიგნების ყდები მხოლოდ წითელი, ყავისფერი და ყვითელი ფერისა იყო.

მუსიკალური ავტომატი, რომლის წინ ნატაშა რაღაც ძველის გასახსენებლად ჩამოდგა, ფართო არჩევანს სთავაზობდა.

მაგრამ ყავა, ყავა იყო ახლა მთავარი, და მზერა, მათი მზერა, ოდნავ შეშინებული. რა იცი, იქნებ სულაც არ წავიდეს საქმე და ცხოვრება ისე, როგორც ეს მათ ულტრაახალგაზრდულ ფანტაზიებშია.

ამსტერდამი?! მხოლოდ კამიუს ამსტერდამი სმენიათ, მომაჯადოებელი, ნეონის, ჯინისა და პიტნის ნაყენის ნისლში გახვეული... მოვლენათა ცენტრი, სადაც ევროპის ყველა კუთხიდან მოდიან და ჩერდებიან.

არხებისა და გემების სილუეტების ქალაქი. დიდი შავი ველოსიპედები.

და მართლაც, ახლა ბატონი გიას მანქანაში ფანჯრიდან მომზირალმა ასტამურმა აშკარად მიამსგავსა მგლოვიარე გედებს ველოსიპედით მოსეირნე ჰოლანდიელები და არა მარტო...

ოღონდ კამიუს შემდეგ დრო გასულიყო, დიდი დრო. ჯინის ნისლი ჰაშიშის ბურუსს შეეცვალა, და მთელი მსოფლიოდან თითო რიუკზაკით ჩამოსული ტურისტები ახლა ვეშაპის ხერხემალზე გაწოლილიყვნენ, ვეებერთელა ვარდისფერ ბამბის ნაყინებს მხოლოდ ენას ახებდნენ. და ამ ჯაჭვურ სიამოვნებაში, მაინც ცალ– ცალკე, ზოგს კუნძულისკენ მიუწევდა გული, ზოგს ინდოეთისკენ. ასეა თუ ისე, ყოველი მათგანი საკუთარ ენაზე იხმობდა ივლისისფერ ანგელოზებს.

ნატაშასაც ღია დარჩენოდა პირი. უკვირდა, რომ ქალბატონები ქუსლიანი ფეხსაცმელებით ასე საუცხოოდ ფლობდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის მართვის უნარს.

ფერადი ხელთათმანები და საუცხოო ქუდები...

ქუდები არა და არ მეორდებოდა, ერთს წვეტიანი, მეორეს ოვალური, მესამეს ჟოლოსფერი ბეწვის, ვიღაცას კურდღლის ყურები.

ამ ქალაქში არავის ციოდა. ყველა გოგონას უჩანდა ბრმანაწლავი – დაბალწელიანი ჯინსი და მოკლე ქურთუკი, მოდა თუ სხვა რაღაც – ეს როგორც წესი.

როდესაც ბატონი გია ემიგრაციაში წავიდა, ასტამური მაშინ სამი წლის გახლდათ. ასე რომ, მამის უახლოესი მეგობარი მხოლოდ დღეს იხილა პირველად. თუმცაღა ოჯახში გამუდმებით ესმოდა ლეგენდა ბატონ გიაზე, რომელსაც "ვიღაც ძალიან ცუდ კაცებთან

მოუვიდა უსიამოვნება და მალევე გაეცალა აქაურობას, რადგან სწორედ იმ ცუდი კაცების დრო დამდგარიყო".

ლეგენდა ბატონი გიას შესანიშნავი გარეგნობის შესახებ, ჭეშმარიტება აღმოჩნდა.

საოცარი აღნაგობის, მაღალი და დახვეწილი მანერების მქონე ორმოცდაათი წელს გადაცილებული ემიგრანტი, წამყვანი მოდელიორების ბოლო კოლექციას გაეტაცებინა და საღეჭი რეზინის გაწონასწორებული ღეჭვით, გიდის, ემიგრანტის და მამის მეგობრის როლს ერთდროულად ასრულებდა.

– ხოდა, დილით, ვიღვიძებთ სასტუმროში, მოსკოვში როგორ იღვიძებ დილით, მოგეხსენება. და მამაშენი მეუბნება, დღეს ასტამურის დაბადების დღეა, ორი წლის ხდებაო – მოქნილი გალანტურობით განაგრძობდა თხრობას ბატონი გია, – ზაფხულშია, ივლისშია ხო დაბადების დღე? – მზერით გადაამოწმა მხოლოდ. ასტამურმაც დასტურის ნიშნად თავი დაუკრა. ხოდა, ჩავყარეთ ბარგი, ტაქსში ჩავხტით და იმ წამსვე აეროპორტში მივედით. პირდაპირ ზღვაზე დავფრინდით და ღია კაფეში მოწყობილ დაბადების დღეს მაშინ შემოვუსწარით, ტორტში ჩამაგრებულ ორ სანთელს რომ სულს უბერავდი.

ასტამური და ნატაშა იღიმებოდნენ, თუმცაღა ცოტა გაუკვირდათ – ბატონი გიას გამძლე ტონი, ფინალისკენ სენტიმენტალურობას აშკარად დაეძლია.

– გია ბიძია, ცოლი არ მოგიყვანიათ ხო, – ჰკითხა ასტამურმა.

გიას ჩაეცინა... – აი, – და ხელი პირდაპირ გაიშვირა, – ეს არის ჰაინეკენის მუზეუმი, სტუმრებს მითითებას ამით მისცემთ ხოლმე. მანქანა მხოლოდ კინოში ნანახ სადარბაზოსთან გაჩერდა.

ჩემოდნების გადმოლაგება და დიასახლისის ფანჯრიდან გადმოხედვა ერთმანეთს დაემთხვა. ბატონი გია ჰოლანდიურად ესაუბრებოდა ასაკოვან ქალბატონს.

მალე გასაღები ახალგაზრდებს ჩააბარეს...

ნატაშა სამზარეულოს ფანჯარას მიყრდნობოდა. კონტრაჟურში ხილული მოკლე პალტო და გრძელი კაშნე, ცნობილი პერიოდის კინოს ეხმიანებოდა. მაგრამ ეს იყო სინამდვილე... და როცა ასტამურს აბაზანის კარში მოჰყვა თითი, მაშინ საბოლოოდ ირწმუნეს ყოფიერება.

სამსართულიანი სახლის ბოლო სართულის მარჯვენა კარი. თქვენ წარმოიდგინეთ, სანამ დიასახლისი გასაღებს ჩააბარებდა ახლადშეუღლებულებს, სადარბაზოს კარზე, სადაც ღილაკები და შესაბამისი გვარებია მითითებული, უკვე გაჩნდა ორი ქართული გვარი.

ერთი ვეებერთელა ოთახი, დაბალი მანსარდისეული ჭერით, კარების გარეშე გულისხმობდა საძინებელს, მისაღებ ოთახს და სამზარეულოს.

ჭარბობდა ხის ფერი.

დიდი საწოლი, ორიგინალური დესაუ, რომელზეც ცარიელი ჩარჩოები ეწყო და, შესაბამისად, ახალ ფოტოებს ელოდა. კედელზე ფოტონიმუშები ეკიდა. სავარაუდოდ, სახლის მეპატრონე, ოჯახის რომელიღაც წევრი ფოტოგრაფი უნდა ყოფილიყო.

ჭილის სამზარეულო ჯერ კიდევ განუცდელ კომფორტს ქმნიდა. თუმცა იყო რაღაც, რაც აწუხებდა და აფორიაქებდა წეევილს: ფანჯრები ფარდების გარეშე – რა თქმა უნდა. მაგრამ ამას თითქოს უნდა შეგუებოდნენ, რომ გამუდმებით თვალში მოხვედროდათ წყლის და ნისლების დედაქალაქი, თხრილებით დასერილი ამსტერდამი.

სულ მოკლე ხანში კი, როდესაც მუსიკალური ცენტრი ხან ერთ კომპოზიციას, ხანაც მეორეს აჟღერებდა, როცა კედლები ნატაშას სურვილისამებრ შეიმოსა, როცა ჩაიდანი დუღდა და კბილის პასტის და ყავის სურნელი მძაფრდებოდა, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მოექცა.

ჯერ იყო ქალაქში სეირნობა. ორი ერთმანეთზე უკეთესი გოგო-ბიჭი თავდაპირველად რუკებით ხელში აშტერდებოდა ჯერ არნახული რიტმის ქალაქს, ტრამვაი კიოდა და ბაბუს სახლის საფასურად მიღებული მწვანე კუპიურა ხან პიცერიაში, ხან ჯაზკაფეში, ხანაც Coffee shop-ში თეთრდებოდა.
– მოვეწყვეთ ძალიან კარგადო. ასე გაამხნევეს ოჯახის წევრები.

დილიდან დაწყებული ჯადოქრობასთან ზიარება კი მხოლოდ გვიან ღამით მთავრდებოდა. სახლში შესულები ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე მოკალათდებოდნენ და თავად უფარდონი, ასევე უფარდო მოპირდაპირე ბინაში ჩართულ ტელევიზორს უყურებდნენ. საკუთარი არ ჰქონდათ.

ასტამურს და ნატაშას თავი პირველი ბედნიერი წყვილი ეგონათ, ერთმანეთის თვალებში გამუდმებით ამოწმებდნენ ამ განწყობას. თუმცაღა ეს სულაც არ იყო ყოფის ბუნდოვანი აღქმა.

ახლა ის დროა, როცა "უკვდავების შეყვარებულ სტუდენტებსაც აღარ სჯერათო", ხშირად ციტირებდა ასტამური.

სულ ცოტაც და იგი სწავლას შეუდგება. ბატონი გია ყველაფერს მოაგვარებს. ვან გოგის მუზეუმიდან, ფაქტობრივად, შეშლილები გამოვიდნენ და Cofee shop-ს მიაშურეს. საღამოვდებოდა.

კაფეს კარი შეაღეს თუ არა, იქ მყოფებმა ერთდროულად მიაპყრეს მზერა სტუმრებს. ალბათ იმიტომ, რომ პირველად შეაბიჯეს ამ Cofee shop-ში, ან იმიტომ, რომ გარეთ შეციებულებს კიდევ უფრო აშკარად გამოხატოდათ ნაკვთების დახვეწილობა.

დაბნეულებს უეცრად მენიუ მიაჩეჩეს. ასტამურმა ნეპალურ ჰაშიშზე შეაჩერა არჩევანი. ყველაზე უფრო მყუდრო მაგიდასთან მოთავსდნენ და ჩაის გაუსინჯეს გემო. უკვე დაღამდა. თვალებზე – სპეციფიური ელფერი, მოძრაობა – ნახევრადველური.

გარეთ წვიმდა, მაგრამ ველოსიპედი მაინც იოლად იკვლევდა გზას. ისინი დუმდნენ.

კაფედან გამოსულებს მოეჩვენათ, რომ ირიბად წვიმდა. და ასტამურმა აქ ყოფნისას საკუთარ თავში პირველად შენიშნა თავისი პროფესიისთვის დამახასიათებელი ერთი უცნაური მანერა – ზემოთ ყურება. მან ახლა ბოძებსა და სადენებს ააყოლა თვალი. არა, არც ჩვეულებრივი კაკაჩა იჯდა, არც წითელფეხა შევარდენი.

* * *

პირველმა სიყვარულმა, რომელიც მეთერთმეტე კლასში ეწვია, ისე გაუტეხა გული ტატუნას, ისე, რომ აღარც კი იგონებდა მერე.

სული ისეთი სიძლიერით ტკიოდა, რომ ხშირად შეგნებულად მიიყენებდა ხოლმე ფიზიკურ ტკივილს, რათა სულიერი განცდა დაეხშო. შველოდა? არავინ იცის, მაგრამ ეძებდა გამოსავალს. როგორ დაივიწყა ამდენი წყენა, როგორ გაუძლო ამდენ სირთულეს, გამოუცდელმა და მშვიდმა. ყველაფერს პატიობდა, რადგან იყო ამაში რაღაც ყველაზე უფრო მთავარი, რაც სხვა დანარჩენს უხილავს ხდიდა. და ასე იქამდე, სანამ ერთ დღესაც არ მოხდა სასწაული, ნამდვილი სინემა – პირზე ხელი მიიფარა და ისე, როგორც არასდროს – ატირდა, ხმამაღლა.

26

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა. ტატა ძირითადად სახლშია და თავდაუზოგავად მეცადინეობს – უმაღლესში აბარებს – ჟურნალისტიკის შესასწავლად, და იმის დასამტკიცებლად, რომ ყველაფერი წინ არის.

ტატა მალე თვრამეტი წლის გახდება. ნერვიულობის შედეგად, თუ უბრალო დამთხვევის გამო, ტატა საგრძნობლად მოიხარა მხრებში, რაც უფროსების დაჟინებული თხოვნით, აუცილებლად ითვალისწინებდა ექიმის ჩარევას. ექიმმა თქვა სქოლიოზიაო, ახლო ნათესავმა კი ვინმე მკურნალი თამრიკო ურჩია ოჯახს. ვინაიდან აჩიკოს გატაცებას არავინ უყურებდა სერიოზულად, შესაბამისად, არც მისი ისმინეს – მე ვავარჯიშებ და განიკურნებაო.

ავლაბარში ფერიცვალების ეკლესიისა და დარეჯანის სასახლის მახლობლად, ძველი სახლის ბელეტაჟზე ცხოვრობდა მკურნალი თამრიკო, საკმაოდ სახელგანთქმული და მოსიყვარულე ქალბატონი. ჯერ ვიწრო მოსაცდელი უნდა გაგევლო და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდებოდი ოთახში, რომელიც სავსე იყო წმინდა ხატებით. სულ რაღაც მეორე-მესამე მისვლაზე ყველა პაციენტის პრობლემის და წარმომავლობის შესახებ ფლობდი ინფორმაციას; იყო რიგი, სადაც ზოგ შემთხვევაში ორი საათიც კი გიწევდა ლოდინი, რადგან, ხან წელს ქვემოთ მოწყვეტილ ახლგაზრდას მოიყვანდნენ, ხან ატირებულ პატარას, ამიტომ ძალაუნებურად იხევდი უკან და იც– დიდი.

მკურნალ თამრიკოს ორი ვაჟი ჰყავდა. სახელები არ იცოდა ტატამ, ვერ დაიმახსოვრა – უფროსი და უმცროსი, – ასე მოიხსენიებდა მათ. ბიჭები გამუდმებით სახლის წინ ტრიალებდნენ, ხან დაშლილ ავტომანქანას დასცქეროდნენ, ხანაც მობირჟავე ბიჭებთან ერთად საგმირო ისტორიებს თხზავდნენ. იყო მარტის შუა რიცხვები – ჯერ დათბებოდა, მერე ყინავდა.

ტატა დინჯად შეუერთდებოდა ხოლმე მოსაცდელში მომლოდინე საზოგადოებას. სკამები ერთმანეთის პირისპირ იყო ჩამწკრივებული. ყველა შებოჭილი იჯდა, სივიწროვის გამო ერთმანეთი რომ არ შეეწუხებინათ, და ფეხი ფეხს არ შეხებოდა.

მეორე კვირის დასაწყისში ტატუნა უკვე მიეჩვია მულტფილმებში დახატული შარჟების მსგავს პერსონაჟებს – გასიებული ხელის მტევანი იქნებოდა ეს, თუ ბეწვზე დაკიდებული ცხვირი; ოთხი წლის გონებადაქვეითებული სოფიკოს ტირილი თუ მონოტონური კვნესა. დედის ხათრით, სეანსის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა, თავს კი მეგობრის ნაჩუქარი წიგნით ირთობდა.

იმ დღესაც ბოლომდე სიუჟეტში გახლდათ ჩაფლული, რომ უეცრად მუხლზე მუხლი გაჰკრა წინ მჯდომმა. ტატამ კითხვა არ შეწყვიტა და ფეხებს მდგომარეობა შეუცვალა. მოულოდნელად იგივე განმეორდა. ტატამ თავი ასწია და მომღიმარი ბიჭი შერჩა, რომელიც მხოლოდ დღეს შეამჩნია. არადა, მისვლის დღიდან, სწორედ ამ ადგილს იკავებდა უცნობი.

– როგორ კითხულობ? – ერთგვარი ექსცენტრულობით იკითხა ბიჭმა.

– ბატონო, – დაიბნა ტატა.

– ჯერ ერთ გვერდს ჩაიკითხავ, მერე შუაში გადაშლი,მერე ისევ თავში, მერე ბოლოში – იღიმოდა ყმაწვილი.

– ასეთი წიგნია, – და ტატუნამ სიცილით გაუწოდა წიგნი თითქმის თავისტოლ ბიჭს – ყდაზე კლასობანა ეხატა.

უეცრად მოსაცდელის კარი გაიღო და "უმცროსი" შემოვიდა. მხოლოდ ტატას მიესალმა, მუხლების კოლონა გაარღვია და იმ კარისკენ მიაჭრა, საიდანაც კარის გაღებისას, სასადილოს მსგავსი ოთახი მოჩანდა ხოლმე.

– რა გაწუხებს? – ჰკითხა ტატუნამ უცნობს, რომელიც აშკარად მისი ინტერესის სფეროში მოექცა. ამასობაში ტატუნა თავისდაუნებურად გასწორებულიყო სკამზე და საოცრად მოხდენილი მანერებით ესაუბრებოდა მას.

– სქოლიოზი, ისეთი არაფერი.

– მეც, რა დამთხვევაა – გაუხარდა ტატუნას.

ბიჭმა ურეაქციოდ დააბრუნა წიგნი. – დავიღალე ლოდინითო, თქვა.

– მეც. – აჰყვა ტატა.

– დიდი ხანი დაგრჩა კურსის დამთავრებამდე?

– ერთი კვირა – განაზდა ტატა. – შენ?

– მე დღეს ვამთავრებ.

ტატუნას გული ჩაწყდა. თუმცა იქვე, ზუსტად წუთნახევარში, დაგეგმა ახლო მომავალი. ეს ბიჭი რიგს დამითმობს, მერე მეტყვის მეც დამელოდეო, გავალთ ერთად, მიმაცილებს სახლში, მკითხავს ტელეფონის ნომერს და...

და ამასობაში ქალბატონმა გულიკომ – მკურნალი თამრიკოს ასისტენტმა უცნობი ოთახში იხმო. ბიჭი დაუფიქრებლად წამოდგა და საიდანაც იხმეს, სწორედ იქით გასწია.

ტატა საოცრად დააბნია და დააღონა უცნობის საქციელმა. – უიმე, იდიოტი! – გაიფიქრა თავისთვის. წიგნი გადაშალა და კითხვას შეუდგა. მართალია ფიქრი სხვაგან მიდიოდა,

მაგრამ ტატა მაინც კითხულობდა; ბოლოს და ბოლოს, უხერხულობის დასაფარად მაინც, რადგან ეგონა, რომ ვიწრო მოსაცდელში ყველას ესმოდა მისი გულისთქმა.

რამდენიმე ხანში, "უმცროსი" სასადილოდან გამოვიდა, ტატასთან შეჩერდა და გარეთ იხმო.

ტატაც დაემორჩილა. ერთად გაუყვნენ გზას ფერიცვალების ეკლესიისკენ, თან ზოგად თემებზე საუბრობდნენ. უეცრად "უმცროსი" იქვე მდგარ მანქანასთან შეჩერდა, მანქანის კარი გააღო, იქიდან ვეებერთელა თაიგული გადმოიღო, ტატას გაუწოდა და ლოყაზე აკოცა. ისინი პირისპირ იდგნენ, ქარში და ტატუნამ ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ გამოვიდა მოსაცდელი ოთახიდან ის უცნაური ბიჭი, რომელიც გულიანად იცინოდა მათ დანახვაზე. სქოლიოზიანი ტატა თაიგულით ხელში, "უმცროსი" და ფონად – დარეჯანის სასახლე, – ერთი სიტყვით, სინემა.

* * *

მექსიკური ტორტი სუფრის შუაგულში იდო. გლინტვეინი ჯერ კიდევ თბებოდა დაბალ ცეცხლზე; წითელი ღვინო და, რაღა თქმა უნდა, ლუდი. Utrechtsestraat-ზე, 141-ე ნომერში მრგვალ მაგიდას, ვეებერთელა მწვანე ჭაღი რომ ჰგვრიდა უჩვეულო სიმყუდროვეს, ემიგრანტები შემოსხდომოდნენ.
თვალში მოგხვდებოდათ ორმოცდაათ წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი, ცამეტი წლის ქალიშვილით. მამაკაცს ჭაღარა თმა და ასეთივე, ოღონდ ექსცენტრული ფორმის ულვაშები ჰქონდა. მისი მსუქანი მეუღლე – ლბატონი ლია, შემაწუხებელი დაკვირვების მანერით გამოირჩეოდა. ძვირფასი სამკაულებით მორთული, ყუ– რადღებას იქცევდა და ძირითადად გვიან გაჩენილი ქალიშვილის წარმატებებზე საუბრობდა. იქვე იყო ჰოლანდიელი სტუმარი კლარა, შესანიშნავი ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც დინჯად ადევნებდა თვალს მოსაუბრეებს. დაახლოებით ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა ყმაწვილი სუფრისგან მოშორებით იჯდა. ყველას აკვირდებოდა, თავად კი ხმას არ იღებდა.

ნიკა – ასე ერქვა მას. ასტამური და ნატაშა, რომლებიც ბატონი გიას დაჟინებული თხოვნით აღმოჩნდნენ აქ, ყველაზე მეტად დიასახლისს, ქალბატონ მაიას მოეხიბლა, რომელიც საოცარი სიმსუბუქით, ღიმილითა და საინტერესო ამბების თხრობით დღესასწაულის გარემოს ქმნიდა.

– ელენე უკვე მესამე წელია შოტლანდიის მუსიკისადა დრამის სამეფო აკადემიაში სწავლობს – მსუქანი ქალბატონი ლია ელეგანტურ გიას აცნობდა შვილის წარმატებებს.

– რა სასიამოვნოა – ისმოდა მშრალი პასუხი.

– რა თქმა უნდა, ლონდონის სამეფო აკადემიას ჯობია, თუნდაც იმით, რომ ლონდონის აკადემიაში, მეცადინეობას ბავშვები პიანინოებით გადიან, შოტლანდიის სამეფო აკადემიის სტუდენტები კი არაჩვეულებრივი როიალებით.

იმ წუთს არავის აინტერესებდა ნიჭიერი ელენეს ისტორია. მაიამ პაუზით ისარგებლა და სადღეგრძელო წარმოთქვა: – მეგობრებო, გაუმარჯოს ამ წყვილს – და მზერა ასტამურს და ნატაშას მოავლო. სულ რაღაც ერთი თვეა, ჩამოვიდნენ ამ ქალაქში სასწავლებლად, სამუშაოდ თუ როგორც იქნება...

მე მათი მზერა საკუთარ თავს მაგონებს, ზუსტად მათი ასაკის ვიყავი, აქ რომ დავსახლდი, სწორედ ამ სახლში, და ერთ დღესაც ოცი წლის შემდეგ, როდესაც ყავას მივირთმევდი, უცბად დავთვალე და მივხვდი, რომ ჩემი აქ ცხოვრების მანძილზე სახლის ქვემოთ მდებარე უკვე მეთერთმეტე რესტორანს მოვესწარი... ღმერთმა არ განგაცდევინოთ ეს სევდა... გაგიმარჯოთ...

ყველა დადუმდა უეცრად, მხოლოდ ბედნიერი წყვილი იხდიდა სამადლობელს, და ვერაფერს ხედავდა სიმბოლურს მხიარული მაიას სიტყვებში.

– რამდენ ხანს დარჩებით? – უეცრად ჭაღარა, ულვაშიანმა შეაყოვნა ასტამური.

– ალბათ წელი, ორი წელი. ჯერ ვერ გეტყვით.

– ასტამურმა მხრები აიჩეჩა.

– Точно так говорили и мы, – წამოიძახა მსუქანმა ლიამ.

– რას სწავლობთ? – ჭაღარა ასტამურთან შედიოდაკონტაქტში.

– მე – ორნითოლოგიას, ნატა კინომცოდნეა.

– ვაიმე! – კეკლუცად წამოიძახა დიასახლისმა, – რა ბედნიერებაა, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც კინოს ენაზე ვისაუბრებ.

– ჩვენ არ გავამართლეთ ამ მხრივ? – ჩაერია მსუქანილია.

– თქვენ მხოლოდ კინოჭორები გხიბლავთ. მე, კიდე,სულ სხვა რაღაცეები მომენატრა, აი ახლა, მაგალითად, ყველაფერს გავცვლიდი ერთ დახურულ კინოჩვენებაში.

ნატაშა იღიმებოდა და უხერხულობისგან ასტამურის ხელის მტევანს ათამაშებდა.

– ორნითოლოგია!!! რა საინტერესოა, არა?.. – საუბარში ჩაერთო ბატონი გია. თან დასამოწმებლად სტუმრებს მოავლო თვალი.

– უდავოდ, – ჩაილაპარაკა ულვაშიანმა.

– რა უცნაურია, ადრე მფრინავობაც რომანტიკულ

პროფესიად მოიაზრებოდა, და დღეს... – ჩაიცინა მაიამ. ცამეტი წლის ელენე პიანინოსთან იჯდა და დედის დაჟინებული თხოვნით საღამოს მუსიკალურად აფორმებდა.

– ქართველს ძალუძს ყველაფერი პოეზიის დონემდე აიყვანოს. – ბატონმა გიამ წითელი ღვინო ჩამოასხა ჭიქებში.

– რა არის ცუდი ამაში?! თბილისი ერთ დროს პოეტების ქალაქადაც იყო გამოცხადებული – სამზარეულოდან გამოსძახა მაიამ.

– ნამდვილად, და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს,პირველად სწორედ ლიტერატურულ კაფეებში გამოჩნდა ნარკოტიკი – კოკაინი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არ იყო რობაქიძის ფანტაზიის ნაყოფი?

– არანაირად, ცერი და საჩვენებელი თითი დანამდვილებით ხშირად ხვდებოდნენ ცხვირის ნესტოებთან.

ასტამური უცნაურმა ცნობისმოყვარეობამ მოიცვა. ჰყვებოდნენ მისთვის აქამდე გაუგონარ ამბებს, თანაც თბილისზე.

– ადამიანი უმარტივესად არის მოწყობილი – უნდა ჯერა, უნდა – არა...

მით უმეტეს, ქართველი.

– რას ბრძანებთ. ქართველს ყოველთვის ჰქონდა ზუსტი შეფასების უნარი – ხმას აუწია გიამ.

– მართალია. ქართველმა თქვა – ლობიოს იმდენივეამაგი აქვს ჩვენზე, რამდენიც ბატებს რომზეო. – მაიამ გიას მხარე დაიჭირა.

ნიკა აზიური მოთმინებით ადევნებდა თვალყურს საუბარს. ფართო თვალებს ამოძრავებდა, ღვინოს მიირთმევდა და დისკუსიაში არ ერეოდა. თუმცა, განიცდიდა რაღაცას. აშკარად განიცდიდა.

მაია ასტამურს და ნატაშას მიუბრუნდა: – აი, ასე გამოიყურება Utrechtsestraat-ისეული სალონური შეკრებები, კვირაში ერთხელ ვიკრიბებით ამ მისამართზე და ვდაობთ. ორი წევრი გვაკლია, მათაც გაგაცნობთ – მაიამ ნიკას გახედა. მერე კვლავინდებურად ასტამურს მი– უბრუნდა.

– ნიკა სულ ჩუმად ზის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენი საუკეთესო მეგობარი გახდება.

კარზე ზარი გაისმა. სასტუმრო ოთახში Utrechtsestraat-ული ლეგენდის კიდევ ერთი წევრი – ემიგრანტი ირაკლი შემოვიდა. დაახლოებით ორმოცი წლის მამაკაცი ახალ წყვილს იმ წამსვე გაეცნო. – მომნატრებიხართ – მიმართა მაგიდის ირგვლივ შემომსხდრებს. კლარას ხელზე აკოცა და სიგარეტს მოუკიდა.

– სად არის ანანო? – მსუქანი ლია ერთგვარი ალმაცერობით დაეკითხა შემოსწრებულ სტუმარს.

ერთი შეხედვით დინჯი, თუმცა საოცრად ენერგიული ირაკლი თან სიგარეტს ეწეოდა, თან ღიმილნარევი იგერიებდა კითხვებს, რომელიც ერთდროულად ყველასგან მოდიოდა.

– ეგ უკვე ძველი ისტორიაა, Все это было до джазовых времен! – ირაკლიმ მხატვრულად მოიგერია ერთბაშად წამოსული კითხვები.

მოკლედ, ადვილი მისახვედრი იყო: ყველა კითხულობდა ირაკლის ყოფილ მიჯნურს, ვინმე ანანოს, თუმცაღა ქართველი ემიგრატნებისათვის მათი დაშორების ამბავიც უკვე ცნობილი იყო.

– სად არის იასონი? – ჰკითხა ირაკლიმ მაიას.

– სადღაც ერთ საათში მოვა, მამამისი მოიყვანს.

ასტამურმა მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ ქალბატონ მაიას შვილიც ჰყოლია.

– როდის გაქვს გამოფენა? – ახლა მაია ჩაეძია ირაკლის.

– სადღაც ორ თვეში, მე თითქმის ყველაფერი მზადმაქვს, – ირაკლიმ მზერა ნატაშაზე შეაყოვნა, თვალში მოხვდა რაღაც განსხვავებული.

ფონად იყო კლასიკა – ელენე მონდომებით წარმოადგენდა ხან ერთ კლასიკოსს, ხან მეორეს.

– დიდი ხანია ჩამოხვედით? – ჰკითხა ირაკლიმ ასტამურს.

– ერთი თვეა... – მოკლედ მოუჭრა ასტამურმა.

ირაკლი მაგიდას მიუბრუნდა – ცუდი ამბებია ჩვენსკენო. იქ მყოფებმა კარგად იცოდნენ რაზე იყო საუბარი და, ალბათ ამიტომაც, ყველა საზარელმა შიშმა მოიცვა. კლარამ არ იცოდა ქართული, ამიტომ ვერ მიხვდა დუმილის მოტივს, რომელსაც ამჯერად ბახი ავსებდა.

კარზე კვლავინდებურად გაისმა ზარი. მაია შემოსასვლელისკენ გაემართა.

ელენემაც შეწყვიტა დაკვრა. ოთახში მაიას ოთხი წლის ვაჟიშვილი იასონი შემოვიდა, რომელსაც ნათელი სახე ჰქონდა. ბავშვმა ყველა გადაკოცნა, ქურთუკი გაიხადა, მაგიდას მიუჯდა და ჰოლანდიელი ბავშვების საყვარელი – პოფორტის ჭამა დაიწყო. იგი თვალს არ აშორებდა ნატაშას, რომელიც მართლაც რომ ამოვარდნილი იყო მაგიდასთან მსხდომთა ტიპაჟებისაგან. სიხალისე, მიმზიდველი კონფიგურაცია და მზერა ბავშვის ყურადღებასაც იპყრობდა.

მაია იასონს თავზე ეფერებოდა.

– ყოველ დილით იასონი მიადგება ამ აფიშას – მაიამხელი გაიშვირა მაცივრისაკენ, რომელზეც ერთიანი საქართველოს მეფეების აფიშა იყო გაკრული – და მეკითხება: დე, რომელია ბაბუაჩემიო.

ბატონმა გიამ ჭიქა ასწია:

– ხოდა, თუ ასეა, ჩვენი წინაპრები ვახსენოთ, კავკასიელ ალქიმიკოსებს არ გაუმარჯოს? დუმილმა და გაურკვევლობამ შეიპყრო სტუმრები. ელენეც დაიღალა, წამოდგა და იასონის ოთახში გავიდა.

ამ დროისთვის უკვე ნამდვილი ჯაზი ისმოდა, მაგიდის ქვემოთ ყველას ფეხი შეძლებისდაგვარად აჰყვა რიტმს. იყო ერთი გამონაკლისი – ნიკა, რომელიც ჯაზს არ აჰყოლია. იგი მთელი ამ დროის მანძილზე მხოლოდ ასტამურს გამოელაპარაკა – ისიც ერთი-ორჯერ.

საღამოს დასასრულს ასტამური და ნიკა ზუსტად ერთდროულად წამოდგნენ ფეხზე, ერთდროულად მოიხადეს ბოდიში, – უკვე გვიანია, დაგტოვებთ, ბატონო გია!

ნიკამ მორიდებულად მიმართა უფროსს, მე გავაცილებ ასტამურს და ნატაშასო.

– მაგათ ჯერ არ ჰყავთ ველოსიპედები.

– დღეს მეც ველოსიპედის გარეშე ვარ, – უპასუხა ნიკამ ქართველ ემიგრანტს.

* * *

ტატას დედა, გვარად დადიანი, ერთ დროს ცნობილი მომღერალი გახლდათ – რომანსებზე მთავარი მისთვის არა იყო რა.

შესანიშნავი ქალბატონი ბოლო წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაიხსენეს, – გაზეთში იმ გახმაურებულ ამბავს წერდნენ, რაც მომღერალს გადახდა.

მაშინ თბილისს საპატიო სტუმრები ეწვია მოსკოვიდან. საღამო საუკეთესო დარბაზში მოაწყვეს. რომანსებით თავი რომ მოეწონებინათ, განუმეორებელი დადიანი იხმეს და ბრწყინვალე მუსიკალური გაფორმება თან დაურთეს წვეულებას. სისადავით გამორჩეულს გრძელი შავი კაბა ეცვა, და მკერდზე, მარცხენა მხარეს, ეკეთა საშუალო ზომის გულსაბნევი, რომელიც ზღაპრულად ბზინავდა.

საპატიო სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ.

მასპინძლები კი, შესაბამისად, სიამაყით გამოწვეულ ნეტარებას განიცდიდნენ.

მომღერალი კულისებისკენ მიემართებოდა, როცა ერთ-ერთი ჩინოვნიკის მეუღლე დაეწია და შეაყოვნა: – განუმეორებელი იყავით, მე ვამაყობ, რომ დღევანდელ საღამოს დავესწარი – უტრირებული შეფასებით განაგრძობდა მდიდრულად შემოსილი ქალბატონი. – თვალი ვერ მოვაშორე თქვენს გულსაბნევს. ალბათ საგვარეულოა, არა?

დადიანს მანერული ნაოჭები დაეტყო, გაეღიმა და უცნობ ქალბატონს უპასუხა:

– ეს ჩეხური ბიჟუტერიაა, ჩემი საგვარეულო გულსაბნევი დღეს თქვენ გიკეთიათ!

ტატამ, პირობის თანახმად, ბოლომდე მიიყვანა მასაჟის კურსი, თან ცნობისმოყვარეობა კლავდა – ვინ იყო ის უცნაური, გიჟი?! სულ სხვანაირი, დიდი თვალებით! თამრიკოს ხომ არ ვკითხო? – არა, რამეს იფიქრებს. თან, თამრიკოს შვილს მოვწონვარ. მაგრამ ტატას არ მოსწონდა "უმცროსი", თითქოს ის ერჩივნა, უცნაური...

გავიდა კიდევ ცოტა ხანი, და ტატუნა ახალი განცდების გარემოცვაში მოექცა.

– კარს თუ არ გაგიღებენ, ფანჯრიდან შედით! – ეს იყო პირველი სიტყვები, რაც სტუდენტებს უთხრეს.

– ჟურნალისტიკა – მეოთხე ხელისუფლებაა, რომელიც სისხლისღვრისა და ძალადობის გარეშე მოვიდა, შემოვიდა და დარჩა. – ნერვიულად იმეორებდა ლექტორი.

და ტატაც მოექცა ამ ქაოსში. ვერაფერს ხედავდა დაუძლეველს, ენერგიით სავსე და მონდომებული – ისე, როგორც არასდროს.

ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა ჩაცმის სტილიც და ვარცხნილობაც. მაღალსა და თხელს, მოკლე შავი თმა ჰქონდა, და რაც ყველაზე დამახასიათებელია – არ იშორებდა ქუსლიან ფეხსაცმელს, ყველგან და ყოველთვის.

სიარულის მანერით კი საოცრად ჰგავდა მამას.

ამ ოჯახში ყველაზე იშვიათად, სწორედ რომ ტატას მამაზე საუბრობდნენ. ის ათი წლის წინ სრულიად მოულოდნელად წავიდა სახლიდან. უგზოუკვლოდ დაკარგული მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ შეეხმიანა ოჯახს – საბერძნეთში ვარ, თეოლოგიას შევისწავლი და დავბრუნდებიო. საოცრად თავდაჯერებული იყო. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იშვიათად ეხმიანებოდა ოჯახს, – არავინ იცის რატომ.

პირველ პერიოდში, სანამ ჯერ კიდევ ტურისტის სტატუსი ჰქონდა, ლიკავიტოდან გადაჰყურებდა 5 მილიონიან ქალაქს და შემინულ კაფეებში იჭვრიტებოდა, სადაც ზურგმოხდილი ქალბატონები ღრმა ნაფაზებს ურტყამდნენ.

მას ამ ქალაქის კეთილგანწყობა ხიბლავდა, საღამოობით უზოს მიირთმევდა და შემდეგ უსასრულოდ სეირნობდა საუკეთესო უბანში – პლაკაზე, სადაც კეთილი ბერძნები ატრაქციონის თოჯინებივით დაუღლელად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. მაგრამ მისთვის საბერძნეთი მხოლოდ ათენით არ შემოიფარგლებოდა. თეოლოგიის კურსის დასრულების შემდეგ, მან ათონის წმინდა მთაზე ხატწერის შესწავლა დაიწყო. "მე მომწონს ადამიანის სულის ამ ფორმით გამოხატვაო", – ამბობდა. როდესაც ოჯახსაც მისწვდა ხმა ხატწერის შესწავლის ამბავი, ყველამ ერთხმად ამოისუნთქა: ალბათ ათონის წმინდა მთის ნახვა სურდაო.

და მართლაც, იმდენად განსხვავებული იყო მისი დამოკიდებულება ათონის მთასთან, რამდენადაც თვითონ არის განსხვავებული ეს ადგილი.

დრო გადიოდა.

ის საუცხოოდ დაოსტატდა ძვირფას საქმეში, რომელიც უმკაცრეს კანონებს გულისხმობს. აქ სიუჟეტის ინტერპრეტაცია განსაზღვრულია: ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დაკანონდა, თუ როგორ უნდა დაიხატოს ხატი მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

წვერს მოუშვებს და ხან ერთი ბერძნული სოფლის ეკლესიას მოხატავს და მთელი სოფლის სამადლობელოდ გაიხდის თავს, ხანაც ზღვისპირა ქალაქში მდგარ წმინდა ადგილზე გადაინაცვლებს.

ბინაც, შესაბამისად, მოძრავი აქვს, – სადაც მუშაობს, იქ ცხოვრობს. ბოლო წერილში იუწყებოდა, რომ ამჯერად სოფელ დესფინაში ცხოვრობს, სადაც მალე საბოლოოდ დაასრულებს წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მოხატვას.

წერს, რომ დესფინა გენიალური სოფელია.

შემაღლებული ადგილიდან რომ გადმოხედო, სტაფილოსფერ ასაწყობ სახლებს მოგაგონებს. სოფლის ცენტრი თურმე ძალიან ჰგავს რომანებში ამოკითხულ მიჯნურების შეხვედრის ადგილს. ირგვლივ ტავერნები, ქვაფენილები, ჩახუტებული აივნები, მსუქანი ბერძნები და რაღაც საოცრად დიდი სიყვარული... და კიდევ ის, რომ ახლა ბამბის აღების დროა საბერძნეთში.

ყველა წერილს თან ფული მოჰყვებოდა. თვითონ მას კი ნამდვილად არ ელოდნენ. მისი გაუჩინარების დღიდან, აჩიკო დასთან და საყვარელ დისშვილებთან გადავიდა საცხოვრებლად.

მართალია პატარა იყო, მაგრამ – კაცი. ერთი კაცი კი ყველა ოჯახში აუცილებელია.

აჩიკოს ცალკე ოთახი გამოუყვეს საცხოვრებლად, – მყუდრო, საშუალოზე დიდი და ნათელი. სწორედ ასეთი სივრცის აუცილებლობა აქვს ყველა იოგას. ვარჯიშის დაწყებამდე ანიავებს ოთახს, რომელიც სინათლით ივსება და ყოფითი ხმაური ნაკლებად აღწევს.

ამ ოთახში შეხედვა ტატასთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო. ოთახის შუაგულში ხალიჩა ეფინა.

ერთ– ერთ კუთხეში იდგა საშუალო ზომის სკივრი, სადაც აჩიკოს ტანისამოსი ეწყო. კედელზე ორი აფიშა ეკიდა. ეზოტერული წარწერა ტატასთვის სრულიად უცნობ ამბავს იუწყებოდა. ოთახის მეორე კუთხეში მაგნიტოფონი იდო, საიდანაც მხოლოდ ინდური, აღმოსავლური მუსიკა ჟღერდა დასამშვიდებლად.

– რასაც ერთი აღწევს, იმას ყველა მიაღწევს, – უმეორებდა აჩიკო პატარა ტატას, რომელიც ბიძის მსგავსად უცნაურ პოზას მიიღებდა და ხალიჩაზე მოკალათებული სიცილისაგან ბჟირდებოდა.

– რეალურად კი მიმდინარეობს ადამიანის ფენომენის კვლევა. გონების ვარჯიში უპრეცედენტო შედეგებს აღწევს, ყველანაირი დაავადება იკურნება, ავადმყოფის სურვილის სიძლიერის შესაბამისად.

სიკეთეს თუ ვერ აკეთებ, ბოროტებას მაინც ნუ ჩაიდენო – იმოძღვრებოდა აჩიკო გამუდმებით, უფროსების გარემოცვაშიც და პატარა ბავშვებშიც. ვინმე თუ ამოიოხრებდა, "ეჰ, როგორ ვიქნებიო", აჩიკოს ერთი უცვლელი რეპლიკა ჰქონდა, – რასაც ვჭამთ, ისე ვართო.

იყო პერიოდი, როდესაც აჩიკო იშვიათად გამოდიოდა ოთახიდან. ახლა თვითჩაღრმავების პერიოდი ჰქონდა. რეგულირების და გონების კონცენტრაციის შესწავლის.

აჩიკოს ერთადერთი ახლო მეგობარი გოგონა ჰყავდა,

– ანა, რომელიც საბოლოოდ ტატას ნათლიაც კი გახდა.

მათი სიახლოვის მოტივიც იოგას უკავშირდებოდა, – რელიგიურ სწავლებებში საუცხოოდ გარკვეულები, დღე და ღამეს დისკუსიებში ატარებდნენ, არ ტოვებდნენ ლიტერატურას თუ გაზეთს, რადიოგადაცემებს თუ ბროშურებს. ორივეს მეტისმეტად თხელი კონფიგურაცია ჰქონდა და შესაბამისად, წვრილი ნაკვთები.

სულ– სულ თავიდან ეჭვი გაჩნდა, ერთმანეთი ხომ არ უყვართო, თუმცა მირონით დანათესავებამ ეს ეჭვიც გააქრო. მოგვიანებით ანაც გაუჩინარდა – უცხოეთში გაემგზავრა საცხოვრებლად.

იოგა იქამდე ეგონათ აჩიკოს ბავშური ახირება და უბრალო გატაცება, სანამ მედიტაციები არ დაიწყო. თუმცა იყო კიდევ ერთი საფეხური – სამადჰი – ევროპელებმა ნირვანა რომ უწოდეს, ქართულად კი, როგორც შერწყმას, ისე ვთარგმნით.

ამას უკვე აზრით ვეღარ ვწვდები.

* * *

მთაში ხმა გავარდა, თამარ მეფე* გაცოცხლდაო. ეს მხოლოდ აქ თუ მოხდება, სოფლებში, სადაც სალმის გარეშე არ გაგცდებიან.

ზოგჯერ ისე მოწყდება ხოლმე სოფელი ცენტრს, მით უმეტეს ზამთარში, რომ ხელოვნურ სუნთქვაზე გადაჰყავთ იქაურებს. ღარიბი ნათესავივით ყველასგან მიტოვებული, ისევ საკუთარ კალთებში დაარწევს უკიდეგანო ხეობას, ერთ დროს მეომარ მომთაბარე ტომთაგან რომ იცავდა მთელს ამიერკავკასიას და დარიალის ხეობას* რომ ვუწოდებთ. აქ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მდინარე არტერიასავით გადის. მოუდრეკელი მოხევის** მკლავივით გამძლეა ლანდშაფტი, ყველა რაკურსიდან. არც ევროპაა და არც აზია. ეს კავკასიელი ალქიმიკოსების იდუმალი მხარეა, ახალორლეანური რიტმით რომ ირწევა ტბაში ლერწამი, ერთი კოშკი მეორეს უყურებს და წვიმის დაწყებას წინ უსწრებს ნისლი – სტეფანწმინდას*** რომ მოედება კინოეფექტივით. და სადღაც შორს, ისპაჰანის იქით მიმალული ზმანებიდან, დინჯი ჭენებით გამოჩნდება მხედარი ვინმე, და ამბავს გამცნობს – იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთესო.

ღამე გათენდება და ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარე ხუთ-ექვსკომლიან სოფლებში ცხვარს შესწირავენ. დიდი რუსეთიდან ორმოცი ბებია ("ბაბუშკებს"**** რომ უწოდებენ) ფეხით წამოვა სამებაში***** სასწაულის სანახავად.

მერე გველეთში****** კანს გამოიცვლის გველი... და ჟღერადობის სიმსუბუქით, ყველანაირი პრეტენზიის გარეშე, უფრო მარტივად, ვიდრე ეს შეიძლება წამოიდგინო, ხელისგულზე დაგეტევა ერთი სოფლის სახელწოდება – სნო.

აქ არ ხდება საგანთა დუბლიკაცია. ის ერთია და გამძლე. ტუჩდახეთქილ ალპინისტებს იშვიათად იკარებს და გარანტირებული აქვს პირველობა.

მათი საძინებლის ფანჯრიდან საუკეთესოდ ჩანს მისი უდიდებულესობა, ხეობის ერთადერთი პატარძალი მყინვარი*******.

დიდებული გვარის ბაბუა არდადეგებზე სოფლად მიბარებულ შვილიშვილს თბილად ჩაცმევდა ხოლმე, ხელს ჩაკიდებდა, წინ მეცხვარე ძაღლს გაუშვებდა და სოფელ-სოფელ მოგზაურობდნენ. ჯერ იყო ცდოში******** ნანახი ყელგამოჭრილი ცხვარი, მერე – თმაგადავარცხნილი სნო. ნამდვილად იყო ჯუთა*********, კარგა ხანს სიზმარი რომ ეგონა. პოეტები?! – რამდენიც გინდა – ნისლი ფიქრია მთებისო, – იმეორებდა ბაბუა.

იქვე იყო ერთი ნასოფლარი, ათი ოჯახი ზვავს ამოეწყვიტა. "ასეა ბაბუ, ასეა..." – გაამხნევებდა ხოლმე მოხუცი შვილიშვილს, რომელსაც თვალები გადიდებოდა და შიში ცნობისმოყვარეობას დაეძლია.

"Восток – это тонкость, а кавказ это мудрость, где мудрость там и истина", – ბაბუის მონათხრობებიდან ყველაზე კარგად ეს ჭეშმარიტება ახსოვდა ნიკას.

ბოლოს თოთხმეტი წლისამ ნახა ბაბუა, ასთმა უღებდა ბოლოს. ნისლი მოაწვებოდა თუ არა სტეფანწმინდას, სუნთქვა უძნელდებოდა მოხუცს, მაგრამ უძლებდა. ამ მოუდრეკაობისთვის ხომ მოხევეებს ერთი ჯილდო – მყინვარი ჰქონდათ.

პატარა ბიჭი ცხვირით ეკვროდა დიდ მინას, რომლის შიგნითაც ტურისტების გაუცხოებული მზერა არნახულ ქაოსს ქმნიდა. ტიტების ჯიშში საუცხოოდ გათვითცნობიერებული მოსახლეობის დედაქალაქში, საბედნიეროდ თუ საბედისწეროდ მოხვედრილი ახალგაზრდები ამჯერად სკანკს ეწეოდნენ.

ნიკამ აარჩია, ასტამურიც და ნატაშაც დამყოლად უსინჯავდნენ გემოს აქამდე გაუგონარ შემადგენლობას.

ნიკა მეტისმეტად გაბრუებულებს რატომღაც ბავშვობისდროინდელ განცდებს უზიარებდა. ასტამური ნაამბობს ისე ისმენდა, როგორც, უბრალოდ, კარგად მოყოლილ ამბავს, რადგან თავად არასოდეს განეცადა სტეფანწმინდის ხიბლი.

ნიკა უკვე სამი წელია ამსტერდამში ცხოვრობს. თავდაპირველად მამა ჩამოვიდა სამუშაოდ. მოგვიანებით კი თავადაც აქ დამკვიდრდა.

პირველი დღე სამხატვრო აკადემიაში, პირველი შოკი იყო. ნიკამ სათქმელი ნარკოტიკით აგორებულ მეორე ტალღას დაამთხვია: – ჩაგვირთეს სტრავინსკი, შემდეგ მეორე დღისთვის კასეტები დაგვირიგეს, სახლში უსმინეთ და რაც გინდათ ის გააკეთეთო.

თავიდან ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა – "რაც გინდათ, ის გააკეთეთ!" მაინც რა, მიმართულება, ფორმა, რამე... არა, რაც თქვენ გინდათ.

აი, მაშინ კი მივხვდი, რომ ან არნახული პროგრესი დაიწყებოდა ჩემს ცხოვრებაში ან პირიქით, რამდენიმე წელიწადში ჩემს ნამუშევრებს დავემსგავსებოდი – წებოთი შეკოწიწებულ დეტალებს. დღეს კი ნიკა მხატვრულად აფორმებს ერთ– ერთ პოპულარულ ჰოლანდიურ ჟურნალს.

იდუმალი ფართო თვალებით და თხრობის ჩინებული მანერით დაჯილდოებული, უკვე ასტამურის და ნატაშას საუკეთესო მეგობარი გამხდარიყო. იდეური თუ არა, კანონზომიერებით გამოწვეული მაინც. ისინი ახალგაზრდები იყვნენ, და საუკეთესოდ გრძნობდნენ მოახლოებულ ტენდენციებს.

მე– 19 საუკუნემ თურმე მშვენივრად უწყოდა როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, მე– 20– მ არ იცოდა. 21– ე, სავარაუდოდ, ყველაზე სასტიკი უნდა ყოფილიყო, რომელსაც არამცთუ გადაფასებული და განადგურებული ჰქონდა ფასეულობები, არამედ, უფრო

მეტიც, სანაცვლოდ კატეგორიულად ახალ კომპლექსებს და ახალ კომპლიმენტებს მოითხოვდა.

ყველა საუკუნის დასაწყისს თავისი ქვეცნობიერი ცენტრი გააჩნია, უწინ ასეთი ადგილი იყო პარიზი. სორბონაში ლექციების მოსმენა ერთგვარ არტთერაპიას უდრიდა. დღეს მცოცავი ცენტრი სულ სხვა მხარეს გამოჩნდა: ეს იყო New York, სადაც ყველანაირი ალბათობა დაშვებულია, ისე როგორც ილუზიონისტის სახიფათო ნომრის შემთხვევაში, სადაც ერთწამიანი ეფექტის მოსახდენად მილიონები იხარჯება.

რა იქნება მერე?

იდუმალი სტეპის ან ნახევარი უდაბნოს შუაგულში ყვითელწარბიანი ქორი დაჯდება. და ასე იქნება იქამდე, სანამ ნამდვილი საიდუმლოს ნახვის ღირსი არ გახდება სათითაოდ ყველა.

მალე მობეზრდათ Coffee shop-ები და ერთწამიანი ეფექტის მოსახდენად ახალგაზრდები ახლა საკუთარ ბინაში აყწობდნენ სასწაულ დღეებს. ფანჯრიდან სამი სილუეტი გამოჩნდებოდა – სამი ქართველი ოსმალურ ყავას შეექცეოდა.

გადაჯიშებას გადარჩენილები ბედნიერი სახის გამომეტყველებით, ხან New York – ზე, ხანაც სემიუელ ბეკეტზე, ანდა სულაც ფოტოგრაფიაზე საუბრობდნენ. მუსიკა ბოლო ხმაზე და ცეკვა თეთრი საცვლების გამოჩენამდე.

მოულოდნელად ბიჭები ძირს, ხალიჩაზე რაღაცის ძებნას იწყებდნენ, საქმიანად და მიზანმიმართულად დაცოცავდნენ, რაღაცას კრეფდნენ... პოულობდნენ... ილუზია. და როდის, როდის მიხვდებოდი, რომ ახლა მათ ფილტვებში კოკაინი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჰაერი.

ამის შემდეგ სავარძლებში მოკალათდებოდნენ დაღლილები და არცერთ მათგანს არ შესწევდა ძალა, რომ "პრაიგრივაწელზე"* დადებულ ფირფიტაზე სიმღერა შეეცვალა.

არადა, მათი საყვარელი სიმღერა ამ ფირფიტაზე ნუმერაციით პირველი იყო. ხოდა, მალევე იპოვეს გამოსავალი: სავარძელში კომფორტულად მოკალათებული სამი ქართველი, სამ თვლაზე იატაკზე ფეხის მძლავრი დარტყმით, მოტრიალე ფირფიტას პირველ სიმღერაზე აბრუნებდა. ეს რიტუალი ჩვეულებად იქცა.

* * *

ტელევიზია, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ გაიხსნა, მხოლოდ ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, შესაბამისად კი დაუმორჩილებელი და ყველანაირ ცენზურას მოკლებული. მაშინ დრო იყო ისეთი, სიმართლის თქმა გმირობას უდრიდა.

მესამე კურსელმა ტატამ სწავლის პარალელურად ამ პოპულარულ ტელევიზიაში მუშაობის სურვილი გამოთქვა. დირექტორთან გასაუბრებაზე აჩიკოც გაჰყვა, – ნაცნობები ჰყავდა იქ.

და ვინაიდან ტატამ ამ დროისთვის უკვე ჩინებულად იცოდა მონპარნასული ლეგენდებით დაწყებული პოეტური რენესანსით დამთავრებული; იცოდა, რომ ედგარ პოს კუბოს ცხრა კაცი მიყვებოდა, და ისიც რომ "მკვდარი სულები" რომშია დაწერილი, – ამიტომ კულტურაზე სიუჟეტების მომზადება უყოყმანოდ ტატას ჩააბარეს.

სამომავლო გეგმები ზუსტად ჰქონდა გათვლილი – ორი წელი ვისწავლე, ერთი წელი ტელევიზიაში ვიმუშავებ და მერე წავალ პრაღაში. მაგრამ ვინმე რომ შეუყვარდეს, ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევა? არა, არ არსებობს, "ამას მეორედ ვეღარ გადავიტან!" იქნებ მაშინ პატარები იყვნენ.

მაგრამ ის ხომ უფროსი იყო? ჯვარი ნიკორწმინდაში დავიწეროთო და დაუფიქრებლად ჩასხდნენ მანქანაში, რომელსაც ბიჭის მეგობარი მართავდა. შესაბამისად, მეჯვარეობასაც ის იტვირთავდა. იყო შემოდგომა და რაჭა რაღაც შეუცნობელ მოზაიკას აწყობდა, – ნისლს პირში იგუბებდა და ფორმაშეცვლილს უშვებდა, ხან კურდღლის ზმანება, ხან თაგვის, ხან ირმის და ხანაც უფორმო – მოკლედ მეტაფიზიკური ბოდვა.

შემოდგომის მზე შაორს აბრჭყვიალებდა.

სამივენი ფანჯრიდან გასცქეროდნენ ამ დაუჯერებელ სანახაობას. ნიკორწმინდაში ჯვარის დაწერაზე ძვირფასი თუ არსებობს რამე?! და სწორედ მაშინ, როცა მეთერთმეტე საუკუნის გიგანტამდე რამდენიმე მეტრიღა რჩებოდა, მან გადაიფიქრა. საღამო ახლოვდებოდა. ამიტომ შორი-ახლოს მდებარე სასტუმროში დარჩნენ, ჯვარდაუწერელები. ტატამ ესეც აპატია – ალბათ მზად არ იყავიო. ქალაქში დაბრუნებიდან ძალიან მალე კი, მან ტატას ბავშვობის მეგობარი შეირთო ცოლად.

ამ ქალაქს ერთი თვისება აქვს, რაიმე ჭორს რომ გაიგებს – ზე წამოიჭრება ხოლმე.

იმ დღესაც ასე იყო. მაგრამ როგორც ტელევიზიაში – მესამე დღეს რომ აღარავის ახსოვს სიუჟეტი, ამ ქალაქსაც ადვილად ავიწყდება წინა დღის მონაჭორი.

ტელევიზიაში არნახული ტემპია. აქ ყველაფერი, მაქსიმუმ, 60 წუთში ძველდება. მითუმეტეს, თუ ახალგაზრდული ტემპერამენტი ჭარბობს. ასეა თუ ისე, ტატას ცხოვრებაში ახალი "ლანდრუკა" გადაიშალა – გადასაღები მოედნები, მხატვრების სახელოსნოები, პოეტები და რეჟისორები. ტატა ამ გარემოცვაში ტრიალებდა და როგორც ტელევიზიაში ამბობდნენ, საუკეთესო სიუჟეტებს ამზადებდა.

რედაქციაში ერთ პატარა ოთახში ათი ბიჭი და ამდენივე გოგონა მუშაობდა. ვის ვინ უყვარდა, ვის ვინ მოსწონდა, იყო ეთერის წინ სიყვარულის ახსნები, ან პირიქით, დაპირებები. აქ ზეადამიანური ენერგიით იყო სავსე ახალგაზრდების ჯგუფი, ხშირად მაყურებელს პირდაპირ ეთერში სთავაზობდნენ ექსპერიმენტს, სისხლი დუღდა და არაფერზე არ იხუჭებოდა თვალი – რადგან მთავარი იმ ხანად ინფორმაციული ვაკუუმის დაძლევა, და თანამედროვეობასთან ადეკვატურობა იყო.

ტატას ყველაზე მეტად ტელევიზიაში ადრიანი დილა უყვარდა, მარტო რომ მოკალათდებოდა სავარძელში ყავით ხელში და იწყებდა რეკვას – იმის დაზუსტებას თუ რა კულტურული სიახლე იგეგმებოდა ქალაქში. ამასობაში კი ოთახი თანდათანობით შევსებას იწყებდა. ჯერ მივიდოდა თიკო, მერე ლევანი, ირინკა და მერე უკვე ყველა ერთად.

ლევანს ტატა მოსწონდა და ეს ყველამ იცოდა.

ტატას, რა თქმა უნდა, სიამოვნებდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ლევანი საუკეთესო კორესპონდენტი იყო, თანაც სიმპათიური. ტატა არ აღრმავებდა ამ ურთიერთობას, ალბათ შეგნებულად.

შესანიშნავი უფროსი ჰყავდათ, – მომხიბვლელი და პროფესიონალი, რაც ტატას მეტისმეტად უხარებდა გულს. მისი ვაჟიშვილი, ხუთი წლის გიორგი კი უკიდურესად აღიზიანებდა ყველას; ხალხით სავსე პატარა ოთახში შემოვიდოდა თუ არა, ულევ კითხვებზე ყველას პასუხი უნდა გაეცა მისთვის. ბავშვს პედაგოგობისაკენ ჰქონდა მიდრეკილება, ოპერატორებს და კორესპონდენტებს ჩაამწკრივებდა და ხან სიმღერას ასწავლიდა, ხანაც წერა– კითხვას. ამასობაში თუ მამა შემოიხედავდა ოთახში, სიხარულით სახე ებადრებოდა.

უტიფარი მზერით დაჯილდოებული ბავშვი ტელევიზიის შემოსასვლელში გამოჩნდებოდა თუ არა, თანამშრომლები აქა– იქ მიიმალებოდნენ ხოლმე. გიორგიმ კი ზუსტად იცოდა მისამართი, სარედაქციოს პატარა ოთახი, სადაც ყირაზე გადადიოდნენ ახლაგაზრდები.

და იმ დღესაც, როცა მამამ რატომღაც ბაღის მაგივრად სამსახურში წამოიყვანა შვილი და თავად კაბინეტში მოკალათდა, გიორგიმ სწორედ იმ ოთახისკენ აიღო გეზი. დილა იყო, ათის წუთები. ოთახში მხოლოდ ტატა და ლევანი იყვნენ. ტატა ყავას სვამდა და ტელეფონით საუბრობდა, ლევანი კი ტატას მოპირდაპირე მხარეს იჯდა – ტექსტს წერდა. ბავშვმა კარი შეაღო.

ტატას და ლევანს ხასიათი გაუფუჭდათ. გიორგი მათ დუმილზე დაიბნა და ნახევრად შეღებულ კარში გაშეშდა.

– შემოდი! – ძლივს ამოღერღა ტატამ და ბავშვს ხელითაც უხმო. ის კი დგას და არ ინძრევა. ლევანი იღიმის თავისთვის.

– შენ რა გქვია? – ახლა ოდნავ დაუყვავა ტატამ.

– გიორგი, – უპასუხა ბავშვმა.

– გიორგი?! – შესძახა ტატამ, – არ გამაგიჟო, მეც გიორგი მქვია.

ბავშვმა ფერი დაკარგა.

ლევანი თავს ვეღარ იკავებს, ისე იცინის.

– კი მარა, რა გვარი ხარ? – ხუმრობა გააგრძელა ტატამ.

– კეკელიძე! – გაკვირვებული, თვალებგადიდებულიპასუხობდა ბიჭი.

– ვაიმე ლევან გესმის?! – ტატა როლში შეიჭრა – კეკელიძეო!!! ღმერთო ჩემო, მეც კეკელიძე ვარ.

გიორგიმ კარი გაიჯახუნა, გაიქცა და მთელი დღე მამის ოთახში იჯდა. ბედი იყო თუ შემთხვევა, იმ დღის შემდეგ ტელევიზიაში საერთოდ აღარ გამოჩენილა გიორგი კეკელიძე.

დრო ისე გადიოდა, ტატა გაოცებული დახედავდა ხოლმე კალენდარს.

პრაღა? ტატას სწამდა, რომ თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ სამსახურში იდგა. ამ პერიოდში მართლაც ფანტასტიკური გარდატეხები ხდებოდა, რაც თავისთავად მოითხოვდა ზუსტ ანალიზს და ფაქიზ მოპყრობას.

* * *

ნატაშას დაბადების დღე, მოპალარაკების თანახმად, ახლადგახსნილ ყველაზე პოპულარულ დისკოთეკაზე უნდა აღენიშნათ. ნიკა ჰოლანდიელ მეგობარ ვაუტერთან ერთად ეწვია ახალგაზრდა წყვილს. ასტამურიც და ნატაშაც სადღესასწაულოდ გამოწყობილიყვნენ.

იუბილარმა პირველი, ყველაზე უფრო ამსტერდამული საჩუქარი მიიღო – ველოსიპედი, რომელსაც ბარათი ეკიდა წარწერით: "სიყვარულით, ასტამური და ნიკა".

დისკოთეკას რომ მიუახლოვდნენ, რაღაც ცუდი ენიშნათ.

შორიდან შენობა დანგრეულ ეკლესიას ჰგავდა, ახლოს მისულებმა კი გაოგნება ვეღარ დაფარეს: მართლმადიდებლურ ეკლესიაში გრაფიკულად საუკეთესოდ ნაცნობ ხატებზე ნეონის განათება იყო დამონტაჟებული, და ძნელად დასამახსოვრებელი, ხმამაღალი მუსიკა ჟღერდა. ვაუტერმა ნიკას გახედა, ნიკამ ასტამურს და... ნიკამ თავი ვეღარ მოთოკა და შავკანიან დაცვის ბიჭს ეძგერა...

– ეს ხომ მართლმადიდებლური ეკლესიაა?

– კი, ბატონო, – დაბნეული პასუხობდა ნავარჯიშევი შავკანიანი.

– ჩვენ მართლმადიდებლები ვართ! – ხმას აუწია ნიკამ.

– მით უკეთესი, შებრძანდით და გაერთეთ, – იყო პასუხი.

ნიკამ, რომელსაც სახე ალეწოდა, დისკოთეკის დირექციასთან მოინდომა შეხვედრა, მაგრამ უარი მიიღო.

ხმამაღალ შელაპარაკებას მენეჯერიც გამოეხმაურა. ნიკა თვალებში ჩააცივდა უცნობს და პასუხი მოთხოვა. მენეჯერმა საბუთები გამოუტანა ახალგაზრდებს და იურიდიულ თანხმობაზე მიუთითა.

– რა შუაშია ფურცლები?

უხეში შელაპარაკება ხელით შეხებაში გადაიზარდა, ასტამური და ვაუტერი ძარღვებდაბერილ ნიკას აწყნარებდნენ, – საბოლოოდ, ჭკუიდან გადასული აგინებდა და აფურთხებდა საშუალო სიმაღლის წითურ მენეჯერს, რომელიც გაშეშებული იდგა და არ იძვროდა.

ნატაშა შორიახლოს ველოსიპედს მიყრდნობოდა – შეშინებული და სადაბადებისდღეოდ გამოწყობილი!

ოთხი ველოსიპედი ერთმანეთის გვერდიგვერდ, დინჯად მიუყვებოდა ქუჩას. მხრებში მოხრილიყვნენ ასტამური, ნიკა, ნატაშა და მასთან ერთად ვაუტერიც, რადგან ასეთი რამ პირველად ხდებოდა თითოეული მათგანის ცხოვრებაში. სამშობლოდან ძალიან შორს მყოფებს პირველად მოუწიათ რაღაცის დამტკიცება – თანაც სრულიად მარტოებს; პირველად აღმოჩნდნენ გიგანტური სამყაროს უმცირესობაში და, იმავდროულად, მათი ერთი ბეწო კულტურა ახლა უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა დანარჩენი ერთად.

საკუთარი წარმომავლობის გამუდმებულმა მტკიცებამ საოცრად დათრგუნა ახალგაზრდები. არავინ არაფერი იცოდა.

ერთხელ, აკადემიაში, დიზაინის პირველ გაკვეთილზე, ლექტორმა ნიკას ჰკითხა, გავიგე საბჭოთა კავშირიდან ხარ, – სომეხი ხარ თუ ქართველიო. და როდესაც ქართველი შერჩა, სახე გაებადრა, რამდენი წელია ქართველის გაცნობაზე ვოცნებობ, – რაც "ალი და ნინო" წავიკითხე, მოსვენება არ მქონია. ჩემი საყვარელი წიგნიაო.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, ძვირფასი და დაუვიწყარი.

ჟაკ სტოვეი, ასე ერქვა ლექტორს, რომელიც ნიკას საუკეთესო მეგობარი გახდა.

პატარა ქვეყნის შვილი ყოველთვის მადლიერია, როდესაც მისი ქვეყნის შესახებ ინფორმაციას ფლობს სრულიად უცხო. ამიტომაც იყო ნიკასთვის სასიამოვნო ჟაკთან საუბარი. ნიკაც ამძაფრებდა ხოლმე სიუჟეტს, რამაც ჟაკი საბოლოოდ მოიცვა ინტრიგით.

თუმცა ჟაკისა და ნიკას მეგობრობა იმ დღეს დამთავრდა, როცა დილის ცხრა საათზე ღემბრანდტ Pლეინზე, ნიკა და იტალიელი მეგობარი ტონინო მეგობარი გოგონებისთვის ყვავილებს ყიდულობდნენ. ამასობაში კი ჟაკი "It club"-დან გამოვიდა. თვალებს არ უჯერებდნენ ბიჭები. გაოცების მიზეზი გახლდათ ის, რომ "It club"-ი ჰომოსექსუალისტების ცნობილი კლუბი იყო.

ნიკამ იმ წამსვე ხაზი გადაუსვა თითქმის ერთწლიან მეგობრობას. ჟაკი თითქოს ვერ ხვდებოდა, თუმცა მაესტრო აშკარად გრძნობდა მიზეზის საწყისს. ნიკუშამ ჟაკი ბოლოს მესამე კურსზე ნახა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

ჟაკ სტოვეის შიდსი ჰქონდა.

მომაკვდავის სანახავად მისული ნიკა მასწავლებელს მადლობას უხდიდა ყველაფრისთვის, რადგან ჟაკის პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება, საუკეთესო პრაქტიკა აღმოჩნდა ნიკასთვის. იმ საღამოს ჟაკმა გარეთ გამოაცილა სტუდენტი. მას ხალათი და ძვირფასი ფეხსაცმელი ეცვა.

საოცრად სევდიანები მიუყვებოდნენ კადეს სანაპიროს. გამომშვიდობების ჟამს ჟაკი ნიკას გადაეხვია. იგი პირველად ჩაეხუტა უბრალოდ მეგობარს, ატირდა და უთხრა, რომ უკანასკნელად ხედავდა, – თუ რაიმე გაწყენინე, მაპატიეო. მაგრამ ახლა, ამ წამს ნიკუშას კარგი არაფერი ახსენდებოდა. პირიქით, სძულდა ეს აყროლებული, ჭაობშემდგარი ქალაქი, სასტიკი ენერგეტიკის მქონე და მაღალი ხალხით დასახლებული. 50-იან წლებში ძროხებს სასუქი შეუყვანეს – გადიდდება და სარგებელიც იმატებსო. ძროხებიც გადიდდნენ და, შესაბამისად, მომხმარებელმაც იმატა სიმაღლეში.

ნიკას სძაგდა ყველაფერი, რაც ამ ქალაქს უკავშირდებოდა.

ამსტერდამში წვიმდა. ოთხი მგლოვიარე გედი სწრაფად გადიოდა ყველაზე მშვიდი უბნის – Jordaan – ის ქუჩებს. აქ სულ სხვა განწყობილება იყო. იმ წამს არც ერთმა არ იცოდა, რომ მსგავსი დისკოთეკებით სავსეა ევროპა.

* * *

ბელურებთან და მტრედებთან ერთად, ქალაქში უამრავი მწვანე თუთიყუში დაფრინავს. ორი სეზონი აქვთ – მშრალი და წვიმიანი.

საინტერესოა ინდიელების არარსებობის მიზეზი, თუმცაღა აქ მათი ჩაგვრა არ მომხდარა. ინდიელები ძალიან იოლად ასიმილირდნენ სხვა ეთნოსებში. კოსტა რიკა! აქ ღმერთი სიბუ ინდაურისებრ სვავებს გვამს მიუსევდა ხოლმე. სვავები სხეულს გახსნიდნენ... სული ზეცაში ადიოდა...

ეს წინათ... ახლა მდინარეში ბავშვები ნიანგებთან ერთად ბანაობენ.

ტურისტები +40 გრადუსიან ცხელი გოგირდის წყალში ნებივრობენ, ქოქოსის ნაყოფის წყალს მიირთმევენ ნაყოფშივე ჩარჭობილი საწრუპავით. მზის ჩასვლის ფონზე, უზარმაზარი წითელ– ლურჯ– ყვითელი თუთიყუშები წყვილ– წყვილად დაფრინავენ. დროდადრო ვულკანი გრუხუნებს.

ზღვისპირა პროვინცია ლიმონში თურმე მოსახლეობის უმრავლესობა შავკანიანები არიან. უკიდურესი სიღარიბე და ერთსართულიანი სახლები... პარმაღებზე მოხუცი შავკანიანები სხედან დაგლეჯილი სამოსით და დინჯად ეწევიან მარიხუანას.

სწავლის დაწყებიდან უკვე მესამე წელი გასულიყო.

ასტამური საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. ღამურების ულტრაბგერები თუ ლერწამოვან ტბაში მოტივტივე ჭაობის ძელქორი, გნებავთ ფრენის ტიპები, ან მაღალდელიკატური მცენარეები თუ ენდემური სახეობები – ყველაფერი, ყველაფერი

უკვე ნაცნობი იყო მისთვის. ასტამურის საფიქრალის 90% ახლა ორნითოლოგიას ეკავა. მარიხუანას მოიმარჯვებდა ხოლმე და თავი პარკ კაჰიუტაში ეგონა – ინდიელების რეზერვაციაში, შამანთან ერთად რომ აბოლებდა საუკეთესო ბალახს. ყველაზე მეტად კი ცეცხლის ირგვლივ მოცეკვავე შავკანიანების მოქნილება მოსწონდა.

მაგრამ იყო ერთადერთი, ერთადერთი ორნითოლოგიური ოცნება – თუნდაც ერთხელ მაინც ენახა ისპაჰანის ბულბულების გადაფრენა.

ამასობაში ნატაშას და ნიკას, შეიძლება ითქვას, პრემიერა არ გამოუტოვებიათ.

სხვადასხვა ზომის კინოთეატრებში ერთი-ორჯერ ჩასძინებიათ კიდეც. მოკლედ, საუკეთესო მეგობრებად იქცნენ. მათ შორის აღარ იყო ჩვეული ზღვარი. ასტამურის მოლოდინში ხან ერთი გადაუშლიდა გულს მეორეს, ხან პირიქით... მერე შემოვარდებოდა ასტამური ენერგიით სავსე და, ცას გამოკერებული, ნატაშას მონოლოგს შეაწყვეტინებდა; ხან გაუდაბნოების საშიშროებაზე, ხანაც ძიძა ტურებზე ჰყვებოდა.

როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა, დედა ოცდახუთი წლის იყო. კაბების ნაწილი შავად შეღება, ნაწილი კი გაყიდა.

მყიდველები მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ... ოთხი წლის ვიყავი, ვიდექი დედას ოთახის კართან და ჩუმად ვტიროდი. მეგონა, სულ ასეთი იქნებოდა, მოწყენილი და შავკაბიანი. არცერთ საუკეთესო მეგობარს არ მოსვლია აზრად დედაჩემისთვის ეთქვა, – კაბები არ გაეყიდა, რადგან გავიდოდა შვიდი, რვა, ათი წელი და დრო თავისით მოიტანდა იმ კაბების აუცილებლობას – სევდიანად განაგრძობდა ნატაშა.

დღეში ორჯერ, ეს როგორც წესი, სადღაც მიიკარგებოდა ხოლმე ახალგაზრდული სიხალისე, და ულტრაემოციური სახის გამომეტყველებით ნატაშა და ნიკა მონოლოგებით წარუდგებოდნენ ერთმანეთს. არადა, თითქოს მათი მოგონილი იყო ბავშობაში განცდილამდე დაყვანილი ხუმრობები და თამაშები. ქოთან-ball ეს თამაში ნიკამ მოიგონა.

დიდი ოთახის ცენტრში ეკიდა თოკი, თოკზე საშუალო ზომის საკმაოდ მძიმე ქოთანი, რომელიც წრეზე ტრიალებდა.

ტრიალის დაწყებიდან სამიოდ წუთში ქოთანი არანახული სისწრაფით მოძრაობდა, რომელსაც ხელს აშველებდნენ ირგვლივ წრეში ჩამწკრივებული ნატაშა, ნიკა, ასატამური, ვაუტერი და ასტამურის ორი ჯგუფელი. ისმოდა შეძახილები, კივილი და სიცილი. საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ მძიმე ქოთანი თავში მოხვედრის შემთხვევაში სერიოზულ ტრავმას გამოიწვევდა. უაზრობისაგან გაბრუებულები,

საოცრად აჟიტირებულები, უმძიმესი მუხტის ქვეშ ატრიალებდნენ ქოთანს. რა იყო ამ თამაშში საინტერესო?... მძაფრი აზარტის მიზეზი?

კიდევ იყო გამოთქმები, აკვიატებული რეპლიკები, რასაც წლების მანძილზე იგონებდნენ ახალგაზრდა ქართველები.

მაგალითად, "წავედით, გავედით – გავედით

– გავედით, გავფრინდით", ანდა "თბილისო, არ დაელოდო წერტილს!", – ეს უკანასკნელი უფრო წერილებთან დაკავშირებით იხმარებოდა, იყო კიდევ "დეზები" ან, "ოდესა, 80–იანები". მოკლედ, ქაოსი.

"სალამი ძვირფას ადამიანებს. ეს ჩემი პირველი წერილია, აქამდე თავი ვერ მოვაბი. ვიცი, საუცხოოდ გრძნობთ თავს. რა, არა? ასტამურ, ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი მოხდა, ბავშვი გამიჩნდა, სულ რაღაც ერთი თვის წინ. ბიჭია – რვათვიანი, ანდრო.

დაბადებას მთელი რიგი დრამატული პროცესები უძღვოდა წინ. ნინო სახლში ამოდიოდა უნივერსიტეტიდან. უეცრად მეორე სართულზე გული წაუვიდა, გაითიშა და დავარდა. მარო ბებომ იპოვა, ერთი ამბავი ატყდა. გავაქანეთ სამშობიაროში. ბებიამისი, ხომ იცი, მთელი თბილისის საუკეთესო ექიმებთან მეგობრობს. ისეთი ამბავი ატეხა, გაოგნებულები გვიყურებდნენ ექიმები.

ერთი ანესთეზიოლოგი ჰყავდა აჩემებული, ყველაზე მაგარიაო, მაგრამ არ დაგვხვდა ის კაცი. სახლში მივედით – არავინ იყო, მეორე სახლში მოხუცი, სკლეროზიანი ქალი შემოგვეგება: – გურამიკომ ცოლი მოიყვანაო. ბოლოს მეგობრებისაგან შევიტყვეთ, რომ ბატონი გურამი ფეხბურთის საოცარი გულშემატკივარია. ხოდა, აბა რა ფიქრი უნდოდა? იმ დღეს დინამოს სტადიონზე* ჩვენების გადამწყვეტი თამაში იყო. რასაკვირველია, ბატონი გურამიც იქ იქნებოდა. მარა, როგორ უნდა გვეპოვა ათასობით კაცში? თანაც დაწყებული იყო თამაში. ბოლოს ნინოს ბებიამ იმდენი ქნა, დინამოს სტადიონზე კომენტატორ ქალბატონს გამოაცხადებინა.

ყველა დინამიკში გაჟღერდა სასწრაფო განცხადება. იასნია, ექიმი ეგრევე გარეთ გამოვარდა, დაბნეული. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, საკეისრო გაუკეთეს. კარგა ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი.

იმედი მაქვს მომწერ წერილს, ასტამურ ძვირფასო! და დაწვრილებით მიამბობ, რა უპირატესობა აქვს სამშობლოდან გადახვეწას. ნატაშა არ ანერვიულო, მაინც პატარაა. ჩვენსკენ სხვა არაფერია, ისევ დაძაბულობა და ერთმანეთის გატანა.

დასდევ ჩიტებს? იქნებ მოსაწევი გამოგვიგზავნო. ისეთი "დომხალია"**, გაუკონტროლებელია ყველაფერი. ერთი კოლოფი, ჰა? ნახე მოკლედ, შენ იცი. აჩიკოს მამა ერთი კვირის წინ მოკლეს. გურო, დაუ და თომა ტელევიზიაში მუშაობენ, სულ იქ არიან. ნინომ მოგიკითხა, ხშირად გახსენებს. რა ვიცი, სხვა რა...

ჩვენით ვერ ვწყვეტთ, და რასაც გადაგვიწყვეტენ, ეგრეც იქნება. შენებთან შევდივარ ხოლმე, მოწყენილები არიან უთქვენოდ. მოკლედ წავედი, წერილს ვატან ნინოს ბიძის ძმაკაცს. მომწერეთ. ნატაშას მიხედე და შენი საქმის, კაროჩე***, შენ იცი".

ოთო

ასტამური ჩემოდანში ტანისამოსს ალაგებდა. ნატაშა კი ხმამაღლა კითხულობდა ასტამურის ბავშვობის მეგობრის წერილს, რომელიც მართალია ერთი წლით ადრე თარიღდებოდა, მაგრამ მაინც ძვირფასი იყო.

თუნდაც იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი წერილი, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მიიღეს. კავშირს სატლეფონო თითო– თითო წუთიანი რეპლიკებით აწარმოებდნენ. "კარგად ვართ" – მიაძახებდნენ მშობლებს და მორჩა.

ამ წერილმა რაღაც მოახდინა. ნატაშაც და ასტამურიც რაღაც გლობალურზე დაფიქრდნენ და ამის შემდეგ გადაწყვიტეს ხშირად მოეკითხათ მეგობრები, ოჯახის წევრები, გაეგზავნათ წერილები. ყველა ენატრებოდათ, მაგრამ თითქოს ეუხერხულებოდათ, რატომღაც დანაშაულისმაგვარს გრძნობდნენ.

ამასობაში კი ასტამურს პირველი პრაქტიკა უნდა განეხორციელებინა: ოც ჯგუფელთან ერთად უნგრეთში მიემგზავრებოდა – შავი ყანჩების გადაფრენის სანახავად.

ექვსდღიანი მარტოობა ნატაშასთვის მართლაც ექვს წელიწადს უდრიდა, თუმცა ასტმურის "ზე" მიზნები მთავარი იყო ახლა – ისე, როგორც ყოველთვის.

* * *

– ტატა! – შეშლილივით ეძგერა რედაქტორი ბუფეტში მჯდარ ტატას, – სასწრაფოდ წამოდი, გადაღებაზე მიდიხარ.

– მე სიუჟეტი უკვე დავამონტაჟე – დაიბნა ტატა.

– არა, ეგ ვიცი, ნუცას სიუჟეტი ჩავარდა, და შესავსებად მჭირდება რამე.

– კი მაგრამ, რა? ხუთი საათია უკვე.

თან კიბეებზე არბის ორივე. რამე უნდა გადაიღო, ან ინტერვიუ მოამზადო – რედაქტორმა ფურცელი გაშალა, – რაღაც გამოფენა არის ცისფერ გალერეაში, ერთი კვირის წინ გაიხსნა. წადი, გავარდი, რაღაცას მოიგონებ, მოკლედ! ადგილზე დააზუსტებ.

ტატას უკვე ხელში ეჭირა მიჩეჩებული კასეტა და მიკროფონი, ჭამა-ჭამით ოპერატორი იხმო და გამოფენაზე გასწია.

ცისფერ გალერეაში შევიდა თუ არა, ტატას გული შეეკუმშა, არცერთი დამთვალიერებელი არ ჩანდა. არადა, ტატას იმედი ჰქონდა, სამ-ოთხ რესპონდენტს ჩავწერ და სიუჟეტი შეივსებაო.

საიდანღაც ისმოდა სტვენა, პროფესიონალური, ჩიტის გალობამდე მისული. მარცხენა დარბაზში შეიხედა. ვიღაც ბიჭი ზურგით იდგა. ოპერატორი ამასობაში უკვე მუშაობდა.

ტატას თან მოსწონდა ნახატები, თან არა.

უეცრად ბიჭი მობრუნდა. თურმე ის უსტვენდა. მობრუნდა და ტატასკენ გამოემართა.

– როგორ ხარ? – მოულოდნელად წარმოთქვა ბიჭმა.

ახლა კი ნამდვილად ჭკუიდან გადავა ტატა, მის თვალწინ იდგა უცნაური, დიდთვალება, სულ სხვანაირი ბიჭი – ის, მკურნალ თამრიკოსთან რომ გაიცნო.

ბიჭი უცინოდა.

– ისე უეცრად გამომიშვეს გადაღებაზე... – დაბნეული სახით ყვებოდა ტატა, – არც კი ვიცი, ვის გამოფენაზე მოვედი.

ხო არ იცი?

– კი, ჩემს გამოფენაზე მოხვედი.

* * *

მე ის შემიყვარდა დილის ათის ნახევარზე, ერთი ზღვისპირა ქალაქის სასტუმროში, – საუზმეს შემოვუსხედით, ერთ მაგიდაზე აღმოვჩნდით. ახლადგაღვიძებულს საგრძნობლად ფერმკრთალი სახე ჰქონდა, გამოუცდელი მზერა და ასეთივე სურნელი. ჟაკეტის მკლავები თითებამდე ჩამოსვლოდა, ან შეგნებულად, ან ისე, როგორც ბავშვები

ვერ ხვდებიან ხოლმე, რა არის მათთვის უმჯობესი. ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ ჩვენ პირისპირ ვისხედით, თვალს თვალში ვუყრიდით ხოლმე ერთმანეთს და რამდენიმე წამი ასე გრძელდებოდა.

კინოგადაღებები იყო. მეგობარი სადიპლომო ფილმში მიღებდა. ის კი, როგორც კინომცოდნე, პრაქტიკებზე იყო წამოსული – სტატია უნდა დაეწერა.

ეს იყო პირველი ზიარება კინოსთან. გადაღებებზე ჭამის პირველი ხიბლი. დუბლების გარდაუვალობა და საპორტო ქალაქის ფლირტი – სასტუმროს ყველა ნომრიდან გამოუცდელი კოცნის ხმები გამოდიოდა.

არ ეძინა არავის. დილის შვიდის ნახევარზე წყვილები ზამთრის პორტის სანახავად გადიოდნენ. დროის ამ მონაკვეთში პორტი ყველაზე შთამბეჭდავია. წყვილები დილას ელოდებოდნენ, რომ სუსხით შეციებულებს ღია კაფეში თურქული ყავა გაესინჯათ – თითქოს პირველად.

და ალბათ ამიტომაც, ყოველთვის არსებობს სიყვარულის პერსპექტივა, თეთრ ხაზზე ფეხშიშველა სიარულის ალბათობა, და კიდევ ის, რომ ხშირად არც კინო გამოდის კარგი და არც სტატია, მარამ მთელი ცხოვრება გახსოვს განცდა და იქვეა ხოლმე ფოტო, როგორც ბედნიერების სამხილი.

მათ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა: არც ასტამურს შეუქმნია დაუვიწყარი როლი, ნატაშამ კი საერთოდ არ დაწერა სტატია. მაგრამ მათ უკვე ჰყავდათ ერთმანეთი, რაც სავსებით საკმარისი იყო.

* * *

ასტამურის და ნატაშას სახლის პირველ სართულზე ანტიკვარების მაღაზია გაიხსნა. ყურადღებიანი ესპანელი მენეჯერის წყალობით, ნატაშამ სწორედ იქ დაიწყო მუშაობა. ნატაშას ნივთის შესახებ მყიდველისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ევალებოდა. ასე რომ, დილის 9 სთ.-დან საღამოს 6 სთ.-მდე, ნატაშა ჭვავისფერი შპალერის და უნიკალური ნივთების გარემოცვაში ატარებდა დღეებს.

6-სთვის კი ფანჯრიდან ნიკა დაუქნევდა ხელს, და მათთვის რიგითი კინოსეანსი იწყებოდა. მოგვიანებით კი ქოთან- ball- ი ასტამურის გარეშე.

* * *

ბუდაპეშტის სასტუმროს ფოიეში ოცდაერთი ორნითოლოგი პირველი სასწაულის სანახავად შეკრებილიყო. სულ მალე მათი ხელმძღვანელიც გამოჩნდა და სტუდენტები ავტობუსში ჩასხდნენ.

წინა დღით ყველა მათგანი გააფრთხილეს, ქოლგები აუცილებლად წამოიღეთო. ასტამურმა დილით ცას ახედა. მოწმენდილი და მზიანი დღე ჩანდა.

ასი პროცენტით დარწმუნდა არ იწვიმებსო და, შესაბამისად, ქოლგაც ნომერში დატოვა.

სტუდენტები დანიშნულების ადგილზე მიიყვანეს. რაციებმომარჯვებული დისპეტჩერები გამუდმებით ცვლიდნენ ინფორმაციებს. სადგური სადგურს უკავშირდებოდა და გადაფრენის ზუსტ დროს აფიქსირებდნენ. ახალგაზრდა ორნითოლოგები ერთ ჯგუფად იდგნენ. ასტამურის გარდა, ყველას ეჭირა ქოლგა და დიდი მონდომებით შესცქეროდნენ ცას. მოულოდნელად ნათელ ცას ბინდი მოედო, მეორედ მოსვლას ჰგავდა.

მაგრამ არა, ეს შავი ყანჩები მოფრინავდნენ.

ბინდთან ერთად უცნაური ხმებიც გაისმა. ასტამურს სახე სკინტლებით დაეფარა, სხვები ქოლგებმა იხსნენს...

ჭეშმარიტი ორნითოლოგი წამით არ გაღიზიანებულა, უნდა იგრძნოო – ამბობდა.

* * *

კვირა დღეა. შუშაბანდი მზეს ატარებს ოთახში და ოდნავ ათბობს ინტერიერს. ტატა სავარძელში ზის და უმცროსი დის, სოფოს სასკოლო დავალებისთვის თემას წერს.

დედა ღიღინებს და სადილისთვის ამზადებს სუფრას. მაგიდის გაწყობაში სოფო და აჩიკოც მონაწილეობენ.

– ტატა, ტელეფონთან! – დაიძახა აჩიკომ.

– გისმენთ, – კალმით ხელში პასუხობს ტატა.

– ნიკუშა ვარ, გუშინწინ რომ გადაიღე ჩემი გამოფენა.

ასე ხდება ხოლმე. შემთხვევით და გუცნობიერებლად განაცხადებ თანხმობას შეხვედრაზე, რასაც შემდგომში ბედს უწოდებენ. ასე მოხდა იმ დღესაც. საღამო ხანს ტატა ნიკუშას სახლის ქვემოთ იდგა. სტვენა ისმოდა, ისეთივე, როგორც საგამოფენო დარბაზში.

მესამე სართულიდან იცქირებოდა ნიკუშა და ტატას ხელს უქნევდა.

ოთახი ყველანაირი სტანდარტიდან ამოვარდნილიყო. დიდი, უცნაური ნივთებით სავსე. ათასობით ცარიელი სუნამოს ბოთლი ერთმანეთის მიყოლებით ეწყო. განათება – ზოგან მწვანე, ზოგან ყვითელი, ხან წითელი.

მომცრო ზომის მაგიდაზე, ულამაზეს ფიალაში გამჭირვალე კანფეტები ეყარა – შაქარყინული – როგორც მოგვიანებით გაირკვა. დიდ ოთახს სქელი ფარდები ყოფდა.

ერთ მხარეს სახელოსნო იყო, მეორე კი მისაღებს ჰგავდა, ცოტა ფრანგულს, ცოტა ამერიკულს, ცოტაც – ჩვენებურს. კედლები სავსე იყო ნახატებით – ამჯერად ყვითელი პერიოდი იყო გამოფენილი. ვან გოგის ყვითელზე ძვირფასი.

"პრაიგრივაწელზე" ფირფიტა ტრიალებდა. მუსიკა არ იყო, მამაკაცი ფრანგულ ენაზე ჰყვებოდა რაღაც ამბავს.

– მოგწონს? – ჰკითხა ნიკუშამ ტატას და "პრაიგრივაწელზე" მიუთითა.

– არ მესმის ფრანგული.

– არც მე.

– აბა რატომ უსმენ? – ღიმილით ჰკითხა ტატამ.

– ჩემი საყვარელი წიგნია "პატარა უფლისწული".

– ა, "პატარა უფლისწულს" კითხულობს?

– ხო, ჟერარ ფილიპი, – გამომცდელად აკვირდება ნიკა ტატას – წიგნებს კითხულობ?

– კი, შენ?

– მე სამი წიგნი მაქვს წაკითხული, ეს – ხელი კვლავ "პრაიგრივაწელისკენ" გაიშვირა, ნიცშე და კობო აბე.

მეტი არც არის საჭირო.

ტატას ჩაეცინა. საოცრად ხიბლავდა ამ უცნაური ადამიანის სამყარო, თან ვერ ხვდებოდა რეალურად ასეთია ეს ბიჭი, თუ ერთგვარ პოზას არის ამოფარებული.

მოულოდნელად ნიკუშამ მუსიკალური ცენტრი ჩართო და არაამქვეყნიური ხმები გაისმა.

– ხომ მაგარია, – ჰკითხა ტატას.

ტატამ დაბნეულობისგან თავი დაუქნია. არადა, თვითონ არ მოსწონდა. მეტიც, შიში გაუჩნდა.

რა ვიცი, ვინ არის ეს ბიჭი. იქნებ გიჟი მხატვარია. აივნიდან ხომ არ გადამაგდებს ნეტა? თან საოცრად უსტვენს... ჩიტია, თუ ვინ არის...

ტატა ისე დაიძაბა წამოდგა, – წავალ, უკვე გვიანიაო. ნიკუშაც წამოიწია, – მართლა უკვე საკმაოდ გვიანიაო.

ტატას ნიკუშაც მოსწონს და ლევანიც.

დაგომისში საიდუმლო სერობაზე მივლინებიდან დაბრუნებულს კიდევ უფრო დატყობოდა ვაჟკაცური იერი. რაღაც იცოდა – დიდი საიდუმლო; ტატას განსაკუთრებით ანებივრებდა თავისი ჯენტლმენობით. მაგრამ ლევანს არ ჰქონდა ის, რაც ტატას ახლად გაცნობილ მხატვარში იზიდავდა – მისტიკა. ლევანი თითქოს ყოფითში იყო, აუცილებელი; ნიკუშა პირიქით – ირეალური სამყაროს გმირი იყო და ამიტომაც, ტატას ქვეცნობიერ ზეგანზე ბინადრობდა.

ტატამაც სწორედ ასე გადაანაწილა და, მისი აზრით, შესანიშნავად მოაწყო ცხოვრების ინტერიერი. დილით სამუშაო და ყოველდღიური ურთიერთობა. საღამოს კი მოგონილი თამაში – შაქარყინულებით, ფირფიტებით და მისტიკური მონოლოგებით.

* * *

რა ჯობია ახლა გემით მოგზაურობას? არც არაფერი. ცხოვრების ირეალური პერიოდი რომ იწყება შუა ზღვაში. საღამოს კაბების დემონსტრირება და გარუჯული ზურგების ხილვა. ღამით სტივ უანდერის კომპოზიციები – ვოკალის გარეშე, – ოდნავ უგემოვნო და ძვირფასი არანჟირება. მერე გემბანზე განცალკევება – სულის ასიმეტრია. რაღაც არის ავადმყოფური გემით მოგზაურობაში. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი დაბინავდება შუა ზღვაში – თან ღელვაა და ზაფხული.

შიში რომ აგიტანს...

ილუმინატორიდან კი ღამის უკიდეგანო სივრცე ჩანს მხოლოდ. რაღაც არის ავისმომასწავებელი გემით მოგზაურობაში, – ან ვიღაც მოკვდება, ან ერთმანეთს

დაშორდებიან დაბრუნებული წყვილები. არსად ისე არ შიშვლდება ადამიანი, როგორც შუა ზღვაში.

აქ ზოლებიანი ასოციაცია სტუმრობს ხოლმე ხშირად და ზედსართავები არ გვყოფნის შთაბეჭდილების გამოსახატად.

გემზე ყოველთვის იგავისეულია სიუჟეტი. და რაც მთავარია, იქ არაფერია ისეთი, რომ შეეჩვიო.

ულტრაემოციურობას ცოტა უკლია სიგიჟემდე. უკნიდან შლაპიანი ქალი გეგონება, – ამ დროს ეშმაკია ანფასში. გემბანზე ბავშვი მოგეჩვენება, თავზე ხელს გადაუსვამ და ჯუჯა აღმოჩნდება.

წყალში სამოგზაუროდ ისინი მიდიან, ვისაც ხმელეთზე არ დაედგომება. სანთიობოს ეძებენ, თუმცა მძივებიანი სუდარა შერჩებათ ბოლოს.

გემზე შამპანურებიც კი უცნაურად იხსნება. ისე, უბრალოდ, დღესასწაულის გარეშე.

აქ ყველა დამახინჯებულ ვნებას იკმაყოფილებს.

ზოლიან შეზლონგზე წამოწოლილი სპირტიან სასმელს მიეძალები; მერე ჩოგბურთის კორტებზე მოთამაშეებს თუ დააკვირდები, თეთრი, მოკლე კაბიდან სარცხვინელი გაიელვებს. თამაში დამთავრდება და მწვანე მოლს ხალიჩასავით ააგორებენ სიმპათიური მეზღვაურები. სულ ქვევით კი, ზღვის ფსკერზე, ხიზილალაგამოტენილი თევზები ანცობენ. ასეთ დროს მათი სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე შენი. უფრო ზუსტია და აშკარა. მოგზაურებს ბოლო დღეებში მადა ეკარგებათ, – ასე იწყება ის მდგომარეობა, რასაც მხოლოდ ერთი სახელი უბოძეს – შიზოფრენია.

* * *

ასტამურის დაბრუნებამდე ერთი დღე იყო დარჩენილი. ნატაშას ჭვავისფერ შპალერზე გაშტერებოდა თვალი. რატომღაც ნიკა არ ჩანდა. არადა, ჩვეულებისამებრ, დღესაც კინოში უნდა წასულიყვნენ. ნატაშა სახლში ავიდა. ერთხანს მუსიკას უსმენდა, შემდეგ ტანისამოსის კარადასთან იდგა და კარგა ხანს არჩევდა საუკეთესოს. სურვილისამებრ შეიმოსა, ველოსიპედი აიყვანა და ნიკასკენ გასწია.

ცენტრიდან შორს, Hაუტმანკადეზე, – აქ ტრამვაის ბოლო გაჩერებაა.

კარი ნიკას roommate-მა გაუღო, ნატაშა შინ შეიპატიჟა და აუწყა – დღეს დილით ნიკა თბილისში წავიდაო. აღარც კი ესმოდა რაზე საუბრობდა იტალიელი ტონინო.

სრულიად მარტო იყო ახლა მთელს ამსტერდამში და ბავშვივით ქვითინებდა. ნიკას უეცარი გაუჩინარება უსიამო გრძნობას ტოვებდა. ნატაშა შეშლილივით მიაქანებდა ველოსიპედს და რატომღაც ალეგორიული ეგონა ეს ქალაქიც, და ეს ხალხიც. არტისტული ნერვოზით იყვნენ შეპყრობილები და ვერც კი ხვდებოდნენ ამას.

* * *

მერე ის დრო დადგა, ნიკუშა ტატას რომ აღარ ეპატიჟებოდა თავისთან სტუმრად. რა აღარ იფიქრა... ეტყოდა, გამოვალო. ნიკუშა ბანზე აუგდებდა სიტყვას. ვერაფერი გაიგო ისედაც დაბნეულმა. ნუთუ დამთავრდა ყველაფერი?! როცა თვეზე მეტი გავიდა, ტატამ ძალა მოიკრიბა, გაბედა და ჰკითხა:

– ნიკუშ, შენთან რატომ აღარ მეპატიჟები?

– ველოდებოდი, როდის მკითხავდი. შენ ხომ გაქვსრაღაც ვერსია?

– კი, – დინჯად უპასუხა ტატამ.

– ხოდა, მაგიტო.

ამ დიალოგიდან, ზუსტად მესამე დღეს კვლავინდებურად აღდგა ურთიერთობა...

აქ არავინ აგებდა პასუხს საქციელზე.

– გინდა მანჰეტენზე გადაგახედო? – ჰკითხა ნიკუშამტატას. ტატამ რიგითი საოცრების მოლოდინში, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ჩაბნელებულ აბაზანაში ქუჩაზე გამავალი პატარა ფანჯარა ღამის მანჰეტენის მაკეტს დაეკავებინა. საკუთარი ხელით გაკეთებული, ერთი – ერთზე. ბნელ აბაზანაში მილში მოძრავი წყლის და ტატას გულისცემა ისმოდა მხოლოდ.

ასე იყო ყოველი დღე, – დღე სასწაულის.

კვირაში ერთხელ კედელზე ნახატი იცვლებოდა. ნიკუშას არაორდინარული იუმორი და საუცხოო განწყობა ნელ-ნელა მისაჩვევი ხდებოდა.

ტატა ახლა გულს ვეღარ უდებდა სამუშაოს. მონტაჟზე ქურთუკით იჯდა. სიუჟეტის დასრულება და ოთხიდან გავარდნა ერთი იყო.

ნიკუშა მშვენივრად ერკვეოდა ადამიანურ სისუსტეებში და ძალიან მოკლე დროში, ტატა ყველანაირი რაკურსიდან გახსნა. თუმცა ტატა შინაგანად ძლიერი იყო.

ალბათ სწორედ ამიტომ, ხშირად მარცხდებოდა ნიკუშა, თუმცაღა ბოლომდე იცავდა პოზიციას.

ტატას გულგრილობას უყურადღებოდ არ ჩაუვლია. დირექტორისაგან შენიშვნა მიიღო და რედაქტორთანაც მოუხდა მცირედი კონფლიქტი.

ლევანი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ტატა დღითიდღე იცვლებოდა. სახლში მისვლას აგვიანებდა და სასაუბროდ აღარ უჩერდებოდა. არადა, ტატას მისდამი პირველყოფილი სიმპათია ჯერ კიდევ არ განელებოდა. ლევანმა პეიჯერი აჩუქა.

ამის შემდეგ კი ტატა საბოლოოდ დარწმუნდა ერთ სენტიმენტალურ ჭეშმარიტებაში – ლევანისნაირად არავინ შემიყვარებსო. თითქოს უკვე ხაზი ჰქონდა გადასმული. რაღაც ძალიან დიდი მსხვერპლისთვის ამზადებდა საკუთარ თავს.

– გამარჯობა, – უთხრა ნიკუშამ, ოთახში შემოიპატიჟა და ხელი ჩამოართვა. ტატა მოულოდნელად შეკრთა და ნიკუშას ხელზე დახედა. შეწუხებული კედლისაკენ გაბრუნდა. ნიკუშას რეზინის ხელთათმანი ეკეთა.

ტატას შეშინებული სახის დანახვაზე სიცილი ვეღარ შეიკავა და თავისებურად გაამხნევა:

– იცი, როგორ გზოგავ?! – ცუდი არტისტივით წარმოთქვა და თან შაქარ-ყინული ჩაიდო პირში.

– რო არ მზოგავდე რას იზამდი? – პატარა ბავშვივითჩაეძია ტატა.

– ნუ, მაგალითად, აგიხსნიდი სიყვარულს.ტატა ადგილზე გაშეშდა, და რომ არა პეიჯერზე მოსული წერილი, ალბათ ვერც გამოვიდოდა მდგომარეობიდან: "მალე მოდი. დედა".

– ასე ნუ მელაპარაკები, ნიკუშ!

– როგორ?

– ეგრე.

– მე შენთვის ვამბობ, ჩემო ძვირფასო. . .

შეყვარებული გყაავს? – პირველად გაისმა ამ ჟანრის კითხვა.

– არა, შენ?

– არა, – ნიკუშამ წარბები აწია, – შეყვარებულიც არყოფილხარ არა ოდესმე?

– კი, ერთხელ, – და ტატა ფეხზე წამოდგა, – შენ?

– კი, ორჯერ, – ნიკუშამ მუსიკას აუწია ხმა.

მუსიკას წვიმის ხმაური მოჰყვა. თავიდან ტატა ვერ მიხვდა, რომ ეს უბრალო, კასეტაზე ჩაწერილი წვიმის ეფექტი იყო და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აივნისაკენ გაემართა. ნიკუშა, მომღიმარი სახით, კედელს მიყრდნობოდა. ტატა ხუმრობას მიხვდა და საპასუხო ღიმი უბოძა. ასეთი რამ პირველად ხდებოდა. მხოლოდ ამ წამს ჯანსაღ ადამიანებს ჰგავდნენ.

მხოლოდ ახლა იცოდნენ, რა უნდოდათ. ოთახში მათი სურნელი გამძაფრდა. წვიმის ეფექტი კონკრეტულ კონტურს ავლებდა სიუჟეტს.

* * *

სექსი ძალიან ჰგავს ჯაზს, – ვგულისხმობთ ულევ შესაძლებლობებს, იმპროვიზაციას; როცა რეალურად არ იცი, თუ სად არის კულმინაცია. და კიდევ, ასეთი სახით ის აღარასდროს განმეორდება.

საუბარია იმ დინამიკაზე, იმპულსზე და ენერგიაზე, რაც ერთი შეხედვით გაფიქრებინებს, თითქოს დროდადრო ტემპი იზრდება, მაგრამ ეს ასე არ არის.

სინამდვილეში, დროის ამ მონაკვეთში, ფანტაზია დაუჯერებელ შესაძლებლობებს აღწევს.

ჯერ ახალი ორლეანიდან მისისიპის გაყოლებით გაცურავს სანაოსნო წვეულება, შემდეგ კედელზე გაკრულ თეთრ ზეწარზე ძველ მეჯლისს უჩვენებენ.

"ჯაზი ყველგანაა, ღმერთივით", ისევე როგორც სექსი. თურმე ადრე ჯაზის დაკვრისთვის საკმარისი იყო ძლიერი ექსტაზი და ჯაზის სიყვარული. დღეს აღარ, რადგან განვითარდა და მხოლოდ იმიტომ არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რომ მისი არსი შესრულებაშია.

სექსშიც იგივეა. სიყვარულის და ექსტაზის გარდა, ხომ არის კიდევ რაღაც, მეტაფიზიკური ბოდვა თუ აღვირახსნილი სწრაფვა, – სწრაფვა იმ ერთადერთი მიზნისთვის, რასაც სიამოვნება ჰქვია. და რაც უფრო უადგილო და უდროოა ის მთავარი, მით უფრო ეფექტურია, ისევე როგორც იუმორი.

არტისტული ნევროზი თუ შიზოფრენია? არც ერთი. უფრო კი ადამიანური სისუსტე.

ჯაზი ბევრად ადრე არსებობდა, ვიდრე აფრიკელები დოლებს დედას და მამას ეძახდნენ. უბრალოდ, იყო ერთი პირობა: ჯაზი აუცილებლად მეოცე საუკუნეში უნდა მოდებოდა მსოფლიოს. უფრო მეტიც, წლებიც გათვლილი იყო და დღეებიც. ამიტომაც ამერიკის ერთი ბოლოდან მეორეში, გაგრილებამდე ატარეს ჯაზი.

რატომ უღიმიან ერთმანეთს ჯაზ– მუსიკოსები კომპოზიციის შესრულებისას? ისინი იმპროვიზაციის გენიალურობას მოჰყავს გაოცებაში და ღიმილით იმ წამს აფიქსირებენ, რომელიც აღარ განმეორდება, ისევე როგორც სექსში.

* * *

– შენ ისეთი გულჩვილი ხარ, ალბათ, ღმერთისაც გჯერა, ჯვარსაც ატარებ. მოკლედ, ადამის ცოდვას ხარ გადაყოლილი... ასეა? – ნიკუშა შიგადაშიგ მონოლოგს წყვეტდა და ტატას კისერში კოცნიდა, – უსასრულობამდე მიხვედი, თუ ჯერ არა? ტატა! შენ გეკითხები?

ტატა დივანზე გაწოლილიყო და სიუჟეტის ტექსტს წერდა. ნიკუშას არ უსმენდა. უკვე დრო გასულიყო. ტატა მიეჩვია ასეთს, არაჯანსაღს: აგორაფობია, თუ რაღაც ამდაგვარი... მხოლოდ აივნიდან გადახედავდა ხოლმე ქალაქს.

მარტო ცხოვრობდა... არც ახსენებდა ახლობლებს.

ნიკუშას ჩასძინებოდა. წერისას ტატას ფურცლები შემოაკლდა და უწესრიგოდ მიმოყრილ ნივთებში ქექვა დაიწყო. მოულოდნელად ერთ– ერთი ჟურნალიდან ორი ფოტოსურათი გადმოვარდა. დააკვირდა და ძლივს ამოიცნო: ხიდზე მდგარი გრძელთმიანი ნიკუშა, მხიარული, არაფხიზელი და ასეთივე ანტურაჟი – ფონად წითლად განათებული ღამის ქალაქი. მეორე ფოტოზე კვლავ გრძელთმიანი ნიკუშა და ასაკოვანი მამაკაცი, საკლასო ოთახის მსგავს ინტერიერში.

ტატა რატომღაც აღელდა, ფოტოები ამოაბრუნა, არაფერი ეწერა უკან. ხო ვთქვი, წინათ სხვანაირი იქნებოდა– თქო, – საკუთარ თავს გამოელაპარაკა და ქალური ინტუიციით კმაყოფილი დარჩა.

ტატა დღითი დღე შორდებოდა პრაღას, როგორც იდეას. და არამარტო პრაღას... მიზანი აღარ არსებობდა მისთვის. ასე, სავარძელში მოკალათებული, ხშირად სიმშვიდისაგან გამოწვეულ ნეტარებას განიცდიდა. და ალბათ ამიტომაც, იმ დღეს, როცა ერთადერთმა დამოუკიდებელმა ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტა და თანამშრომლები თვალცრემლიანი ითხოვდნენ პასუხს, ტატა აქამდე უხილავი ინფანტილურობით, ყავის ჭიქით ხელში, დერეფნებში გადი– გამოდიოდა.

– ტატა! არ მომწონხარ, – უთხრა ლევანმა და მკლავზე ჩაებღაუჭა.

– რას იზამ, ლევან! – იყო უხეში პასუხი. ტატამ ასეთივე ველური მოძრაობით დააღწია თავი ლევანს და გაშორდა, აუღელვებლად, მშვიდად, რადგან მხოლოდ ნიკუშა იყო ის, ვინც პრობლემებს უმსუბუქებდა და ახალი იმპულსებით ავსებდა.

ტატას კალაპოტიდან ამოვარდნა ოჯახში პირველად აჩიკომ შენიშნა. თუმცა არაფერი უთქვამს. ასეთ დროს ხომ ეუხერხულებათ რაღაც. თუნდაც ის, რომ ბოლოს და ბოლოს შვილები იზრდებიან და ერთ დღესაც სექსუალური მზადყოფნა აშკარა ხდება.

აჩიკო ალმაცერად ახედავდა ხოლმე საყვარელ დისშვილს და ისევ თავის მისტიურ ოთახში შეიკეტებოდა.

ურთიერთობის მეხუთე თვე მიილია. მთელი ამ დროის მანძილზე ნიკუშა ერთხელაც არ გასულა გარეთ. ექსცენტრულობა მეორე უკიდურესობაში გადაიზარდა. ნიკუშა უსუსური გახდა რატომღაც. ტატა გააქტიურდა და თავადაც იგრძნო ეს ცვლილება. შიში აჰყვა – ბოლოს სულ მთლად არ დადნესო.

ტატას ერთხელაც არ უკითხავს ნიკუშასთვის, რა აწუხებდა. ამის საბაბს თავად არ იძლეოდა. ყოფითი პრობლემები ერთი საათითაც არ ყოფილა მათი ინტერესის სფეროში. გიჟებივით მიეკვრებოდნენ ერთმანეთს და ორივე მზად იყო, თუნდაც დილის ხუთ საათზე დაეწყოთ ცეკვა და ასე გაგრძელებულიყო უსასრულობამდე. ტატა გახდა, ნიკუშაც. წვიმაში მოყოლილი ტორტებივით სასაცილოები იყვნენ. რაღა თქმა უნდა, უცხო თვალით.

თავად ხომ ვერაფერს გრძნობდნენ. მათ ერთმანეთი უყვარდათ და დამატებითი აბზაცების აუცილებლობა აღარ იყო.

* * *

ასტამური თვალშისაცემად დაბალი იყო კლასშიც და კლასგარეშე სამეგობროშიც. თხუთმეტი წლის რომ შეიქნა, სიმაღლეში უეცარი ზრდა დაიწყო. მოკლე დროში ასტამურმა სიმაღლეში ყველას გაუსწრო. ახლობლები შეშინდნენ, უცხოები ანომალიაზე ალაპარაკდნენ. რაც შეეხება ორგანიზმს, მან სწრაფი ზრდის ადეკვატურობა ვერ შეძლო და შესაბამისად გული და სისხლძარღვები აქამდე გაუგონარ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ასტამური ერთი წლის მანძილზე ავადმყოფობდა, ოდნავაც რომ წამოიწეოდა, საჭმელად ან წამლის მისაღებად, გული ამოვარდნამდე იწყებდა ფეთქვას. მთელი შემდგომი ცხოვრება, სამომავლო გეგმები, მონახაზი თუ იდეა, სწორედ ამ ერთ წელიწადში დაგეგმა და დააპროექტა. აქ, ამ თეთრეულში გახვეულმა, საბოლოოდ აირჩია ბიოლოგიას გაჰყოლოდა და სასახელო ორნითოლოგს მთელი ქვეყანა აელაპარაკებინა. ინფორმაციის მოპოვება მოხეტიალე მტრედებისა თუ ტურა "ძიძების" შესახებ, ასტამურის უეცარი ზრდის პროცესს უკავშირდება.

როდესაც მომჯობინდა და ძალა მოემატა, თბილად ჩააცმევდნენ და აივანზე მდგარ სავარძელში წამოაჯენდნენ ხოლმე. ასტამურს გვერდით კვერცხებით სავსე კალათა ედო. თავად გაფენილ სარეცხს ამოფარებული, მესამე სართულიდან, ყველა იმ ქალბატონს, ვინც ქურქით იწონებდა თავს, ცილას და გულს ერთიანად სთავაზობდა.

"სადისტებო!" – ფიქრობდა გულში ასტამური, გადიდებულ და უცნაურ გულში.

და ადგა, სადარბაზოდან გამოვიდა და ჩამწკრივებულ, დადუმებულ უბნელებს ძვირი სალამი მისცა. ბიჭები თვალებს არ უჯერებდნენ: ასტამური ყველაზე მაღალი იყო, მაღალი და რაღაცნაირი. ცოტა ხანს იქ იტრიალა უკმაყოფილო სახის გამომეტყველებით. შემდეგ ერთ-ერთს მიუბრუნდა და უთხრა: – რაღაც დამპალა უბანშიო, – და ზეკაცის სიარულის მანერით გაუყვა ქუჩას. აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ.

ასტამური აღარასოდეს დადგებოდა ქუჩაში, უბნელებთან ერთად.

მთელი ამ დროის მანძილზე, იგი ყოველდღიურად შორდებოდა მათ, ბავშვობის მეგობრებს, რომლებმაც ვერაფრით გაიგეს, რა "დალპა უბანში"? – რისი თქმა სურდა ასტამურს. აბა ვინ რას იფიქრებდა, რომ დაბრძენებულ მეგობარს, სამ სიტყვაში ჰქონდა ჩატეული შექსპირიც და "ქუჩაც", ტრადიციაც და ტკივილიც. და რაც მთავარია, ერთი წლის შემდეგ, საკუთარ პოზიციას ღიად გამოხატავდა. ხმა გავარადა, ასტამური უცნაური გახდაო. ძალიანაც კარგი, სწორედ ეს უნდოდა. უცნაურობა, იმხანად და იმ სივრცეში, ხელშეუხებლობისათვის საუკეთესო გამოსავალი იყო.

* * *

დროის რაღაც მონაკვეთში ცუდად გაშიფრულ მითს ემსგავსება ყოველი ჩვენგანი.

ხდომილებათა შეუსაბამობა მთავარს გვაშორებს და გვასუსტებს. ერთმანეთს ვეტოლებით, – გვემსუბუქება ცოდვები. გვეადვილება წიგნები. არაფერი გვსმენია იმ მოთმინების უნარზე, რითაც ღმერთმა დააჯილდოვა ჩვენი ავტორები. და ალბათ ამიტომაც, გამუდმებით ერთია განწყობა, თითქოს ღვთის სიტყვას იუწყებოდნენ – "ეს ჩემგან იყო". მთელი სხეული კი მაინც, მხოლოდ ემოციით ლავირებს. ხან ძველირლანდიურ საგას გადაწვდება, ხანაც უცხოურ ლეგენდას აიკვიატებს.

თავიდათავი კი მისჯილი დაკვირვების უნარი გახლავთ. ჩვენ ხომ სამსახურიდან შინ მიმავალ ასაკოვან მამაკაცსაც ალმაცერად ვუცქერთ, – ხელში პარკი რომ უჭირავს და სამი დღის მერეც გვახსოვს, რა იდო შიგ – პური, შაქარი, არაჟანი და სამი სახეობის მწვანილი, – რაც დააბარეს, ის; ან ქუჩაში, გვერდით რომ ჩაგივლის შუახნის ცოლ-ქმარი, გვიან გაჩენილ თორმეტი წლის ვაჟთან ერთად. იაფფასიანი სამოსით საკმაოდ კოხტად შემოსილები, შეწითლებული სახეებით. თითქოს ეს– ესაა აიღეს ხელფასი, – შრომით, პატიოსნად მოპოვებული. – კიდე გიჭერს? – ეკითხება დედა შვილს. ყველაფერი გასაგებია, საუბარია ფეხსაცმელზე, რომელიც უთუოდ დღეს უყიდეს გვიან მოსწრებულ შვილს. ჯერ ხელფასი აიღეს, შემდეგ ბაზარს მიაშურეს.

კიდევ შეიძლება განივრცოს ეს ამბავი უფრო დიდი ტკივილისაკენ, მაგრამ რატომღაც, ჩვენი მწერლები აქ ჩერდებოდნენ და შემდეგ ამ თმენის უნარს ლოცავდნენ. ასე იყო ყოველთვის. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ მოხდება, არავინ იცის.

ალბათ ვერ მოითმენს და წინა დღით ნიკუშას დანგრევის პირას მისულ ოთახში, სადაც ტატა ცეკვა-ცეკვით ალაგებს აქეთ-იქით მიყრილ ნივთებს, ნახატებს, ჩამოგლეჯილ ფარდებს თუ ტანისამოსს, და ფრენის მსგავსი ცეკვა და არტისტული, ტექსტის ადეკვატური პირის მოძრაობა რიგით სიგიჟეს ჰგავს, წაბორძიკდება, შეუძლოდ გახდება და გონებას დაკარგავს.

ნიკუშას ტილო დაესველებინა და შუბლზე ადებდა. სიჩქარით, ტილო ვერ გაწურა და ტატა მუხლებამდე დასველდა. ნიკუშას პირველად დაეტყო სახეზე შიში.

სხვა ადამიანს ჰგავდა, აქეთ-იქით ცეცხლმოდებულივით დარბოდა: " რა გინდა ტატა? ჩაი? წყალი?" შეშინებული ნიკუშას დანახვაზე, ტატას ღიმილი მოერია. ახლა იგი ჩვეულებრივ, რიგით შეშინებულ ბიჭს ჰგავდა.

ნიკუშა გაბრაზდა, გაბრუნდა, ჩვეულ ნაჭუჭს დაუბრუნდა და ამჯერად ჟურნალებიდან ფოტოების ამოჭრას შეუდგა. განაწყენებულს ტატასკენ არც გაუხედავს.

– ნიკუშ! – დღეს პირველად დაუძახა ტატამ ხმამაღლა, თითქმის ყვირილით, – ნიკუშ, მე დაგინგრევ მაგ სამყაროს... გაიგე?!

– ისე, შენი დანგრეული ცუდი არ უნდა იყოს – მშვიდად მოიგერია ნიკუშამ.

ტატა ხშირად ავადმყოფობდა.

სამ სართულს ფეხით თუ ავიდოდა, გული ამოვარდნას სთხოვდა. გულის წასვლაც არ იყო იშვიათობა. ამიტომ ამ შემთხვევას განგაში არ მოჰყოლია. უბრალოდ, აჩიკო ცუდად გახდომის დეტალებს აზუსტებდა, რის შედეგადაც დაასკვნა: – გულის წასვლა კი არა, გონების დაკარგვა იყოო, თქვენ ვერ ხვდებით რამხელაა სხვაობა? შეშფოთებული გადი-გამოდიოდა ოთახებში, თან დაორსულებასაც არ გამორიცხავდა. ოღონდ თავისთვის, ჩუმად ჰქონდა ეს ვერსია.

ტატა ორი დღე სახლში ბრძანდებოდა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მთელი ეს დრო ნიკუშა არ გამოჩენილა.

ტატა საგონებელში ჩავარდა. ურეკავდა – არავინ პასუხობდა.

მესამე დღეს ტატამ ვეღარ მოითმინა და ნაცნობ მისამართს მიადგა. კარს არ აღებდა. ტატამ ახლა კართან დაფენილი ფარდაგი ასწია და გასაღები აიღო. თან ეშინოდა, – გული ცუდს უგრძნობდა, ასეთ დროს ხომ არასოდეს ცდებიან ქალები.

სიბნელე იყო.

მხოლოდ დღის შუქი იჭრებოდა უნიათოდ. ერთი შეხედვით, ნივთები ეცოტავა, თითქოს რაღაც აკლდა. თუმცა არა. დაძახებას აზრი არ ჰქონდა. და უეცრად ტატას ის დაუვიწყარი სტვენა შემოესმა, ჩიტის გალობას რომ ჰგავდა. იქვე, ოთახში ისმოდა. ტატა დიდხანს ელოდა ნიკუშას გამოჩენას.
პატარა მაგიდაზე ერთმანეთის გვერდით ეწყო: ჟერარ ფილიპის ფირფიტა; ერთი პარკი შაქარყინული და ახალი ნახატი – ხოჭო,

– იმ უიშვიათესი სახეობის ხოჭო, რომელიც მხოლოდკოლექციებშიღაა შემორჩენილი (რაღა თქმა უნდა, სადღაც ალბათ კვლავინდებურად დახოხავს). არსებობს კიდევ პალმის უიშვიათესი ჯიში, ძალიან მაღალი რომ იზრდება. ის ხოჭო სწორედ ამ პალმას შეუჩნდება ხოლმე, გამოჭამს და გამოფიტავს. არადა, ესეც ისეთი იშვიათია...

ტატა სწორედ იმ ნახატს დაშტერებოდა. გონს მოსულმა კი მხოლოდ შაქარყინულის პარკს მოკიდა ხელი. გარეთ გამოვიდა, კარი გადაკეტა და გასაღები თავის ადგილზე დადო.

ახლა ცოტა ყრუდ, მაგრამ მაინც ისმოდა სტვენა.

გვიან ღამით, პეიჯერზე წერილი მოვიდა:

"სალამი ტატუნ! გწერ შორეული NEW YORK-დან... ცენტრია, მოვლენათა ეპიცენტრი, გეფიცები. მაცვია მოკლე შავი "პალტო", საყელო აწეული. გარეთ თოვს, მე კი ცხელი ყავით ხელში მივაბიჯებ მანჰეტენზე. სიგიჟეა ნამდვილი. იცი რა ტემპია?! ვერაფერს ვერ ვასწრებ.

ფოტოგრაფიის კურსებზე დავიწყე სიარული, სამთვიანი კურსია. გუშინ დავალება მქონდა: უნდა გადამეღო ყველაზე საქმიანი ადამიანი, უნდა გამეჩერებინა და ისე.

ტატა! იმედია ყველაფერს მიხვდი.

კომენტატორს მოველაპარაკე, აქედან დავრეკე და სათქმელს გრაფიკული სისტემით გიგზავნი... ახლა რასაც ვაკეთებ, იმისი წერილობით გადმოცემა შეუძლებელია. მიხვდი, ხო?! ვუსტვენ."

ნიკუშა

* * *

იმ ღამით ნატაშამ, ტელეფონის საშუალებით, პირველად მოიკითხა ყველაზე ახლო მეგობარი – ტატა. "არ გახლავთ ქალაქში", – უცნობის პასუხი თავშეკავებული იყო.

ნეტა რისი თქმა სურდა ნატაშას მეგობრისთვის, იქნებ კითხვა ჰქონდა რაიმე?

ასეა თუ ისე, ასტამური დაბრუნდა. ნიკას გაუჩინარების ამბავი შეიტყო და იმ წამსვე გია ბიძიას დაუკავშირდა, რომელმაც არაფერი იცოდა. ასტამურმა ვაუტერიც მოძებნა, თუმცა დამაიმედებელი ვერაფერი შეიტყო.

იყო ძველით ახალი წელი. ასტამური და ნატაშა საწოლზე იწვნენ, ერთმანეთს მიკრობოდნენ და დუმდნენ.

* * *

"ეს ჩემი საყვარელი ადგილია.

საჩაიეში, მყუდრო ჩალის სკამზე დავჯდები ხოლმე და ქუჩას ვუყურებ.

ვხედავ ხალხს, ჩვეულებრივ ხალხს და ვგრძნობ, იმ მთავარ საოცრებაში მეც ვიღებ მონაწილეობას.

ხანდახან ისეთი აუცილებელია შენი აქყოფნა... ჩრდილების ქვეყანაა, მართლა! ვიწრო, მოქნილი კიბეების, მიმალული ოთახების. ხმადაბლა ვსაუბრობ და ერთ ლუკმას სხვას ვუყოფ. ჩამოდი, აუცილებლად ჩამოდი! ჩვენ რომ გვეგონა ხალხი თავს იმკვდარუნებს, თურმე მართლა კვდებიან; ზოგჯერ ისე, უმიზეზოდაც.

ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში დამემართა, ორ რამეს დავაბრალე, ერთი თვითონ ინდოეთს, მეორე – შენ.

აქ მივხვდი, რომ თურმე სიტყვას თავისი ზუსტი დრო აქვს.

ადრე თქმული სასწაულმოქმედ ძალას კარგავს. დაგვიანებული სიტყვა კი დაგვიანებული წერილივით უსუსურია.

იმ ღამეს გიგანტური სასტუმროს კომპლექსში მარტო მე და შენ ვიყავით ბედნიერები. არაბული ცხენის გულივით ვფეთქავდით. ასთმა გვიტევდა. ვიწექით შიშვლები... ორივეს ჯვრები გვეკიდა, – სადა, უბრალო, თოკებზე.

ჩვენ ყველაზე აღგზნებული ქრისტიანები ვიყავით მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

ჩვენივე ხელში იყო ბედი ან ნახევრად-ბედი, მაგრამ ჩვენ ასე მოგვწონდა – სახურავებზე განმარტოება და ტუჩებში კოცნა. აივნის კარი დაგვრჩა ღია. დილით სუსხმა გამაღვიძა. ჩვენთან მთაში ხომ ყოველთვის ცივა.

ახალორლეანური რიტმით დავტოვეთ სასტუმრო. ყველა ჩვენ გვიყურებდა (იცი, რატომაც).

ღია კაფეში ვისხედით. მე თვალებში გიყურებდი: – ძალიან დიდი დრო დასჭირდება ამ დილის დავიწყებას– მეთქი, – გითხარი. ღიმილი მოგერია და თითქმის შენთვის ჩაილაპარაკე "რა ერთნაირი "პადსაზნანიები" გვაქვსო".

ბრინჯის მინდვრებზეც მინდა მოგიყვე, მაგრამ ერთი სიტყვა მაგონდება მხოლოდ, – მწვანეა. მზე – ინდური და ოქროსფერი.

ჩამოდი, აუცილებლად ჩამოდი! შენ არ ამბობდი, ბედნიერება ბედნიერებაშივე უნდა გაცვალოო?! ჩამოდი და თავიდან დაიწყე. აზიიდან აშკარად იწყება რაღაც.

ჯერ არ ვიცი რა...

P. S. ყველგან ქაოსია. დარწმუნებული ვარ წერილი დაგვიანებით მოგივა, მაგრამ მჯერა, რომ წაიკითხავ."

– როდესაც ამსტერდამში პირველი მეტროს გასაყვანად გვირაბი გათხარეს, სწორედ მაშინ იპოვეს. – ნატაშას ხელში საშუალო ზომის სურა ეჭირა და იაპონელ ცოლ– ქმარს დინჯად უამბობდა მორიგი ანტიკვარული ნივთის ისტორიას, მაშინ როცა ორი სართულით ზევით, ფანჯარასთან მდგარი ასტამური დაგვიანებით მოსულ წერილს კითხულობდა.

* * *

ამსტერდამულ პერიოდში ასტამური და ნატაშა, ბატონი გიას ხათრით თუ ტრადიციული რიტუალის გამო, ორ-სამ თვეში ერთხელ ემიგრანტების სალონურ შეხვედრებზე დადიოდნენ ხოლმე. მალე სწყინდებოდათ, რადგან ნიკას თქმის არ იყოს, ემიგრანტები სულ ერთსა და იმავეს ჰყვებოდნენ, დარდობდნენ, ვაჟკაცობა არ ყოფნიდათ და ისევ სხვა ენაზე განაგრძობდნენ ცხოვრებას.

ასტამური და ნატაშა ხშირად აცდენდნენ წვეულებებს, თუმცა ქალბატონ მაიასთან, ასე თუ ისე, მაინც ხშირად სტუმრობდნენ.

იმ დღეს, გია ბიძიამ ერთ– ერთი Utrechtsestraatel-ის, ირაკლის, გამოფენის გახსნის ამბავი ამცნო ახალგაზრდებს: – დაპატიჟებულები ხართ, აუცილებლად მოდითო.

Weteringschans-ზე, 69 ნომერთან უამრავი ხალხი ირეოდა, საუცხოოდ შემოსილები და სადღესასწაულო განწყობით. საგამოფენო დარბაზს ასტამური და ნატაშაც მიუახლოვდნენ.

– ლამაზებო! – უეცრად, მათ გზა გადაუღობა ქალბატონმა. რა თქმა უნდა იცნეს – ქალბატონი მაია. ნატაშა საოცარი სითბოთი ჩაეკრო და აღარ მოშორდა, მაშინ როცა ასტამური, უკვე დაკაცებულ იასონს ესალმებოდა.

მაიამ და ნატაშამ საღამოს კაფეში განცალკევება დაგეგმეს.

ბატონი გია, საერთოდ რომ არ დატყობოდა წლები, ასტამურს გამოფენის ორგანიზტორს – რუს ქალბატონს აცნობდა.

– ეს ვისი შვილია? – ნატაშამ ირაკლის გვერდით მდგარ ქალბატონზე შეაჩერა მზერა, რომელსაც თვეების ბავშვი "კენგურუში" ჰყავდა მოთავსებული, და რომელიც ძალიან ეცნობოდა.

– ანანოა, ირაკლის ცოლი, შერიგდნენ და ბავშვიც შეეძინათ. შენ არ აჩენ? – კითხვა შეუბრუნა მაიამ.

– არ ვიცი, ვნახოთ... – ნატაშა მოულოდნელად შეკრთა.

აღარაულვაშებიანი ინვალიდის სავარძელში მჯდომ მსუქან ლიას მიუძღვებოდა. მათ დანახვაზე მაიამ ნატაშას გადაუჩურჩულა: – ელენე გაუთხოვდათ და სულ გადავიდნენ ჭკუიდანო.

შემოქმედი ჰოლანდიელების და ქართველი ემიგრანტების გარემოცვაში ნატაშას ძალიან მოენატრა ნიკა.

– არქიტექტურა სახელმწიფო სტრუქტურის ჩარჩოებს ერგება... – არა, რას ბრძანებთ... – დისკუსია ლაიტმოტივად გასდევდა გამოფენას, როგორც ყოველთვის. ზოგი ნახატს ათვალიერებდა, ვიღაცა ტროტუარზე ჩამოჯდა.

ნატაშამ თვალით ასტამურის ძებნა დაიწყო.

საგამოფენო დარბაზის პირველ სართულზე ასტამური ირაკლის მეუღლეს, ანანოს ესაუბრებოდა. სახეზე შეშფოთება ეტყობოდა. ნატაშა მათ მიუახლოვდა.

– ანანო ტატას ნათლია ყოფილა... მე ვერ გავიხსენე,

– ასტამურმა ნატაშას წარუდგინა დაახლოებით ორმოცი წლის ქალბატონი.

– ვაიმე! – შესძახა ნატაშამ, – ბავშვობაში რამდენჯერ მინახიხართ ტატას დაბადების დღეებზე.

– აბა, იმდენი ხანი გიყურებდი, მე ისეთი პატარა მახსოვხარ.

ასტამურმა შეშლილივით მოიბოდიშა და ქალბატონებს გაეცალა.

– რა დაემართა ნეტა? – ნატაშამ თითქოს ანას ჰკითხა ასტამურის აფორიაქების ამბავი.

– ცუდი სიახლე ვაუწყე, – რაღაც უცნაური ხმით წარმოთქვა ანამ, – ალბათ აქ არ უნდა მეთქვა.

– რას ამბობთ, არ მესმის, – შეშინდა ნატაშა.

– ტატა ძალიან ცუდად არის, ახლა ლენინგრადში* მიყავთ საოპერაციოდ, მაგრამ სულ ტყუილად, დიდხანს ვერ იცოცხლებს.

* * *

ბოლოხანს ისეთი გამძლე და მომთმენი გავხდი, თვითონაც მიკვირს. ადრე სულ სხვანაირად იყო.

ხშირად ვფიქრობ, ყოველი დღე რომ ისეთი ყოფილიყო, როგორიც მე მსურდა, რა აზრი ექნებოდა ცხოვრებას. არ იქნებოდა ბრძოლა. სადაც ღმერთი არ არის, იქ თურმე არც სექტა ჩნდება. მაშინ ღალატის გარეშეც წარმოუდგენელია სიყვარული, ხო ასეა? ყველაზე მეტად ის მაოცებს, მთელი ჩემი ტრაგედია ერთ ფურცელზე რომ ეტევა.

მთელი ეს დრო თიხასავით ვიწრთობოდი ცეცხლში, ყოველი დღე მეძლეოდა ექსპერიმენტისათვის. ვუყურებდი აჩიკოს ოთახში მიმოფანტულ ნივთებს, მისთვის მთავარს, ჩემთვის კი მხოლოდ სუვენირებს. და თუ ჩვენ ყველას გვაქვს არჩევანის უფლება, – სიმშვიდეს ავირჩევ და ამ ადამიანურ სისუსტეში დავრჩები სამუდამოდ.

ოკეანის პირას, ჩალის სკამზე ხშირად ვიჯექი ხოლმე, დილის ექვს საათზე. წყვილები უკვე წყალში იყვნენ შესულები, – ეს ხომ ჩვეულებრივი დროა შეყვარებულებისთვის.

ერთ ბეწო ჰამაკში ვეტეოდი და თვალებს ვასვენებდი. მარტო მყოფი ადამიანი ყველაფერს ამჩნევს: საკუთარ სხეულზე – აქამდე უხილავ ხალებს, სხვებზე კი – სიგარეტის მოწევის ინდივიდუალურ მანერას აკვირდება.

ასე ვიყავი მეც, რომ უეცრად ჩემს პირდაპირ, პალმის ქვეშ წამოწოლილმა ყმაწვილმა ნაფაზი დაარტყა და გულის ფორმა გამოუშვა. ჯერ ერთი, მერე სამი, მერე ძალიან ბევრი. მივუახლოვდი, გავიცანი და ვთხოვე ესწავლებინა.

ვინ გეტყოდა უარს... მთელი საღამო ერთად ვუშვებდით გულებს. მერე ის იქით წავიდა, მე – აქეთ, როგორც ხევსურეთში იყოფა ქალების და კაცების გზები.

მერე ძლივს აღვიდგინე მამაჩემის სახე, ბავშვობაში ნანახი. პრაღა ჩაიშალა. ნიკუშა ხშირად მახსენდება. ვდარდობ.

ბოლოს რომ ფუძის ანგელოზად** იქცა, ამაში ხომ მეც ვარ დამნაშავე.

იმ დღეს ჩემი ექიმის ხალათი მოვიცვი. მომიხდა. ნეტა ექიმი გამოვსულიყავი.

აქლემების გამოფენა– გაყიდვაა. ერთი ოქროსფერი და კუზიანი აქლემი ასი ამერიკული დოლარი ღირს. გამოფენაზე კი იმდენი აქლემია! ერთი შეხედვით, უდაბნო გეგონება.

* * *

წვიმდა ყოვლისშემძლე ამსტერდამში. ნატაშა მაიას უნდა შეხვედროდა დათქმულ კაფეში. შეთანხმებულები რომ არ ყოფილიყვნენ, ნატაშა ალბათ საწოლიდან არც ადგებოდა. თითქოს კარგად ვერც კი გაიგო, გონებაში ანას უცნაური სიტყვების აღდგენას ცდილობდა. იქნებ ტყუილია. არა, ნამდვილად რაღაც ეშლებათ... მაგრამ რატომ მეტყოდა.

ნატაშა არცერთი ფილმის გმირს არ ჰგავდა. ღია ყავისფერი თვალები და თხელი, ოდნავ დახრილი წარბები. მოწითალოში გადასული, გრძელი, ყავისფერი თმა. მომაჯადოებელი ღიმილი და, იქვე, მანერული ნაოჭი.

მთელი ამ დროის მანძილზე, ნატაშა სრულებით შეცვლილიყო. ჰედონიზმი დისპეტჩერების ეკრანიდან გამქრალი თვითმფრინავივით გაუჩინარებულიყო. მშვიდ ცხოვრებაში უბედურება ბოტებით იჭრებოდა, პერიოდულად და უცერემონიოდ.

ნატაშამ უკვე ზეპირად იცოდა ყველა ამსტერდამული ანტიკვარის წარმომავლობის ისტორია. ბოლო დროს სახლში ხშირად რეკავდა და ოჯახის წევრებზე დარდობდა. დისკომფორტი გულს უჩქარებდა.

– ჩემთვის ახალგაზრდობაში ვინმეს რომ ეთქვა, ასეთი და ასეთი იქნება შენი ცხოვრებაო, როგორც დღემდე მოვედი, ვეტყოდი, – ახლა გამშორდი და არასოდეს დამენახო-თქო, – მაიამ გულიანად გადაიხარხარა.

ნატაშა მკლავს დაყრდნობოდა და ყურადღებით უსმენდა.

– ამდენი ხანია ამ ქალაქში ვცხოვრობ, ხო? მაგრამ ამსტერდამისადმი პირველი სიყარული ჯერ კიდევ არ გამნელებია. ნუ, გიჟი ვარ.

მაგრამ ესეც ემოციაა, ალბათ, მე ხო არასოდეს გავხდები ჰოლანდიელი.

სხვადასხვა თაობის ორ ქალბატონს სასმელი მოჰკიდებოდა. სასიამოვნო განწყობას წვიმა ამძაფრებდა.

– ნუ, დავამთავრე მოკლედ ეს აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი. ზაფხულია, მივდივარ ქუჩაში, დროებით თავისუფალი. ხო, კვების სამინისტროში არქიტექტორად გამანაწილეს. არ ვიცი კვების სამინისტროს რაში სჭირდებოდა არქიტექტორი.

მოკლედ, სექტემბრიდან იქ უნდა მემუშავა. უეცრად ქუჩაში მხვდებიან ჩემი მეგობრები – რეჟისორები, ფილმის გადაღებას ვიწყებთ სვანეთში* და შენ უნდა იყო მხატვარიო. ვინ იტყოდა უარს. წავედი სვანეთში. გადაღებები ექვსი თვე გაგრძელდა. რო ჩამოვედი, კვების სამინისტრომ აღარ მიმიღო და ასე შემოვრჩი კინოს.

მაიას მონათხრობში ცხოვრება იყო – ღირებული წარსულიც და ტკბილი დღევანდელობაც.

ნატაშას ხან ეღიმებოდა, ხან ცრემლი ერეოდა. საკუთარ თავთან იდენტიფიკაციას ახდენდა, მერე ისევ გაფანტავდა ფიქრებს.

კაფე ნახევრად სავსე იყო.

მაია ისეთივე ლამაზი გახლდათ, როგორც წინათ, მაშინ, როცა მოდის ჟურნალების გვერდებს ამშვენებდა მისი ფოტოები. ამ ერთი ქალბატონის უკან, მსუბუქი სიბრძნე და ალეგორიული ისტორია ერთ მთლიანობაში ექცეოდა... და იყო კიდევ უამრავი ასოციაცია, რასაც ფიქრებში გამუდმებით ამუშავებდა. ხიბლავდა და მისაბაძი ეგონა მაიასნაირად, უშიშრად განვლილი ცხოვრება.

ნატაშა, აქ ყოფნის მანძილზე, პირველად დაფიქრდა: იქნებ თავად სულაც არ სურდა ასტამურის სცენარით ცხოვრება – მეორეხარისხოვანი როლი, უპრეტენზიო სამსახური და ასეთივე გატაცება, მაგალითად კინო.

იქნებ ნატაშას ამასობაში რომანის დასაწერი მასალა დაუგროვდა, ანდა ხატვამ გაიტაცა... რა, არ შეიძლება? ნუთუ მხოლოდ ასტამურს აინტერესებს ისპაჰანის ბულბულების გადაფრენა? საერთოდ თუ არსებობენ ასეთი ბულბულები?! რატომღაც დღეს, მხოლოდ დღეს გაუელვა თავში და აღარ მოუნდა ახალთახალი, თბილი სისხლის გაყოფა სხვისთვის.

რა იყო ეს? უეცარი ახირება, სინანული თუ წინათგრძნობა? იქნებ გაიზარდა ნატაშა?

– იასონის მამა გიყვარდათ? – ცნობისმოყვარეობითჩაეკითხა ნატაშა.

– რა თქმა უნდა, მიყვარდა, მაგრამ გარკვეული პერიოდი... მერე – აღარ, ის მთავარი გაქრა. შემეძლო მასთან ერთად ვყოფილიყავი. ასეა საზოგადოების უდიდესი ნაწილი, – ტყუილში.

ჰგონიათ შვილებისთვის ასეა უკეთესი, მაგრამ მე არ შემიძლია. მე კინოში ვიმუშავე ოცი წელი, ეკრანზე ერთი ბეწო ტყუილიც არ ეტევა. არც თავი უნდა მოიტყუო, არც – სხვა. – მაიას, ჩვეულებისამებრ, სახე გაბადროდა. – ბავშვი უნდა გააჩინო, ნატა!

– აქ იმდენი საოცრება მოხდა... მგონი ბავშვის გაჩენა სულ მთლად გამაგიჟებდა.

– ჩათვალე, რომ სასწაული ჯერ არ მომხდარა.

ამას დრო სჭირდება და დამსახურება.

– ასტამურმა მიაღწია იმას, რაც სურდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ეგ მთავარია?

ნატაშას გაეღიმა. თავი რომ წამოწია, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– ჩემი მეგობარი კვდება.

– რა თქვი? – შეშფოთდა მაია.

– ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე აქვს. თვითონ არიცის, მგონი... პეტერბურგში ჩაიყვანეს სამკურნალოდ.

– რა საშინელებაა! გოგო? – გაფართოებული თვალებით ჩაეკითხა მაია.

ნატაშამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ასტამური რაღაცეებს არკვევს. ფულს თუ ვიშოვით, ჩვენც ჩავალთ, – ნატაშამ თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა.

წვიმამ გვიან ღამით გადაიღო. წითელი კვარტლის სარდაფებიდან ვირთხებივით ამოძვრნენ გოგო– ბიჭები, ზანტად და დაგრეხილად. ნაწვიმარ ასფალტზე წითელი შუქი ირეკლებოდა. ყველა ფანჯარაში სიგარეტის კვამლში გახვეული ტრანსვესტიტების ალერსი ჩანდა.

ერთხელ ნატაშა და ნიკა კინოდან შინ ბრუნდებოდნენ. გზა სასწრაფო დახმარების ორმა ავტომ გადაუღობა. ნატაშამ ნიკას უთხრა, ჩვენთან სასწრაფოს რომ დავინახავდი, გული მიჩქარდებოდა, აქ – ფეხებზე მკიდიაო.

* * *

ხმა გავარდა, "დოსტოევსკის ეპილეპსიამ პატმოსის კუნძულად ქალაქი გადმოანთხიაო"... იქ არ ღამდება ხანდახან, და მყუდროსადარბაზოიან სახლებში მცხოვრები მწერლები სქელტანიან წიგნებს წერენო.

სანკტ-პეტერბურგში განსაკუთრებით ინტელექტუალები პოულობენ ნაცნობ ეგზოტიკას, – დოსტოევსკის კლუბში "კარამაზოვებს" ციტირებენ; კაფეში კი, სადაც პუშკინმა დუელის წინ უკანასკნელი ფინჯანი ყავა მიირთვა – სწორედ იმ ყავას ითხოვენ.

მერე გაუ– თავებელი მონოლოგებით ხან "ახმატოვკებზე", ხანაც ემიგრანტებზე ჰყვებიან.

ნევსკიზე დაუღალავად სეირნობენ და უცნაურად აიტხავენ ხოლმე სიყვარულს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ხიდის იქითა მხარეს დარჩებიან. დანიშნულების ადგილზე დაგვიანების ან არმისვლის შემთხვევაში, ეს გახლავთ ყველაზე უფრო პეტერბურგული მიზეზი: ხიდები გაიხსნა და ვეღარ დავბრუნდი. ხიდს აქეთ კი ახალი ფლირტი იწყება, – პეტერბურგული, კლასიკური და შამპანურივით სა– დღესასწაულო.

საიდუმლოს ნატეხის მსგავსი, თუ ერთი ბეწო ჯადოქრობა – საბოლოოდ ექსცენტრულ მანერულობას ემსგავსება. ხიდების ისტერიული გახსნა-დახურვა იქ ყოფნის მეათე დღეს უკვე უადგილო ხუმრობაა, რადგანაც ამ დროისთვის ქალაქში უკვე ნაპოვნი გაქვს უფრო მთავარი, ვიდრე აქსესუარი, და უფრო ძვირფასი, ვიდრე თილისმა. ცენტრალურ და ლეგენდარულ პროსპექტზე ტატა და ნატაშა ერთმანეთს ეკვროდნენ.

ისინი გარეგნობით რადიკალურად განსხვავდებოდნენ. ნატაშას ბავშვობიდან გრძელი თმა ჰქონდა, უცნაურად რომ გადადიოდა მოწითალო ფერში. ჯინსი და ძვირფასი კედები კი მისთვის სრულიად საკმარისი იყო. ტატა კი პირიქით – ქუსლიანი ფეხსაცმელი და ბავშვობიდან აკვიატებული მოკლე თმის ვარცხნილობა, რომელიც ამჯერად ნულზე ჰქონდა გადაპარსული და რისი ნახვაც ბავშვობის მეგობრებისათვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. თუმცა, უხდებოდა კიდეც – იდეალური თავის ფორმა, სიგამხდრე და გასაოცრად დიდი თვალები.

მთავარი კი ტატას ოპტიმიზმი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, თავს ისე მოგაჩვენებდა, თითქოს ყველაფერი წინ იყო.

კომუნიკაბელური და ვერცხლისწყალივით მოძრავი, ახლაც უამრავ ამბებს ჰყვებოდა. დიდი დრო გასულიყო. არტ-რესტორანში კი სამი დაკვირვებული მზერა ევლებოდა ინტერიერს. "პიკასო" – ასე ერქვა რესტორანს.

– ოთოს ბავშვი გაუჩნდა, ხო? – იკითხა ასტამურმა,რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ყველაზე ორიგინალური დასახელების კერძი აერჩია – Суп по рецепту Педро Альмодовара და სალათი სახელწოდებით "სიურრეალიზმი".

– მეორეც... – მოკლედ მოუჭრა ტატამ და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

ასტამურს საერთოდ არ მოსწონდა სუფი, – პამიდვრის წვენითა და ხახვით, მაგრამ, როგორც ყოველთვის, იხტიბარს არ იტეხდა.

– ძაან მომეწონა! – წამოიძახა ნატაშამ.

– რა, – ჩაეკითხა ტატა.

– პეტერბურგი ... იცი, როგორი ქალაქია, – აქ ან მწერალი უნდა იყო ან შეყვარებული.

ასტამურმა ხმამაღლა გაიცინა... ნატაშას უხერხულობა დაეტყო.

– ან ხიდზე უნდა იდგე, აბრა გეკიდოს და გაკიოდე: Приглашаем на экскурсию по рекам и каналам. – ტატამ ოსტატურად მოიხსნა უხერხულობა.

ისეთი ზუსტი იყო ტატას ინტონაცია, რომ სამივე გადაბჟირდა სიცილით.

და თითქოს ახლა გათავისუფლდნენ იმ დაძაბულობისგან, რაც სამივეს მოსვენებას არ აძლევდა. ტატა ისეთი უნარით იყო დაჯილდოებული, თმენა რომ ჰქვია. ნატაშა და ასტამური კი რაღაც უძველეს სინანულს განიცდიდნენ ადამიანის წინაშე, რომელიც თვეზე მეტ ხანს იცოცხლებს მხოლოდ. ორივეს შიშს ჰგვრიდა ტატას უცნაურად ხალასი განწყობა. ასე ხდება ნეტა? – თავის თავს ეკითხებოდა ნატაშა.

ასტამურმა ბავშვივით მოსვა პეპსი-კოლა, თვალები აუწყლიანდა და ტატას მკერდზე გაუშეშდა მზერა – კიბო დაინახა.

მიცვალებულივით დაუშნოვდა ფიქრი. ასტამურს უეცრად გაუელვა, რომ მას არასოდეს სჭერია კუბო. ნეტა მართლა მძიმეაო, გაიფიქრა. ხანდახან გეგონებოდა, ასტამური გაზაფხულს არ მოსწრებიაო, ფლეგმატური გამომეტყველებით და თავდაჯერებულობით იყო შემოღობილი. თვითონ თუ არ გიხმობდა, ვერც შენ გამოელაპარაკებოდი. ასტამურმა არ იცოდა ვიდეოს არხის დაჭერა; არ იცოდა, ყველი რომ რძის ნაწარმია. ნატაშას ყველა სურვილს კი ბავშვურ ახირებას არქმევდა.

გარანტირებული ბიოლოგიური დერეფანი – აი, რა იყო ნატაშა მისთვის. როგორც ცხოველები კვეთენ სახელმწიფოთა საზღვრებს მიგრაციის დროს, და ამ დერეფნებს უდიდესი მნიშვნელობა აკისრიათ, ასევე იყო ნატაშა – გარანტია, ერთგული

ნავსაყუდელი. მთელი ქვეყანა რომ ინგრეოდეს, მაინც დინჯი, მშვიდი და მომლოდინე იქნება.

ასტამურს ყველაზე მარტივ შეკითხვაზეც კი ინტელექტუალური და ღრმა მნიშვნელობის პასუხი ჰქონდა. გამუდმებით სხლტებოდა ხელიდან და ყველაზე ლამაზი იყო. ყოველ შემთხვევაში, მის თაობაში მაინც.

ეს ყველაფერი ტატამ მშვენივრად იცოდა.

პირველი მსხვერპლი, რომელიც ასტამურის თვითდამკვიდრების პერიოდმა მოიტანა, სწორედ ტატა გახლდათ. და აქ, ამ ასე თუ ისე მაინც ეგზოტიკურ რესტორანში, ორივეს ცოცხლად დაუდგა თვალწინ წლების წინანდელი აღტყინება, – ჯვრისწერა რომ გადაწყვიტეს. ერთი მეჯვა– რე ჰყავდათ, ოთო. რაჭის გზებს აუყვნენ და ასტამურმა ვერ გარისკა... სად იყო ამ დროს ნატაშა? ნატაშა და ტატა მშობლების მეგობრობის შედეგად დაახლოვდნენ. ნატაშა ორი წლით უფროსი იყო ტატაზე. სკოლის გარდა, თითქმის ყველგან ერთად დადიოდნენ – ქართული ცეკვა იქნებოდა ეს, ცურვა, სიმღერა თუ ხატვა.

ნატაშასათვის ერთი ბედნიერება იყო ტატას დაბადების დღეზე მისვლა, სადაც მთელი ეზოს ბავშვები იყრიდნენ თავს.

ტატას თვისება ჰქონდა ასეთი: საკუთარ თავზე თითქმის არ საუბრობდა. ამიტომ ნატაშამ ვერაფერი შეიტყო დაგეგმილი ჯვრისწერის შესახებ. უფრო მეტიც, მან არც მათი სიყვარულის ამბავი იცოდა.

შეუმდგარი ჯვრისწერიდან მესამე დღეს, როდესაც ასტამური მეგობარმა რეჟისორმა ფილმში გადასაღებად მიიწვია, ნატაშაც მოულოდნელად იმ გადაღებებზე აღმოჩნდა – შორიახლო, ზღვისპირა ქალაქში. ინსტიტუტის გაზეთისთვის სტატია ჰქონდა დასაწერი. ყველაფერი სწორედ იქ, შემოქმედებით განწყობაზე გადაწყდა.

დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში კი ნატაშამ და ასტამურმა იქორწინეს. ტატას უყვარდა და არავინ თქვას, იმ ასაკში სიყვარულის არაფერი გაეგებათო. პირველი თინეიჯერები, რომელთა შესახებაც მკითხველი ინფორმაციას იღებს, რომეო და ჯულიეტა არიან

– როგორც უსაზღვრო სიყვარულის სამხილი. ასეციყო, ტატას ჯულიეტაც კი ეგონა თავი, თვითმკვლელობამდე მისულს. მაშინ არაფერს იმჩნევდა. შესაბამისად, ვერც ნატაშა ხვდებოდა მის გულისტკივილს. ტატა ასტამურის სიტყვებს ელოდა, ახსნას...

რაიმეს. მაგრამ ასტამური ისე გაცდა საზღვრებს, რომ არაფერი დასცდენია.

დღეს კი, ამდენი წლის შემდეგ, როდესაც ტატა ხან ერთი მეგობრის ამბავს ჰყვება, ხან ტელევიზიის ისტორიებს, ფონად მაინც ძველი დრამაა, – სასტიკი დეკორაცია, რომლის გარეშეც ჯერ არც ერთი დღე არ დაწყებულა თურმე. სანკტ პეტერბურგში სასტუმრო "ასტორია" იგივეა, რაც ჩალის სკამი ოკეანის პირას.

ეს ტურისტების განცდაა, ცუდს რომ ვერ ამჩნევენ და ფოტოაპარატით იმძიმებენ ჩანთებს.

412– ე ნომერში, კორტასარისეულ ოთახში ერთი დიდი საწოლი იდგა. შუაში ასტამური, აქეთ-იქით ნატაშა და ტატა.

მოსაზღვრე ქვეყნის ბალახი უფრო დაუნდობელი აღმოჩნდა. პირი უშრებოდათ, მაგრამ მაინც თხზავდნენ სიუჟეტს. ტატამ ახლა შეიტყო, რომ მისი ნათლიაც, აჩიკოს მეგობარი ანა, იგივე ანანო, ამსტერდამში წასულა, იქ დასახლებულა და ოჯახიც კი შეუქმნია. კიდევ ის, რომ ასტამურს და ნატაშას მხოლოდ ერთი საუკეთესო მეგობარი ჰყავდათ, რომელიც მათი ჩასვლიდან მალევე უკან დაბრუნებულა. ამსტერდამული ლეგენდებიდან ყველაზე მეტად ტრამვაით სეირნობამ მოხიბლა. ღამით, სიბნელეში, მარტო, ან ...

ტატა დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე – ერთ საათში წავალ, თორემ დედაჩემი გაგიჟდებაო, – რამდენიმე თვე გვეგონა, ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს. ყველას ასე ეგონა... კიკოლა რომ იყო, გახსოვს, ჩვენი მეზობელი – ინვალიდი. იმან თქვა, ჩემს ვიდეოს გავყიდი და მეც დაგიმატებთ ფულსო. მაგრამ არა... ამდენი წელი გავიდა. ის კიკოლაც მოკვდა.

ტატა და ნატაშა პირველ შოკს იხსენებდნენ – ორდროშობანას სათამაშოდ რომ აღარ ჩამოვიდა მათი მეზობელი – გიგა. ვერაფერი გაიგეს იმ წუთს, პატარები იყვნენ და იმიტომ. თუმცა ასეთივე პატარებმა, პროტესტის ნიშნად, ეზოში თამაში აიკრძალეს.

სადღაც ლივლივებდნენ მათი სხეულები, ფეხები ეყინებოდათ და ერთმანეთის ბარძაყების ქვეშ ითბობდნენ. გარეთ კი დღე იყო, თუმცა საღამოს თერთმეტი საათი გახლდათ. ასტამურმა მათი ბავშვობისდროინდელი სიმღერა დაიწყო. გოგოები ვერ ჰყვებოდნენ, ეზარებოდთ, ხელოვნური ღიმილი უკრთოდათ.

– უნდა ავდგე და წავიდე, დილით ექიმთან მივდივარ – წუწუნებდა ტატა.

– შენი სასტუმრო ახლოა? – იკითხა ნატაშამ, რომელიც მუცელზე იწვა.

– კი... ახლოა.

– ტატა! ბევრი ფული ჭირდება მკურნალობას? – უცბად დასერიოზულდა ნატაშა, რომელსაც გულით ადარდებდა ტატას ბედი.

– საკმაოდ. მამაჩემმა გამოგვიგზავნა, – ტატამ უეცრად უადგილოდ ჩაიცინა, – ჩვენგან წასული თურმე მთელი ცხოვრება იმიტომ მუშაობდა, რომ შვილის გადარჩენისთვის გადაეყარა წმინდა საქმით ნაშოვნი ფული.

– ტატა, ნუ ბოდავ! – გაბრაზდა ასტამური. სიგარეტის ყუთი აიღო, სამი ღერი ამოაცურა და მეგობრულად გადაანაწილა.

– ასტამურ! – ბუტბუტებდა ტატა, – მოგვიყევი რა რა– მე...

– რა?

– აი, რამე, გადაფრენებზე, ჩიტებზე... ხო იცი!..

– ო, ო, – დაიზარა ასტამურმა.

– ასტამურ შენც გგონია, რომ ბულბული მარტო კავკასიაში გალობს? – გამოწვევით ჩაეკითხა ტატა.

– რა თქმა უნდა არა, – იყო დამაჯერებელი პასუხი, – და ოდესმე ამასაც დავამტკიცებ.

– ა... სხვა რამე უკვე დაამტკიცე?

ტატას აღარ გაუგია პასუხი, ნატაშას არც კითხვა სმენია. ორივეს ეძინა.

ასტამურმა ბოლო რეპლიკის შემდეგ დახუჭა თვალები. ასე იყვნენ იქამდე, სანამ კარზე კაკუნი არ გაისმა. დილის ცხრა საათი იყო. დამლაგებელი კარს არ ეშვებოდა.

– არაფრით არ შეიძლება გადაღლა, დალევა... ნერვებს უნდა გაუფრთხილდეს. ექიმს უნდა დაუჯეროს – რაღაც არაამქვეყნიური სიდინჯით საუბრობდა ქალბატონი ნათია, ტატას დედა.

ტიპიური რუსული გემოვნებით მოწყობილ ოთახში არაფერი იყო უცხო – არც სადა, თხელი ფარდები, ოვალური მაგიდა თეთრი გადასაფარებლით, გნებავთ მაღალფეხიან სამურაბეებში გადანაწილებული მურაბის სხვადასხვა სახეობა; უბრალო, თუმცა კომფორტული სავარძლები; იქვე თაროზე კოხტად მიწყობილი წიგნები, მწვანე ტელეფონის აპარატი და სხვადასხვანაირი ყვავილები, ზოგი ოვალურ, ზოგიც

– ვიწროყელიან ლარნაკებში. პეტერბურგელი მეგობრის სამოთახიან ბინაში ტატა და ქალბატონი ნათია დაბინავებულიყვნენ. მისაღები ოთახი შუაში მდებარეობდა, მარჯვნივ

ტატას საძინებელი იყო, მარცხნივ კი ქალბატონი ნათიასი, სადაც იგი გამუდმებით ფხიზლობდა. შვილის ავადმყოფობით დათრგუნული, მოკლე დროში დაბერებულიყო, თუმცა განცდები კიდევ უფრო იდუმალს ხდიდა. ვისთვის როგორ, მაგრამ ასტამური პირდაბჩენილი უსმენდა ქალს, რომელიც მისი და მისი მეგობრების ცნობიერებაში მსახიობად დარჩენილიყო, კონცერტებიდან გვიან რომ ბრუნდებოდა შინ, დამახასიათებელი სურნელით – ძალაგამოცლილი სუნამო, სცენის მტვერი და ცოტაც თამბაქო. ამასობაში კი ტატას უკვე აჩიკოს კალთაში ეძინა, აჩიკოს მეგობრები კი ჩურჩულით ირთობდნენ თავს.

ქალბატონი ნათიასადმი სრულიად განსხვავებული იყო ბავშვების დამოკიდებულება.

სადა, თუმცა სადღესასწაულო კაბების ხილვა მათთვის ჯადოქრობასთან ზიარების ტოლფასი იყო; ზოგიერთი ნათია დეიდას, მხოლოდ ნათიას ეძახდა, რაც ყველაზე უფრო ახლობლური პოზიციის გამოხატვა გახლდათ. რევერანსის გარეშე – ნათია.

დღეს კი ასტამური ფიქრობდა იმაზე, თუ როდის იყო ეს ქალი ბედნიერი?.. – აჭრილი სახის გამომეტყველებით თანაუგრძნობდა ტატას დედას, რომელსაც ვარდისფერი ჩალმა ებურა და კანი ოდნავ უბზინავდა.

– თქვენებთან ბოლოს აღდგომას ვიყავი... – და ქალბატონმა ნათიამ ხანგრძლივი მზერა მოავლო ასტამურს, – მალე ჩადით, თორემ... იმ დღეს დედაშენმა მითხრა, ისე მენატრება, ველარ ვიხსენებ როგორიაო.

– კაი რა, დედა! რას გრუზავ, – ჩაერია ტატა, რომელიც წვნიანს მიირთმევდა, ისე, უნიათოდ. თავით ცალ ხელს ეყრდნობოდა.

– გასწორდი, გაიმართე, – ზურგზე მიეფერა ნათია ტატას. – გადმოდიან და გადმოდიან ახალი მეზობლები... ან საიდან მოდიან?... რას ამბობ, თქვენს დროს ეზო ხმაურით ინგრეოდა... ახლა, საერთოდ, ეზოშიც აღარ ჩამოდიან ეს ბავშვები – ქალბატონი ნათია ძალიან ძველ დროს იხსენებდა.

მაშინ ორი ოთხსართულიანი სახლი ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა. ეზო საერთო იყო და ყველანი ერთად ცხოვრობდნენ: ასტამური, ტატა, ოთარი, ნუცი, თიკო, შაკო, გიგა, ნინი, მარიკა, საშკა, ძიმკა, გიორგი, ლევანი.

მაისის ბოლოს მეჯლისებს მართავდნენ: უფროსების დახმარებით საუცხოოდ მორთავდნენ ხოლმე ეზოს, და ხან ჩელენტანოს რეპერტუარი ისმოდა, ხან თინა ტერნერს, უიტნი ჰიუსტონს თუ სტივ უანდერს ბაძავდნენ.

უფროსებიც ერეოდნენ ქაოსში. ეზოში დამონტაჟებული დინამიკებიდან მუსიკა მთელ ქუჩაზე ისმოდა, მაგრამ აქ სხვების შემოსვლა აკრძალული იყო. ყველას სურდა თვალი მოეკრა დღესასწაულისთვის, რომელიც ისეთივე სტაბილური ზეიმი იყო, როგორც ახალი წელი.

მერე არდადეგები იწყებოდა.

ყოველ ზაფხულს ნინისა და მარიკას ბაბუა – ჭიკო ბავშვებს ჰპირდებოდა, აგვისტოს ბოლოს რომ ჩამოხვალთ, ეზოში დიდ აუზს დაგახვედრებთო. აუზზე ფიქრში გადიოდა სამი თვე, მერე ეზოში აჟიტირებულები შემოცვივდებოდნენ გარუჯული ბავშვები, სასწაულის ხილვა უჩქარებდათ მუშტისხელა გულებს, მაგრამ დიდი აუზი არ იყო.

– მომავალ წელს გავაკეთებ! წელს მთელი ზაფხულიწყალი არ მოდიოდა და როგორ ავავსებდითო! – აჯერებდა პატარებს ჭიკო ბაბუ.

– ნატაშა აგვიანებს, – სათქმელი და ბოლო ლუკმაერთმანეთს დაამთხვია ტატამ.

– სად არის კი მარა ნატაშა? – თითქოს ახლა გაახსენდაო, – გაოცებულმა იკითხა ქალბატონმა ნათიამ.

– მაღაზიებში... თუ შევიდა, ყველაზე კარგი ვარიანტია, მზის ჩასვლისთვის რომ გამოვიდეს, – ასტამურმა სიგარეტს მოუკიდა.

– სულ მზის ჩასვლებში ხარ რა, ასტამურ – ტატას რეპლიკა ერთდროულად ცინიკურიც იყო და სიყვარულით სავსეც.

ამასობაში ნატაშას ხმა გაისმა. დაბალი პირველი სართული იყო. გარედან შესანიშნავად შეათვალიერებდი ოთახსაც და იქ მყოფებსაც. ტატა და ასტამური ერთდროულად გაექანენ ფანჯრისკენ. – ურა!!! მოვიდაო. თუმცა იმ წამსვე ადგილზე გაშეშდნენ.

ნატაშას ულამაზესი კაბა ეცვა – თეთრი, შავი კოპლებით, დიდი სათვალე ეკეთა, ხელში ბევრი პარკი და, რაც ყველაზე სასტიკი იყო, – თმა! თმა ნულზე ჰქონდა გადაპარსული. ეს სოლიდარობის ნიშნად ხდებოდა. ნატაშა ხედავდა ორ გაოგნებულ სახეს, ფანჯრის გაღებაც რომ ვერ მოესწროთ. "არ მიხდება?" – ძლივსძლიობით აღწევდა სათქმელი, ან მათ არ ესომდათ.

ტატას ძალა ეცლებოდა, სახეზე მკრთალი ფერი მოედო. ასტამური კი იმ ბავშვს ჰგავდა, ნაყინის მოპარვას რომ განიზრახავს და უეცრად გამყიდველი რომ გაუწოდებს, – გამომართვი, გჩუქნი, შენ კაი ბიჭი ხარო.

გემი მოსაწყენად მიიწევდა წინ.

თითქოს მთელი ერთი სეზონი რჩებოდა უკან და ახალი საზაფხულო ლანდშაფტი უნდა გადაშლილიყო, – მდიდრული და ძვირფასი,

– ისეთი, მეფეებს რომ მოსწონდათ ძველად.

ნატაშას და ტატას ერთნაირი კაბები ეცვათ და ერთ– ნაირი სათვალეები ეკეთათ, – ნატაშამ ორ-ორი წყვილი შეიძინა ყველაფერი, – და რახან თმაც კი ორივეს გადაპარსული ჰქონდა, ასტამურს უჭირდა გაერჩია თუ აერჩია?. გემბანზე მზეს დაეთბო სკამებიც და გოგონების ჩანთებიც.

ნატაშა და ტატა ასტამურისაგან მოშორებით ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და იცინოდნენ. ასტამურს უმიზეზო ბრაზი ერეოდა, – რაღაც ამძიმებდა.

ტატას კი თითქოს საერთოდ არაფერი სწყენია, მით უმეტეს ნატაშასაგან. "მართლა არაფერი იცოდა თავიდან. ბოლოს გაიგო, მგონი ამსტერდამიშიო" – ან ასე ფიქრობდა, ანდა თავს იმშვიდებდა.

არ ბრაზობდა, მაგრამ მეტისმეტად უფრთხილდებოდა იმ ტკივილს, მოტეხილი ფეხივით რომ ახსენებდა ხოლმე თავს. ხელს აფარებდა ბავშვობის ხათრით, რადგან ერთ ეზოში ამხელა სიბინძურე ნამდვილად ვერ დაეტეოდა.

– აუ, ფოტო გადავიღოთ! – ბავშვივით გაუბრწყინდათვალები ნატაშას.

– მერე ორ დღეში ამის გამოსატანად ვინ მოვა?

– გადავაღოთ და მე ჩამოვალ, რა! – მომენტალურადგადაჭრა პრობლემა ასტამურმა.

მზე ზენიტში იყო და მალე გთენთავდა. ცივი სასმელი რამდენიმე წუთში ხელებშივე თბებოდა. ხალხი ერთმანეთში იჭრებოდა, ისმოდა დაკარგული ბაშვების ტირილი.

სამივეს ქაღალდის ქუდი ეხურა, – პეტერგოფის ილუსტრაციებით. გზას მიუყვებოდნენ და სიუჟეტის სიმძაფრეში ერთვებოდნენ: "პეტრე დიდი გახელებულა და ფინის ტბებიდან ქალაქი ამოტივტივდა თურმე".

– პამფლეტებს წერ? – ჩაეკითხა ტატა ასტამურს,რომელიც მწვანე მინდორზე კვლავ გოგონებისგან მოშორებით იჯდა და ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა.

ასტამური ხუმრობას მიხვდა და ამიტომ თავი აღარ აუწევია, წერა გააგრძელა. სიცხისგან მოთენთილები სათამაშოებივით მიყრილიყვნენ ხის ჩრდილის ქვეშ. ნატაშა და ტატა ჟურნალებს დასცქეროდნენ, პერიოდულად კი ირგვლივმყოფებს ათვალიერებდნენ.

"საუკუნის ბოლოს ეს სახეობა მთლიანად გაქრა.

უკანასკნელი ინდივიდი 1914 წელს დაიღუპა ცინცინატის ზოოპარკში. მოხეტიალე მტრედების ასეთმა უეცარმა გაქრობამ დაუჯერებელი თეორიები წარმოშვა. ვარაუდობდნენ, რომ თითქოს შევიწროებული მტრედები ავსტრალიისაკენ გაფრინდნენ და დიდ მანძილზე ფრენას მიუჩ– ვეველნი, ატლანტიკის წყლებში დაიღუპნენ. ისიც იფიქრეს, ჩრდილო პოლუსისაკენ გაფრინდნენ და გაიყინენო".

– ას– ტა– მურ!!! – ხმის დაკარგვამდე ყვიროდნენ ტატა და ნატაშა. ასტამური ძლივს გამოძვრა ფიქრებიდან, მზერა იმ წამსვე იქით გადაიტანა, საიდანაც გოგონების ხმა ისმოდა.

უეცრად რადიაციასავით მოედო ხილვა.

დიდებული შადრევანის ქვეშ ახალ, კოპლებიან კაბებში სველდებოდნენ და პატარა ბავშვებივით კიოდნენ ნატაშა და ტატა. ასტამურს ხელს უქნევდნენ, იხმობდნენ და ფეხებს ატყაპუნებდნენ წყალში. ოქროსფერ შადრევანში მოთა– მაშეთა შორის ყველაზე უფროსები სწორედ ისინი იყვნენ. ნელსაცხებელივით მიკრობოდათ კაბები, აშკარა იყო ძვლებიც და მკერდიც. ასტამური გრძნობების ახალ მასშტაბში მოექცა. ხვდებოდა, რომ გოგონები ნაცნობ სიმღერას მღეროდნენ, თუმცა ბგერები ძნელად აღწევ– და მის სმენამდე. ასტამურმა ახლა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოაჩინა საკუთარ თავში.

ეს რომ კინოში ენახა, სულ ემახსოვრებოდა.

რა იქნება ამ შემთხვევაში?

* * *

მართკუთხა სუფრის თავში საოცარი გარეგნობის ქალბატონი იჯდა და შეშლილივით იცინოდა. ეს ტრანსი ათი წუთი გრძელდებოდა, – ახლო ხედით.

– როგორც ცხოველებს, ისე გვექცევით... დღეში სამჯერ გვაჭმევთ, გვისხამთ წყალს... – პრეტენზიას გამოთქვამდა მისი მეუღლე, ჭაღარა მამაკაცი.

მომცრო, ნახევრადშევსებულ კინოთეატრში, სადღაც შუა რიგში მოკალათებულიყვნენ.

გართობით მოქანცულ და მზით გარუჯულ სახეებზე გამოსახულება ერეკლებოდათ.

სიუჟეტში "იძულებით" ჩართულები, იმ ნაცნობი ისტორიების თანამონაწილეები გამხდარიყვნენ, სადაც თავადაც გაბმულიყვნენ. თუმცა ეკრანზე ცხოვრება გასული იყო, მათ შემთხვევაში კი მხოლოდ მიმდინარეობდა პროცესი.

იქ ისეთი ზუსტი იყო უხერხულობის განცდის დეტალები... ისეთი სიფაქიზით ირხეოდა სხეული.

შავ კაბას წელამდე ჰქონდა ამოღებული ზურგი... სწორი ხერხემალი, თხელი მხრები და მოკლე ვარცხნილობა, კისრამდე ჩამოსული თმის ერთი ბეწო სიმეტრიული დაბოლოება.

ეს ქალბატონი გრძელ დერეფნებში დადიოდა... და ემოციებით აღგზნებულმა ასტამურმა მზერა ეკრანიდან მოხერხებულად ტატაზე გადაიტანა. შადრევნებით დაქანცული მყუდრო კინოთეატრს კიდევ უფრო მოედუნებინა. ტატას ხელები საკუთარ სხეულზე ჰქონდა შემოხვეული, თითქოს უცხოს ეხუტებაო. თავით სკამს ბოლომდე მიყრდნობოდა და ბავშვივით თვლემდა.

– იცი, რომ სუპერმარკეტებში ვქურდობ და ძაღლებსვერ ვიტან?! – ახლა მეორე განუმეორებელი სახე ჩანდა ეკრანზე, – წამწამებით მეტყველი და ქერა, მხრებზე დაფენილი თმით, სადღესასწაულოდ შემოსილი რომ ართობდა სრულიად უცხოებს. ოთახი სავსე იყო ნახატებით, ფოტოებით, ჩრდილებით, სიგარეტის კვამლით.

და კიდევ მარადიული, ერთი შეხედვით უკვე მოსაწყენი სიუჟეტით. მაგრამ ეს ყველასთვის ნაცნობი სიუჟეტი, რასაც უთიერთობა ჰქვია, ყოველ ჯერზე ორიგინალური გეგმით ხელმძღვანელობს.

ცოლ– ქმარი, ჩვეულებრივი, მშვიდი ცხოვრება... უეცრად ჩნდება მესამე, და რა?

– ვერ ვიტან ჩემს ცხოვრებას... მე... უბრალოდ, არ მიყვარხარ. – ზოგჯერ ჩვეულებრივ ხის კიბეზე გათამაშდება ხოლმე დრამა, ტრავმა თუ მთელი ორი ცხოვრება.

ახლა ტატამ მოიპარა მზერა ეკრანიდან და ასტამურს მიაპყრო, – მზით მოთენთილს ფილმის ბოლოს ჩასძინებოდა. სახეზე აქა– იქ ემჩნეოდა ტიტრები.

უკვე გვიანი იყო. კანტი-კუნტად თუ გაივლიდა ავტომობილი. სამი მეგობარი კინოთეატრს შორდებოდა და ჭიანჭველებივით მოჩანდნენ ვეებერთელა შავ-თეთრი აფიშის ფონზე, რომელზეც ახლა უკვე მათთვის დაუვიწყარი სახეები მსხვილი ხედით აღბეჭდილიყო.

– ნათიას მადლობა უთხარი ბილეთებისთვის – გადაულაპარაკა ნატაშამ ტატას – არაჩვეულებრივი ფილმი იყო.

– მართლა მაგარი იყო, – დაეთანხმა ტატაც და სიგარეტს მოუკიდა.

– შენ ყველაზე მთავარ ეპიზოდზე ჩაგეძინა და რაიცი, როგორი ფილმი იყო! – თითქოს ამ წუთს ელოდებოდაო და სიტყვაზე გამოეკიდა ასტამური.

– სხვათა შორის შენც, ასტამურ... ფინალი საერთოდარ გინახავს! – ტატას სიბრაზე დაეტყო.

ასეა თუ ისე, მაინც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. არადა, ჯერ არცერთი მათგანი არ ყოფილა ისეთი ბედნიერი, როგორც აქ, ამ ქალაქში. გულში ორივე იმას ნატრობდა, ნეტავი სულ ასე ვიყოთო. ყოველი საათი დღესასწაულს უტოლდებოდა, სულელებივით შეგნებულად იფუჭებდნენ ხასიათს, – ისე, მრავალფეროვნებისთვის.

ამდენი წლის შემდეგ ძლივს დაეძლიათ უხერხულობა. დანაშაულის გრძნობას სიმძაფრე გადიოდა... თანაც, ეს ტატას ცხოვრების ბოლო დღეები იყო.

რა იქნება მერე?

ასტამური და ნატაშა ამსტერდამში დაბრუნდებიან. ასტამური მუშაობას დაიწყებს, მერე ბავშვებს იყოლიებენ და საბოლოოდ ალბათ მაინც დაუბრუნდებიან სამშობლოს.

ტატას შემთხვევა რადიკალურად განსხვავებულია, ტკივილის და ტრავმის გარდა არაფერს მოიაზრებს. მხოლოდ მკურნალობის ურთულესი კურსი, დღეების გასახანგრძლივებლად!

ღამით, მარტო დარჩენილს ძილის წინ აიტანს ხოლმე შიში, დიდი და დაუძლეველი სამყაროსი.

ადამიანური სისუსტით მოერევა ცრემლი. მერე უეცრად ყურებზე იფარებს ხელს, სიჩუმეს რომ მიეჩვიოს. მაგრამ აქ მაინც ისმის ხმები, საკუთარი ხელები, თითები რომ გამოსცემენ. რაც ამის შემდეგ ემართება, – ნამდვილად არ მოეძებნება სახელი, – საზარელი, ჯერ განუცდელი შიში, სხეულიანად რომ შეძრავს, ფეხზე წამოაგდებს და შეშინებული ეძგერება კარს – "დედა! შენთან დავწვებიო", – რამდენჯერ უთქვამს ნათიასთვის.

არაფერია ორიგინალური სიკვდილის მოახლოებაში... არის მოთმინების თეთრი ხაზი, რომელიც სადღაც წყდება, გღალატობს, რადგან აღარ გემორჩილება ცოცხალი უჯრედები. თუმცა აქამდე, ჯერ კიდევ არსებობს ხავსთან ჭიდილი, უცნაური რწმენა რაღაც ღვთიურის.

იმ დღესაც, როცა ასტამურმა და ნატაშამ ტატას შესძახეს, ქალბატონმა ნათიამ უთხრა, ფეხსაცმელების საყიდლად წავიდა, ამოდით, დაელოდეთო.

ცოლ– ქმარი ჩქარობდა და ამიტომ ქალბატონ ნათიას დაუბარეს, საღამოს 10– სთვის "გრიბოედოვის კლუბში" მოვიდესო.

გზად ასტამურიც და ნატაშაც იმაზე ფიქრობდნენ, თავად როგორ მოიქცეოდნენ, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე შეიძენდნენ თუ არა ახალ ტანისამოსს, გნებავთ ნივთებს ან წიგნებს.

– ირმის ტყავია ნამდვილი, – თქვა ტატამ და ფეხსაცმელი ფეხიანად მაღლა ასწია, რომ შემფასებლებისთვის ეჩვენებინა. ნატაშამ მოიწონა ახალი შენაძენი. ასტამური, სავარაუდოდ, ცხოველთა დაცვის ინსტინქტმა შეაბრკოლა.

კლუბში ცოცხალი მუსიკა უკრავდა.

სცენასთან ახლოს მოხვდნენ, ამიტომ სახე სახესთან მიჰქონდათ, სხვანაირად სათქმელს ვერ აგებინებდნენ ერთმანეთს. წერას ატანილებმა ერთი ბოთლი ვისკი შეუკვეთეს. ყველამ კარგად უწყოდა, ტატასთვის დალევა რომ არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც...

– მე ერთ ჭიქას დავლევ და მორჩა, – ნატაშამ ერთიყლუპი მოსვა და სახე დაემანჭა.

განათება დაოსტატებული დრამატურგივით მუშაობდა. ვინც საუბრობდა, სწორედ ის გადანათდებოდა ხოლმე.

– ე. ი. დღეს "პრაშჩალკა" გვაქვს?! – ტატამ გამომწვევი კეკლუცობით დაახამხამა თვალები. – თვე და ერთი კვირა გავიდა.

– მე მგონი "პრაშჩალკის" წინა დღე გაქვს – ჩაეცინ ანატაშას.

– ნათია უნდა დაგვეპატიჟებინა, ცუდად გამოგვივიდა – ასტამურმა ჭიქები შეავსო.

ტატას ახალმა ფეხსაცმელმა მოუჭირა.

ჩუმად, ისე რომ სხვებს არ დაენახა, გაიხადა და ირმის ტყავს ზემოდან დააწყო ფეხები.

ასტამური სადღეგრძელოს ამზადებდა, მაგრამ გარემოება ბოჭავდა. რა ეთქვა – კარგად ვიყოთ ჯანმრთელად და ბედნიერადო, თუ სამომავლო გეგმები დაელოცა? საგულდაგულოდ გადამალული მკვდრები მოეგონებინა თუ რა? რა? დაიძაბა, ცუდ გუნებაზე დადგა და თავი ხელებში ჩარგო.

– ვისაც რომელი გზა ურჩევნია, იმით იაროს – ტატამ თითქოს იგრძნოო, ჭიქა ხელში აიღო და სადღეგრძელო დაასწრო ასტამურს – მთავარია უმტკივნეულოდ მიაღწიოს სულიერების გზას.

ასტამურმა ამოისუნთქა. ახლა საუბარი თუ რელიგიაზე აეწყობა, ამას რა ჯობია. რაც გინდა, ის თქვი.

იხუმრე, სისუსტე გამოავლინე თუ გინდა, აქ ყველაფერი დაშვებულია. სუფრასთან რელიგიაზე საუბარიც ხომ ერთგვარი სისუსტეა, ოღონდ ამისთვის არავის სჯიან. ჩვენ კი არა, თავად რელიგია ერგება ხოლმე ზნე– ჩვეულებასაც და კლიმატსაც. ერგება ისეთი სიძლიერითა და სიზუსტით, რომ ამ მხრივ ყველაზე ცუდად ინფორმირებულ ადამიანსაც კი მხოლოდ თავისი რელიგია ჰგონია ჭეშმარიტი, სხვისი კი უბრალოდ ეგზოტიკა.

– გაუმარჯოს... – ერთხმად აჰყვა ნატაშაც და ასტამურიც. მუსიკა სათქმელს ამძაფრებდა, სასმელი კი ემოციებს.

ტატამ სივრცეს მოავლო თვალი: – იმ ფილმს არ ჰგავს?

– ჰა? – ასტამურმა სახე მიუტანა ახლოს.

– იმ ფილმს არ ჰგავს აქაურობა, გუშინ რომ ვნახეთ?

– გაიმეორა ტატამ.

– აქაურობა? ხო! ხალხიც!!! – თავის ქნევით ეთანხმებოდა ნატაშა.

– მოდა ბრუნავს და იმიტომ, – დამახასიათებელი სიმტკიცით თქვა ასტამურმა. ოფიციანტმა საფერფლე გამოცვალა. ამასობაში პირველი მოცეკვავე წყვილი გაიჭრა საცეკვაო მოედნისკენ. სამივემ მათზე გადაიტანა მზერა. დინჯად ირხეოდა ორი სხეული, არაადგილობრივი და სასმელისგან მოთენთილი. ეს ხომ ტექნიკაა, რასაც ორი ადამიანი ახერხებს ხოლმე ასეთ დროს.

დინჯად, რითმებთან შეწყობით და სასიამოვნო განწყობით. საქმე თუ მოითხოვს, მთელი ღამის მანძილზე გაგრძელდება – ერთი შეხედვით ერთი და იგივე. მაგრამ რეალურად ხომ ასე არ არის... ყოველ ჯერზე ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება, თუ რაღაც სხვა.

მათ მაგიდაზე კი დიალოგი ჭირდა, რაღაც ეტაპზე წყდებოდა და, უხერხულობას ცოცხალი მუსიკა ავსებდა.

– ყველას ხომ თავისი ისტორია აქვს? – ნატაშამ დაარღვია დუმილი.

– რა თქვი?

– ყველას ხომ თავისი ისტორია აქვს– მეთქი?!

– როგორი? – ჩაეძია ასტამური.

– თუნდაც სევდიანი...

– ეგრე ყველა ბოზს აქვს ერთი სევდიანი ისტორია – ჩაიცინა ასტამურმა.

– ო, არაფერი არ გესმის! – გაბრაზდა ნატაშა.

ასტამურმა თავზე ხელი გადაუსვა ნატაშას და ტატას მიუბრუნდა: – დღემდე ეშინია ბნელ ოთახში შესვლა.

– ვერ გავიგე, – ტატამ სახე ახლოს მიიტანა.

– შენ გეშინია ბნელი ოთახის?

– კი, მე მგონი ყველას ეშინია, იმიტომ რომ ვერ ხედავ და არ იცი სად რა არის. ასეთ ადგილას ხომ ვერ იქნები ბედნიერი.

ასტამურმა ტატას ნიკაპზე მოჰკიდა ხელი და ოსტატური მანერულობით გაიმეორა ისეთივე მიმიკა, რომლითაც ტატა საუბრობდა. სამივეს გაეღიმა.

– ჰე, დავასხათ, დავასხათ, – შესძახა ასტამურმა ხმამაღლა. ტატამ სიამოვნებისაგან ტაში შემოჰკრა.

ნატაშა არ სვამდა, ფხიზლობდა და თვალს ადევნებდა მოქმედებას.

დღეს, ამ საღამოს სამივე ლხვებოდა. ერთმანეთს ხელით ეხებოდნენ და ამით რეალობას ამოწმებდნენ. მერე ბავშვობისდროინდელ სისულელეებს იგონებდნენ, ვერ ხვდებოდნენ, ისე უცრემლდებოდათ თვალები. ვისკის ბოთლის ბოლო ჩამოსხმაღა დარჩენოდა, რასაც ნატაშას შეუსმელი 200 გრამი კიდევ ემატებოდა. სხეული ცალკე გარბოდა, სათქმელი ცალკე. ახლა ერთმანეთისკენ აღარც იწეოდნენ, ისე პასუხობდნენ კითხვებს.

განათება მოეფინებოდა სახეს და ეს ყველაფერი კინო თუ არ იყო, სახლის ფანჯრიდან გადაღებულ ფილმს მაინც ჰგავდა.

ადგომა დააპირეს. ტატამ ფეხზე ჩაიცვა. სამივემ ერთდროულად წაიღო ხელი ფულის მოსაძიებლად. მაგრამ მოხდა უცნაური რამ: არცერთს არ აღმოჩნდა საფულე. სიჩქარით თუ დაბნეულობის გამო სახლებში დარჩენოდათ. სულელებივით დაიწყეს სიცილი.

– არ აღელდეთ, ტაქსით უცებ წავალ სახლში და მოვიტან – სიტუაცია განმუხტა ასტამურმა, რომელიც გონების დაკარგვის პირას იყო მისული.

– რა სისულელეა, ამ მდგომარეობაში არსად არ გაგიშვებ. მე თვითონ წავალ, ტაქსით. თქვენ აქ იყავით;

– ნატაშ! – ასტამური ჩაეხუტა ნატაშას, შეშინებულს,

რომელსაც დაძაბულობისგან თვალები გაფართოებოდა. ტატა ბოძს მიყრდნობოდა და არ ერეოდა დიალოგში.

– ასტამურ! გთხოვ! თუ ოდნავ მაინც გიყვარვარ, გამიშვი, წავალ და ოც წუთში აქ ვარ. გეხვეწები! გთხოვ, – ნატაშა თანდათანობით გასასვლელისკენ მიიწევდა და მოახერხა კიდევაც გასხლტომა.

ტატა და ასტამური კვლავინდებურად სუფრას მიუსხდნენ. კლუბში მხოლოდ ორ მაგიდასთან შემორჩენილიყვნენ ქალბატონები რჩეულებთან ერთად.

ერთმანეთის პირისპირ მოკალათებულები თვალს თვალში უყრიდნენ ასტამური და ტატა. ეს პირველად ხდებოდა ამდენი ხნის შემდეგ. რამდენი ჰქონდა სათქმელი ტატას... ნეტავი ახლა თუ ეტყვის, უკონტროლო და უგონო... მაგრამ რაღა დროსია.

იქნებ აწუხებს, მაინც არ აძლევს მოსვენებას. იქნებ სიმშვიდის მოსაპოვებლად ასე ჯობდეს. მამაკაცი ყოველთვის ფიზიკურად იხარჯება, ქალი – ემოციურად. ახლა ტატას ემოციებმა შეიძლება კიდევ ერთი ახალი ქალაქი გადმოანთხიოს, ხალხით დასახლებული, ხიდებიანი და მყუდრო.

ასტამური ვერც ახლა ხვდება, რატომ მიატოვა ადამიანი, რომლის მსგავსად არც არავინ ჰყვარებია. თუმცა ამას რომ მიხვდეს, სხვა დანარჩენზეც აეხილება თვალი... ღირს?

ასტამურმა ხელი გაუწოდა ტატას.

აი ასე, მაგიდაზე გააცურა, – ჭიქებს, თეფშებსა და ბოთლებს შორის იპოვა ადგილი.

ტატას სახე გაყინვოდა, მაგრამ მაინც სდიოდა ცრემლები. ახლა ნამდვილად არ იცოდა რა ექნა, გაეწოდებინა ხელი და ამაზე ენანა მერე, თუ არგაწოდება ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის? სრული ოთხმოცდაათი წუთი გასულიყო უკვე. ისე, უცებ, წამებში. ახლა სრულიად მარტონი ისხდნენ პოპულარულ კლუბში. მუსიკოსები სცენას ალაგებდნენ, დინამიკებიდან ნაცნობი მელოდია აღწევდა. ნატაშა აგვიანებდა.

ყველაფერი აშკარა იყო: ხიდები გაიხსნა და დარჩა იქით.

* * *

თუ სადმე კარეტების ჭრიალი გაისმა, იცოდეთ, რომ ეს თანამედროვეობა დატკბა. ქურუმების და კაბალისტების საიდუმლო გაცხადდა, წმინდა მამების წერილები გაიშიფრა. ჯერ რაც არ დაწყებულა, ის როგორ დამთავრდება?! და თუ დატკბა და რახან ეს დღე დადგა... მე აღარ ვარ ყველაზე უიღბლო, ვწვდები! ხან ადამიტური გამოუცდელობით, ხანაც პირიქით... მაგრამ მე ვწვდები.

მტრედების გუნდია თუ თივა, გატყავებული ხარია თუ ჩუტყვავილა, ფერმა, მწყემსი თუ გზა, – მაინც მისაჩვევია, უსუსურობით თუ გარდაუვალობით, მაგრამ მისაჩვევი.

მე ტრაგიკოსი პოეტი ვარ, ქვას ქვაზე არ დავტოვებ და დაუნდობლად შეგიყვარებ. რიტორიკას შეგასწავლი, ასტრონომიას და გრამატიკას. მერე გახდება გამძლე სახის გამომეტყველება, მკლავი – მოუდრეკელი და რწმენა – ურყევი.

ერთად ვივლით ბაზრის ვიწრო დერეფნებში და სამოსზე მოგვედება სურნელოვანი სუნელები, აქა– იქ გადმოფენილი ყურძნები, ბადრიჯნები, ჟოლო, სამოთხის ვაშლები.

მერე მიიწურება ივნისი, ცოტა ხნით მიიმალები, მაგრამ ვეღარ გაძლებ მარტო, უჩემოდ. ასე რომ არ იყოს... ასე რომ არ იყოს!!!

* * *

პეტერბურგში ივლისი იწყებოდა, თეთრი ღამეებიც იწურებოდა და სახლებში პატარ–პატარა აბაჟურები ჩნდებოდა ღამ– ღამობით.

იქ სულ მცირედი განათება იყო, მაგრამ ფანჯრის წინ მდგარი ნატაშა შესანიშნავად არჩევდა ორი სხეულის ალერსს, სილუეტებს – სიყვარულით სავსეს. ამდენი ხნის შემდეგ რომ ეპოვათ ერთმანეთი და უთავმოყვაროდ გაბრუებულიყვნენ.

ნატაშა უჩუმრად გაბრუნდა და წავიდა. სახლში მისულს მოსაცმელი დაემატებინა. ეტყობა შეცივდა გზაში. ხიდზე დინჯად მიაბიჯებდა. მხრებში მოხრილი და თმაგადაპარსული, უკნიდან ბიჭი გეგონებოდა.

არადა იყო ქალი, რომელსაც ამ წამს უღალატეს.

* * *

ამ გაყოლებაზე ყველფერს ნახავ: აფრიკელი შავკანიანები ხელნაკეთ ტამტამებს ყიდიან, ევროპელი გადამყიდველები ჯინსის შარვლებს, ნაქსოვ ფერად ქუდებს, ხელთათმანებს, საქორწილო კაბებს... დიდი, ვეებერთელა ფანქრები და ასეთივე რვეულები, – ისე,

გასართობად. ძველი ჩინმედლები, პასპორტები და წიგნები, ციგურები, თხილამურები, ველოსიპედი.

ათასობით მყიდველი აშტერდება უჩვეულო დახლებს, რემბრანდტის სახლის გვერდით, ჩაყოლებაზე, მთელ ტერიტორიას რომ იკავებს.

მექანიკურად მიაბიჯებდა ასტამური და თან ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. თითქოს რაიმე ესაჭიროებოდა.

ეგ კი არა, რაც ჰქონდა, იმასაც გადაყრიდა ფანჯრიდან. ყველაფერი იმ დღეს დამთავრდა, ტატას მკურნალობის კურსიც და მოგზაურობაც. ახალგაზრდობაც და განცდაც. ახლა გარდაქმნა დაიწყებოდა. თუ აპატიებდნენ, შეიფერებდა და თავიდან მოსინჯავდა ბედს. ასეთი იყო ბუნებით, გენით; რამდენიმე ფენა იცავდა და შესაბამისად იცვლიდა ხოლმე კანს.

და ასე, მეფური სიარულის მანერით კვლავინდებურად ხიბლს და მოწიწებას იწვევდა უცნობ გამვლელში.

ამსტერდამში დაბრუნებულმა ძლივს იცნო საკუთარი სახლი. პირველ სართულზე ანტიკვარების მაღაზია დაეხურათ, და ავიასალარო მოეწყოთ. ესეც თითქოს მის ჯინაზე.

ბინის კარი შეაღო თუ არა, აქ გადმოსვლის პირველი დღე გაახსენდა: დესაუზე ჩარჩოები რომ იდო ფოტოების გარეშე. ახლაც ასე, ნატაშას დაეცალა ჩარჩოები. ცხოვრება აღარ იყო. ადამიანის სურნელი აღარ იდგა და იმიტომ. ნატაშას მხარეს თეთრეულიც კი აღებული დახვდა.

ერთი დეტალიც კი არ დარჩა, რაც ასტამურს ლამის ერთარსადქცეულ ცოლს გაახსენებდა. მაგრამ აბსტრაქციების გარეშეც ასტამური აქამდე განუცდელ ტკივილს გრძნობდა: მარტო დარჩენის, შიშის, სიყვარულის თუ რაღაც სხვას, მაგრამ ეს ტკივილი სადღაც გულის სიღრმეში იწყებოდა და თვალთან მთავრდებოდა ცრემლად გარდაქმნილი. სხვისი ბრალი მაინც ყოფილიყო, – რა ადვილია გადაბრალება, – შვებაა პირდაპირ. მაგრამ არა. ასტამურს ცუდი პიესის ფინალივით ერთიმეორეზე მიჰყვა ყველაფერი. სამზარეულოს მაგიდაზე კონვერტი იდო, – მის სახელზე მოწერილი.

"ჩემ ძმას გაუმარჯოს.

ნეტა როგორ ხართ. მე ახლა უკეთ ვარ, მაგრამ მაინც ვწევარ. ორი ოპერაცია გამიკეთეს ფეხზე, – გაგლეჯილი მქონდა შუაზე. რომ ჩამოხვიდე, ვერავის ვერ იცნობ. ხალხი მოკლე დროში დაბერდა და ყველა დათრგუნულია. კაროჩე, სხვა ქალაქი გაიჩითა*.

ჩვენ ბოლო თვითმფრინავით გადმოგვაფრინეს. დაჭრილები, მიცვალებულები და ერთი–ორი უცხოელი ჟურნალისტი იყო.

დაჭრილი იყო ერთი გოგონაც, ზურგში თუ ფილტვში ვერ გავიგეთ. ფოტოგრაფი იყო. სახლიდან გამოპარულა. ძალიან ლამაზი – თეკლა. ყველა ვეპრანჭებოდით და ამიტომ ტკივილს ვითმენდით და ვხუმრობდით. თვითონ იღიმებოდა ხოლმე, ერთ ხელში აპარატი ეჭირა, მეორეში პატარა ჩანთა, – ფირები ედო. მთელი ძალით იყო ჩაბღაუჭებული.

ბიჭო, მაგარი "სტრანნი"* იყო – სიჩუმე. რომ ჩამოვფრინდით, პირველად თეკლა გავაყვანინეთ, თუმცა მომაკვდავებიც ბლომად იყვნენ. მეც რესპუბლიკურში** მიმიყვანეს და თეკლაც. მესამე დღეს მოკვდა. არ მჯეროდა. მე სულ მეგონა, რომ გოგოები არ კვდებიან. საჭმელს ახლაც ვერ ვჭამ.

იქ, ერთი კვირა სახლის სახურავზე ვიმალებოდით და თოკზე გაკიდებულ ჩირებს ვჭამდით გამოზომილად. არა უშავს. რაღაც იქნება. აზრზე მოვალთ ალბათ. ნატა მომიკითხე და აკოცე".

ოთო

წერილი ერთი წლით ადრე თარიღდებოდა. თარიღის ხილვამ საკუთარი თავით დათრგუნულს სისუსტე მოგვარა.

ფიქრი მშობლიური ქვეყნისკენ გადაუცდა და ახლობლები დაუდგა თვალწინ, ნეტა ნატაშა რას ჰყვება ჩემზეო. ნუთუ მორჩა, დამთავრდა! ასე დარჩება შორს? ყველასგან მოწყვეტილი?

ტატა ალბათ აღარ არის ცოცხალი – გაიფიქრა. თურმე ბოლო დღეებში აჩიკო დაჟინებული თხოვნით ავარჯიშებდა იოგაში. მაგრამ გვიანი იყო. ავადმყოფმა უნდა დაიჯეროს, რომ განიკურნება. ამისთვის კი დროა საჭირო; დრო, რომელიც ტატას აღარ ჰქონდა. მარჯვენა ხელის გულში ჩვეულებრივი ქაღალდის ხელსაწმენდის ნაგლეჯს ინახავდა ტატა.

წარწერა იყო ზედ – რაღაც მნიშვნელოვანი. ეს იმ დღეს, პეტერბურგში ირმის ტყავის ახალ ფეხსაცმელში ჩაუგდო ასტამურმა. სიკვდილამდე არ გაუშლია ხელი. ვერც მერე გაუხსნეს, დარჩა გულზე მიკრული და თან წაიღო. ასტამური სავარძელში იჯდა და როგორც მაშინ, ნატაშას ყოფნის დროს, დღესაც მეზობლის ტელევიზორს მისჩერებოდა. თან წვიმდა გარეთ... მეზობელი არხებს ხშირად ცვლიდა, თითქოს ასტამურის ჯინაზე.

ის მაინც მშვიდად უცქერდა ეკრანს, ხელში პეპსი– კოლას ქილა ეჭირა და მცდარი დასკვნები გამოჰქონდა.

დილით შეიღვიძა თუ არა, ელდანაცემივით წამოხტა ფეხზე. საათს დახედა და გარეთ გავიდა. შორს არ წასულა, – იქვე, პირველ სართულზე.

* * *

პეტერბურგში ფოტოჯიხურის მინაზე რამდენიმე ფოტო იყო გამოფენილი – დატოვებული თუ დავიწყებული. განსაკუთრებით ერთი მათგანი იქცევდა ყურადღებას. ვეებერთელა შადრევანი იყო ფონად – შუაში წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა იდგა, აქეთ-იქით კი ორი გოგონა. ორივეს ერთნაირი კაბა ეცვა – თეთრი, შავი კოპლებით, თმაგადაპარსული.

ასეთი ღიმილი მხოლოდ ახალგაზრდებს აქვთ, როცა სჯერათ, უხარიათ და უყვართ; როცა დამნაშავეს არ ეძებენ და როდესაც სწორედ ადამიანური სისუსტეა მიმზიდველი.

NOSTOS*

ავტომობილი მოხერხებულად ლავირებდა. ჩვენთან ყოველთვის ბრუნდებიან გმირები. რაღა თქმა უნდა, ასტამურიც დაბრუნდა სამშობლოში და მეორე დილასვე, წერასატანილივით ბავშვობის მეგობარს, ოთოს, წლები რომ არ ენახა, კახეთში გაჰყვა, – მეორე ბავშვის ნათლობისთვის ღვინო უნდა ჩამოეტანათ.

ნახევარი გზა დუმდნენ. ოთო თითქოს ნაწყენი იყო მეგობარზე, ასტამური კი უხერხულობისაგან არ ძრავდა სიტყვას. დაძაბულობა იყო.

რამდენი დრო გავიდა.

ხუთმეტრიანი სირაქლემების და სამთითა, ცხენისმაგვარი პიპარონების საძებნელად რომ გარბოდი, ყველას აქ რომ გვტოვებდი, გამუდმებით ცაში რომ იყურებოდი და

პატარა კენჭიც ფეხს გიბრუნებდა, რას შვრებოდი მთელი ეს დრო, ბიჭო?! – გული უსივდებოდა ოთოს.

ასტამურმა ჯინსის ჯიბიდან ფოტოფირის კოლოფი ამოიღო, ბალახი გადმოყარა და ჩვეულ რიტუალს შეუდგა.

– კიდე პლანს** ეწევაო, – გაიფიქრა ოთომ და ფანჯარა ბოლომდე ჩამოწია. ჩქარ-ჩქარი ნაფაზებით ტარიანი ჩაიწვა. ისეთი სიჩუმე იყო, მწყემსების ხვნეშას გაიგებდი. დაკვირვებული სმენა კი, აზერბაიჯანიდან წამობერილი ქარის მოტანილ, მამრი ენოტების სასიყვარულო ყვირილსაც გაიგონებდა.

თუმცა ეს არც ერთს ესმოდა, არც მეორეს. მათ ახლა ბავშვობაში ერთად გადატყავებული მუხლების ჭრილობები შეხსნოდათ, ისე როგორც გაზაფხულზე შეიხსნება ხოლმე კაბა.

– "არც თავს მოვიკლავ და არც ვინმეს მოვაკვლევინებო" – ეს იყო შენი ბოლო სიტყვები თაკოს დაბადების დღეზე. და წახვედი. ჩვენ აქ ვიყავით, ასტამურ, და მაგრად გვეკიდა შენი ბულბულების გადაფრენა.

ასტამურს ჩვეული უტეხი გამომეტყველება ჰქონდა.

– ყველანი ვიყავით პოეტები, ძმაო, მაგრამ გაყინულ ტრამვაიში რაღაც ვეღარ ვიგრძენით ამის აუცილებლობა. ძაღლები, ჩვენივე ძაღლები გავყარეთ გარეთ, იცი რატო? – ვეღარ ვაჭმევდით.

შენ, რას ამბობ, შავი ყანჩების გადაფრენა რომ არ გენახა... მაშინ კი არა, ახლა უნდა გაიქცე! ხომ ვერ მოაღწია ვერც ქრისტიანულმა სიბრძნემ და ვერც კარეტების ჭრიალმა.

ასტამური პირდაპირ იყურებოდა. ღია ფანჯრიდან მაისის სათქმელი შემოდიოდა.

ივრის აღკვეთილზე* ისე, როგორც არასდროს, ყვაოდა ეიხლერის ტიტა და ღვია ჭალის მუხა. აქეთ-იქით ლელიანის კატა სრიალებდა. მაგრამ ასტამური ვერ ამჩვნევდა ფლორის ამ დღესასწაულს.

ვერც გახუნებული, გაუდაბნოებული შირაქის** ეგზოტიკას ამჩნევდა. მას არ სჯეროდა, რომ ცენტრიდან ორი საათის სავალზე ადამიტური გამოუცდელობით ხალხს ჯერ კიდევ სჯერა კუდიანების, დევების*** და კიდევ იმის, რომ მზე დაღესტნის*** იქით, მთის უკან იმალება.

ასტამურისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია შოტლანდიაში მგლების გაწყვეტა იყო.

ჯერ კიდევ უგრძნობს მიეტოვებინა სამშობლო. უკანასკნელი სნობივით, ხან ჯაზ-კაფეში საუბრობდა კინოზე, ხან ყავახანაში ჰაშიშით მოტანილ ზღაპრებს წელავდა. რატომ მოხდა ასე, რა ეშმაკი შეუჩნდა. საკუთარ ქვეყანას, როგორც "ღარიბ ნათესავს", ისე არიდებდა თვალს. რაღას ბრუნდებოდა...

იქნებ კიდევ ჰქონდა შანსი. კიდევ ერთი შანსი იმისა, რომ ერთ დროს საკუთარი რეალობის გასაბუნდოვანებლად დაშვებული შეცდომა გამოესწორებინა.

საოცრად ლამაზი იყო ახლაც. სევდა ეახლა, ოღონდ როგორც ჯაზში – ვერც კი მიხვდა როდის ან საიდან. იყურებოდა პირდაპირ, იცოდა, რომ ოთოს შვილის ნათლობისთვის ღვინო უნდა ჩამოეტანათ და იცოდა ისიც, რომ ამ წუთს აზერბაიჯანია მოსაზღვრე ქვეყანა. და მაინც სხვის ქვეყანაში გადაუცდა ფიქრიც და წარმოსახვაც. აზერბაიჯანში აჯინოურის ტბა დაუდგა თვალწინ.

ვარდისფერი ფლამინგოები მწკრივში იდგნენ.

მაგრამ დუმდა. რადგან ოთოს ემოცია ჯერ კიდევ არ გარდაქმნილიყო ანგარიშგამწევ ტემბრად.

– ამას რომ ხედავ ახლა – და ოთომ გზად ვენახების"ტყეზე" მიუთითა – გამწარებული გლეხის მონაპოვარია. იცი როგორ უვლიან... ერთხელ შაჰ-აბასმა***** თვითონ კახელებს გააჩეხინა და ამოაძირკვინა ვენახები. ბრძანება გასცა: ვის ვენახშიც თუნდაც ერთ ძირ ვაზს აღმოვაჩენთ, ვენახის პატრონს თავი მოჰკვეთეთო.

ერთ-ერთი გლეხის ვენახში მართლა ნახეს ერთი ძირი შემთხვევით ჩარჩენილი ვაზი. პატრონი საჯაროდ დასაჯეს, თავი მოჰკვეთეს და სახელდახელოდ გათხრილ მიწაში ჩააგდეს. იმ საფლავზე მეორე წელს ვაზის რქამ ამოიყარა. თურმე დასჯილ კახელ გლეხს ხალათის საღილეებში ვაზის ლერწი ჰქონდა გაყრილ– გამოყრილი და ის ამოზრდილიყო.

აქამდე გაუგონარს ისმენდა იბერიული და კოლხური კულტურების გადაკვეთაზე დავარდნილი თესლიდან აღმოცენებული ასტამური. გული ამოვარდნას სთხოვდა. ფონად იყო სამი ფენა: კავკასიონი*, ალაზნის ველი** და წნორი***, თივაში გაწოლილი ქალიშვილივით.

მოკლედ, სიღნაღი****.

თრიაქის***** რეაქცია დროზე ადრე გასულიყო. ავტომობილი რესტორანთან მდებარე ავტოსადგომზე გაჩერდა.

– წამო – შედარებით ომახიანად შესძახა ოთომ ასტამურს – ძია ვანო, – გამარჯობა – მეგობრული სალამი მისცა მოხუც დარაჯს, რომელმაც, შინაურულად, ხელით ანიშნა. გაზაფხული იყო, სულ სხვა მანერების დრო.

ათი წუთის სავალზე ასტამური და ოთო ვეებერთელა ვერანდას მიუახლოვდნენ.

– ნახე, რა სიგიჟეა, ნისლი ნახე, ჩემი საყვარელი ადგილია, – ოთო აჟიტირებული ჩანდა.

ასტამური ჭოგრიტს მიუახლოვდა და ჰორიზონტს გააყოლა მზერა. სახე ეცვალა.

– რჩებით ოთარ? – დაეკითხა ხანშიშესული.

– კი, დღეს ღამე დავრჩები ბოდბეში******, ჩემებთან. ხვალ წავალ, ბავშვის ნათლობა მაქვს.

– ა, ღვინო კარგი, ე. ი. – ჩაიცინა ბაბუამ და ოთოსმხარზე ხელი დაჰკრა.

– წავედით, ასტამურ, წავედით, თორე... მშია....ასტამური მორჩილად გაჰყვა ოთარს.

– ბიჭო, ხო მაგარია, წელს გააკეთეს ეს ვერანდა. აქ იქნება ღია კაფე, იმ მომრგვალებულში, კოშკივით რო იყო, რესტორანი… და მიდი... ღვინო ზღვასავით და ჩქარი ტაში.

და უცებ ადგილზე გაშეშდა ოთო: – ეს რა არის. – გაფითრდა საკუთარი მანქანის დანახვაზე.

ამასობაში დარაჯი გამოიქცა: – ოთარ, ბიჭო!!! რა ვქნა, ძმაო, ყველა მანქანა ამ დღეშია.

ასტამურმა მზერა დაძაბა. "ვანო, ეს რა ხდება". – ოთო მანქანას მიუახლოვდა, თეთრი ფერის ავტომობილი მთლიანად გაშავებულიყო.

– მე რა ვიცოდი, შვილო. თურმე ასეა, გადაფრენის დროს მეტისმეტი განავალი ცოდნიათ. ერთი დღით ადრე აუტყდათ იმ დალოცვილებს გადაფრენა, ხვალ უნდა გადაეფრინათ თითქოს, – წუხდა დარაჯი ვანო – რომ მცოდნოდა, იქით დავაყენებდი ყველა მანქანას.

ასტამური პირველად შეესწრო ფაქტს, როცა მისთვის საუკეთესოდ ნაცნობი მოვლენა მისივე ახლობელს აზარალებს. ღიმილი მოერია. მანქანას ხელი გაუსვა, მერე ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და ხელი გაიწმინდა.

– ჯერ რბილია, თბილი წყლით მოაშორე, მთავარია არ გახმეს. ოთო, რა იყო!!! დროზე მივიდეთ და მე გავრეცხავ.

– დედა ვატირე, წამოსვლის წინ გავრეცხე. – წუხდა ოთო.

ვანო თავჩაღუნული იდგა, თითქოს მისი მოწყობილი იყო ეს კანონზომიერება.

ორივენი მანქანაში ჩასხდნენ და ბოდბისკენ გაემართნენ.

ოთოს ბებია საგულდაგულოდ გაწყობილ სუფრას დატრიალებდა. ღვინოს მოეთენთა სტუმრები. ასტამურს, მართალია, ბევრი არ დაულევია, მაგრამ მაინც პირველმა მოიბოდიშა და საძინებლისკენ გაეშურა.

ნიაზ ბებიას გაქათქათებული თეთრეული კიდევ უფრო ძილისმომგვრელი აღმოჩნდა. ბნელოდა ბოდბეში.

ასტამურმა ანთებული სანთელი შენიშნა ფანჯრიდან.

– გძინავს, ბებო? – მსუქანი ნიაზ ბებია ოთახში შემოვიდა. კომოდის უჯრა გამოაღო და წერილების დასტა ამოიღო.

– შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, უცხოეთი მოგივლია. მე ერთხელ ვიყავი უცხოეთში, უნგრეთში – ნიაზ ბებია თან წერილებს ათვალიერებდა. რაღაცას ეძებდა. ასტამურს თითქოს სიამოვნებდა კიდეც დამლაპარაკებელი, თან თვალები ეხუჭებოდა.

– ერთ წერილს წაგიკითხავ, გივი ბაბუამ მომწერა – მოულოდნელად კეკლუცობა გაურია ბებიამ – და მოწიწებით შეუდგა კონვერტის გახსნას. ასტამური სადღაც ირწეოდა, სიზმარი დაიწყო თუ ხილვა?

* * *

– ისპაჰანის ბულბულებს გადაუფრენიათ წნორზე – ცუდის ნიშანია, ამინდებიც გაფუჭდება.

– რა, არ გავამართლე თქვენი მოლოდინი? – ვიღაცას უკიოდა ასტამური. ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც. სახეზე უცხო გამომეტყველება ჰქონდა, ფერიც უცნაური ედო.

– მე ვარ, მე, ვერ მცნობ – კავკასიელი ალქიმიკოსებ– ის შთამომავალი!.. ჩამო...

ჩამოდი... ღობეებით მოწნულ მიწაზე! გთხოვ! ერთხელ მე წამომყევი, რაღაცას განახებ. რიტორიკაც ვიცი და ასტრონომიაც. ახლა მე არ ვლაპარაკობ?! ნიაზ ბებია!!! ნიაზ ბებია, იმათ არ რცხვენიათ, თვალს რომ არ აშორებენ?... – მუცლის ცეკვებს. კი, მართალია საპორტო ქალაქია, მაგრამ მაინც. ღამე მთაში მანქანით მივდიოდი, ციცინათელები მეგონა, და რა ყოფილა თუ იცი? ცხვრების ფარა, – თვალები აუპრიალდათ მანქანის შუქზე.

არა, მე კი არ მინახავს, ამხანაგმა მიამბო.

აქ, ახლოს ახალგაზრდა მთებია? ერთმა მითხრა დიდი სიბრძნე: "Кавказ это мудрость, где мудрость там и истина".

ერთხელ მანახეთ ეს სასწაული! დღეს გავიგე მწყემსების ხვნეშა. ნატაშ! არ გეძინება? დაიძინე! დაიძინე, თორე "ზოლებიანი გამოცანა" მოვა.

– სულ არ მაინტერესებს ჩვენი ინტელექტუალურიდიალოგები – განაცხადა ფუძის ანგელოზმა. რაღაც სხვა, უფრო მეტი. ან რამე ვითამაშოთ, არ იცი?

– რა გინდა, შენ თვითონ იცი, რა გინდა?

– კი, New York-ში მინდა.

– რატომ?

– სულელი ხარ მგონი... – ფუძის ანგელოზი უეცრადმიხვდა საკუთარ უხეშობას და გოგონას წელზე შემოეხვია.

მისთვის საკმარისი იყო ალერსი. ქალებს უღირთ ხოლმე. მთავარია არ დარჩნენ მარტო. ამ მხრივ უფრო პრინციპულები არიან, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცებს გამუდმებით, თუმცაღა გაუცნობიერებლად თან დაჰყვებათ მიჯნურის მშობლების შიში.

– დამხატავ?

– არა...

– რატო? – გოგონას ახლა უარის მიზეზი უფრო აინტერესებდა.

ფუძის ანგელოზმა თავზე აკოცა და უთხრა – "Ангелы не возбуждают воображение".

მართლაც ისეთი იყო. როგორც წიგნებში აღწერენ – ბევრი სინათლე, თეთრი თმისგან დაწნული საქანელები, გვიმრის ზღვა, ქაღალდის გემები. სტაფილოსფერი ხმაური, ჩალის მარაოები, ფერადი მძივები, სამოთხის ვაშლები, ალიბუხრები, პანტა მსხლები.

ტატა გაოგნებული იყურებოდა. ყველაზე მეტად კი ნაცნობების ხილვას ელოდა. ბებიას და ბაბუას უნდა ჩაკვროდა, ასე ჰქონდა წარმოდგენილი. იქნებ პირველი დღე მარტო უნდა იყო – გაიფიქრა.

თან აქამდე განუცდელი სიმშვიდე ეუფლებოდა. რაღაცას ელოდა. იქნებ არ ვარ მზადო.

უეცრად ხმაური მოესმა, სივრცეს და მანძილს რომ ძლევდა, ყველაფერს უკან ტოვებდა. – ბაბუ – გაიფიქრა, და მართლაც ბაბუ რადიოს უსმენდა, – ოღონდ ისევ ლოგინს მიჯაჭვოდა და კვლავ უსინათლო იყო. ის იყო უნდა ჩახუტებოდა, რომ სადღაც გაქრა.

ტატას ჯერ გაუგონარი სიმშვიდით მაინც აღმოხდა ფრაზა, რომლის გამოც არავინ გამოაგდებდა მას იქიდან, რადგან პირადად მე, არაფერი მსმენია ამაზე უფრო ადამიანური – სულ აქ უნდა ვიყოო?! და რაღაცამ შეძრა ამ ქალბატონის სხეული, ჯერ კიდევ დედამიწიდან გამოყოლილმა რაღაც განცდებმა.

მშობლის სითბომ და ფინჯანი ჩაის სიგრილემ. ცრემლი მოადგა. არც ამის გამო დაძრახავდნენ, რადგან ყველა შემთხვევაში ასე ხდება. და ტატას მაინც აღმოხდა, ოღონდ ხმამაღლა: ასტამურ!!!

უეცრად თეთრპერანგიანი 4–5 წლის ბიჭი ტატასთან შეჩერდა, თავი მისკენ მიაბრუნა და მოწიწებით ჰკითხა:

– მე დამიძახეთ?ტატას სულიერის გამოჩენამ ელდა მოჰგვარა.

– შენ... შენც ასტამური გქვია? – ტატა დაიკუზა დაბიჭს თავზე ხელი გადაუსვა.

– დიახ – ღიმილით უპასუხა ბიჭმა, რომელმაც პანტამსხლების ფიალა გაუწოდა უფროსს. ტატამ პირი გაისველა.

– დიდი ხანია აქ ხარ?

– უკვე დიდი ხანი გავიდა, – ბიჭმა თავადაც აიღო პანტა მსხალი და ბავშვური მანერით გაუსინჯა გემო.

– რა შეგემთხვა? – ტატა თან თვალს არ აშორებდაბავშვს.

– ეჰ, – ამოიხვნეშა ბიჭმა – მე მყავდა ტყუპისცალი, – ფარვიზი ერქვა. ზაფხულში აგარაკზე ვიყავით. სახლს მესამე სართული ახალი დაშენებული ჰქონდა. ჩვენც სწორედ იქ ავიპარეთ და ვთამაშობდით. წავიჩხუბეთ, ფარვიზმა ხელი მკრა შემთხვევით, არ უნდოდა, – მხრები აიჩეჩა ბიჭმა – მე გადმოვვარდი და...

ტატა აქამდე არარსებულმა შეიპყრო. რა ხდებოდა მის თავს? უეცრად თავისსავე ფიქრმა გადაყლაპა და გულის ფორმად გამოუშვა. მერე თვალებში ჩააცივდა ბიჭს. ჰგავდა, როგორც იტყვიან, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა...

ბიჭი გზას გაუყვა. სად მიდიხარო, უკან მისდევდა ტატა, – არ დამტოვო.

– ნუ გეშინია, ახლა შენთანაც მოვლენ და ყველაფერს აგიხსნიან.

– არ წახვიდე, მეშინია! – ევედრებოდა ტატა პატარაბიჭს.

– მეჩქარება, ბულბულები უნდა გადავაფრინო.

– რა ბულბულები?

– ისპაჰანის ბულბულები...

ასტამურს ზღვის შხეფები ეგონა, მაგრამ ეს მინერალური წყალი ცლიდა გაზს – მის თავთან რომ დაედო ნიაზ ბებიას, რომელსაც წითელი წინსაფარი ეკეთა. წითელი ფარდები ფრიალებდა ფანჯრებზეც. ასტამური თვალს ვერ ახელდა ბოლომდე.

მე ვარ! ვერ მცნობთ?

– არა, ჯვარი ჯერ არ დამიწერია. მეშინოდა, რომ შენში ოდესღაც ამოიწურებოდა საიდუმლო. ეს რა ხმაა? ხევისბერი ყინულს ამტვრევს მდინარეში? ააა....

– მქონდეს ასე თმა? რა მოხდა, 1977 წელია, ახლაიურისტებიც და ბანკირებიც გრძელ თმას ატარებენ. იყო, როგორ არ იყო ატონალიზმი...

ვხუმრობდით კიდეც, დავცინოდით სხვებს.

მთელი ღამე ვეწეოდით და თვალების ამოშავებამდე ვცეკვავდით. მაგრამ სულ სულ ბოლოს, ანუ როცა უკან მოვიხედე, ორი რამე იყო ხილული: ერთს არ ვიტყვი, მეორე – ეს გახლდათ მათი სახეები. ალბათ პირველად დავინახე ასე ახლოდან და ყველაფერს მივხვდი... მართალია დატკბა თანამედროვეობა, მაგრამ ისინი სულ დარჩებიან ასეთივე დაუოკებელი პატრიოტები, ურჩი ახალგაზრდები, ხეობასავით მოუდრეკელები და თავისუფლები.

ვხედავდი ჩემს სახესაც – სასწაულის მოლოდინში, უტიფარს და უშიშარს. ერთი დღეც არ ვყოფილვარ მშვიდი!

ჩამოდი და თავიდან დაიწყე ყველაფერიო.

დუბლიკაცია, საგანთა დუბლიკაცია. და ჭვრეტა, უსასრულო ჭვრეტა. მოკლედ, კალმით ატეხილი ქაოსი – "ეს ჩემგან იყო".

* * *

სოფელში ხმა გავარდა, თამარ მეფე გაცოცხლდაო. და კიდევ ის, რომ თურმე სასწაულის ხილვის ღირსი უნდა გახდე, დაიმსახურო...

უფრო მეტიც, როდესაც სასწაული გეწვევა, თურმე თვალებზე უნდა აიფარო ხელი.

ახლა მხოლოდ ნიაზ ბებიას ხმა ისმოდა. ეს იყო შელოცვა – შელოცვა ბატონებისათვის:

ტანი თითქოს ტაძარია – მობრძანდებით ბატონებო.

ტაძარს შიგნით ხანძარია – მობრძანდებით ბატონებო.

ვარსკვლავები ამოსულა – მობრძანდებით ბატონებო.

ბიჭის ტანზე ამოსულა – მობრძანდებით ბატონებო.

ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა არ გაუკრთოთ ბატონებო.

თორმეტ ვარსკვლავს დაუტევებთ ნაყვავილარს ბატონებო.

ტაძარს ღამით დაუტევებთ წაბრძანდებით ბატონებო.

მალე დილა გათენდება ბუდე საიადონებო –

ბიჭის გული გამთელდება – გათენდება ბატონებო.